ჯუმბერ ვარდმანიძე

მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

ბათუმი – 2013

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში
(XIX საუკუნის 30-80-იანი წლები)

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2013

UDC(უაკ) 325.2+94](479.223)
ვ-20

ნაშრომი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის აქტუალურ პრობლემებს ეხება. XIX საუკუნის საქართველოს მუჰაჯირობის რამდენიმე ტალღამ გადაუარა. ავტორი განიხილავს სამცხე-ჯავახეთიდან და აჭარიდან გადასახლების ისტორიას, მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტის და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე აანალიზებს XIX საუკუნის 30-80-იან წლებში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს.

წიგნში თანმიმდევრულად არის განხილული მუჰაჯირობის წინაპირობები, მიმდინარეობა, შედეგები, თანადროული საზოგადოებრივი აზრი და სხვა არსებითი საკითხები, გაანალიზებულია ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების როლი მოსახლეობის აყრა-გადასახლების საქმეში.

ნაშრომის აქტუალობას მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად ისიც განაპირობებს, რომ XIX საუკუნეში გადასახლებულ ქართველ მუსლიმანთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთის არაერთ პროვინციაში სახლობენ კომპაქტურად. მათ დღემდე არ დაუკარგავთ პატივისცემა წინაპართა მიწის, ენის, ადათ-წესების მიმართ. სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დამყარებული კვლევა ამ ისტორიისა ხელს შეუწყობს ჩვენებურთა კავშირის გაღრმავებას ისტორიულ სამშობლოსთან.

რედაქტორები: ასოცირებული პროფესორი **მალხაზ ჩოხარაძე**
ასოცირებული პროფესორი **ზაზა შაშიკაძე**

რეცენზენტები: პროფესორი **ნადიმ ვარშანიძე**
ასისტენტ პროფესორი **ჯემალ კარალიძე**
ასოც. პროფესორი **ნანა ხახუტაიშვილი**

ISBN 978-9941-434-41-9
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2013

ისტორიული სამხრეთ საქართველოს ყოფა და კულტურა – 2

საგამომცემლო საბჭო: პროფესორი **მამია ფაღავა** (თავმჯდომარე)
ასოც. პროფესორი **ზაზა შაშიკაძე**
ასოც. პროფესორი **მალხაზ ჩოხარაძე**
პროფესორი **თინა შიოშვილი**
პროფესორი **ნუგზარ მგელაძე**
პროფესორი **შოთა მამულაძე**
პროფესორი **რამაზ ხალვაში**
ასოც. პროფესორი **თამაზ ფუტკარაძე**
პროფესორი **მერი ცინცაძე**
ასოც. პროფესორი **მაია ბარამიძე**

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სამხრეთ საქართველო ის რეგიონია, სადაც დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი, პირველად გავრცელდა ქრისტიანობა და უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ეროვნულმა კულტურამ. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი ერთიან ფეოდალურ სამეფოს, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის იდეალადაა მიჩნეული.

აქედან გამომდინარე, აქტუალურია იმ პროცესების ღრმა ანალიზი და თანმიმდევრული მეცნიერული შესწავლა, რომლებიც ამ მრავალტანჯულ კუთხესთანაა დაკავშირებული.

დღეს, როდესაც ასე მწვავედ დგას რეგიონში დემოგრაფიული საკითხი (განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთში), გადასაჭრელია ე. წ. თურქ-მესხთა პრობლემა, თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა ოსმალეთში გადახვეწილ მუჰაჯირთა შთამომავლებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება, - საშურად მიგვაჩნია უფრო ზედმიწევნით შევისწავლოთ ის ისტორიული პროცესები, რომლებმაც გამოიწვია ოდესღაც მოწინავე მხარის მოსახლეობის ერთი ნაწილის მშობლიური ადგილებიდან წასვლისა თუ გაუცხოების პრეცედენტები. დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობის გზაზე აღარ უნდა დავუშვათ ის საბედისწერო შეცდომები, რომლებმაც, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, გამოიწვია ქართველთა ერთიანი ეროვნული ორგანიზმის გახლეჩა, სახელმწიფოებრივი ძლიერების შესუსტება და დღესდღეობით ჩვენი ქვეყნის საზღვრისპირა რაიონებში ნელი მოქმედების ნაღმები დაგვიტოვა.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სამცხე-ჯავახეთსა (1829 წ.) და აჭარაში (1878 წ.) რუსული მმართველობის დამყარების შედეგად განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენას, რომელიც, უმეტესად, ქართველ მუსლიმანთა მნიშვნელოვანი ნაწილის მშობლიური მიწიდან აყრასა და უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადასახლებაში გამოიხატა.

მსოფლიო ისტორიაში ცნობილია სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტის მოსახლეობის გადასახლების მრავალი მაგალითი. მკვლევრები მიუთითებენ, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოში ხალხთა მასობრივი გადასვლა ხდებოდა მოსალოდნელი საშიშროების (ომის დაწყებისა და დამთავრების, სასაზღვრო ტერიტორიის სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში გადასვლის, სტიქიური უბედურების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური მდგომარეობის დაცვისა თუ შეცვლის საშიშროების) შემთხვევებში.

მრავალი ასწლეულის მანძილზე საქართველოს ამა თუ იმ ნაწილის მკვიდრებს არაერთხელ მოუხდათ უცხოეთში მასობრივი გადასახლება.[1] ამგვარი მოვლენებისგან თავისი მიზანდასახულობითა და მასობრიობით გამოირჩევა მე-19 ს., როდესაც რუსეთ-თურქეთის მწვავე წინააღმდეგობების შედეგად დაიწყო ხანგრძლივი და მასობრივი ემიგრაციული პროცესები სამხრეთ საქართველოში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია მუჰაჯირობის სახელით.[2]

---

[1] სამხრეთ საქართველოდან მასობრივი გადასახლების ფაქტებს XVI ს-ში ასახელებს ზ. ჭიჭინაძე (მუჰაჯირობა, თბ., 1912, გვ. 7). ამ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯეროვნად არაა ყურადღება გამახვილებული. მ. სვანიძე (ქართველები თურქეთში, თბ., 1996}, შ. ფუტკარაძე (ჩვენებურების ქართული, ბათ., 1996) და სხვანი თურქეთში ქართული დასახლებების წარმოქმნას ძირითადად 1877-1778 წწ. ომის შედეგად მიიჩნევენ.

[2] მუჰაჯირი არაბული წარმოშობის სიტყვაა და მას ძირითადად ორი მნიშვნელობა აქვს. თავდაპირველად ამ სიტყვას ისლამის ფუძემდებლის მუჰამედის მიმდევრების აღსანიშნავად ხმარობდნენ (ალ-მუჰაჯირუნ), თუმცა ამავე ენაში იგივე სიტყვა, ოღონდ უთავსართოდ, ნების-

რუსეთის ჯარის საბრძოლო ოპერაციების შედეგად, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში გახშირდა ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ჯგუფებად გადასვლა როგორც ოსმალეთის,[3] ისე რუსეთის იმპერიის ფარგლებში.[4] ამის მიზეზი ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ქართველი მუჰაჯირების ოსმალეთში გადასვლას ესა თუ ის კონკრეტული მიზეზი ჰქონდა.

ეს პროცესი ნათლად აისახა მაშინდელ ქართულ თუ რუსულ პუბლიცისტიკაში. იმდროინდელი მოღვაწეები: ი. გვარამაძე, ი. გოგებაშვილი, გრ. ორბელიანი, ს. მესხი, გ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, დ. ბაქრაძე და სხვები გულისტკივილით აღნიშნავდნენ სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსახლეობის უცხოეთში გადასახლებას, ასახელებდნენ ამ პროცესის სხვადასხვა მიზეზს: ეკონომიკურ გაჭირვებას, ჩინოვნიკთა უდიერობას, ისლამის პროპაგანდას და ა. შ.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ასეთი ხელოვნური შეცვლის მცდელობათა განხილვისას, ჩვენ ფართოდ გამოვიყენეთ ამ საქმეში რუსეთის იმპერიის „მდიდარი გამოცდილების“ ამსახველი მასალები. სამცხე-ჯავახეთში და აჭარაში შექმნილი სიტუაციის ანალიზისთვის განსაკუთრებული ყურადღება იმიერკავკასიასა და აფხაზეთში ადგილობრივი მოსახლეობის ძალდატანებითმა გასახლებამ მიიქცია. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ გეოპოლიტიკურ არეალში გატარებულმა პოლიტიკამ უშუალო ასახვა ჰპოვა ჩვენთვის საინტერესო

მიერი სახის ემიგრაციას (ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, რელიგიურ და სხვა) ნიშნავდა (გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. 271; Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь, М., 1945; Х. К. Баранов, Арабо-русский словарь, М., 1957, ст. 1076.

[3] ზოგიერთი მკვლევარი ოსმალეთის შიდა რაიონებში ყოველ გასახლებას არ მიიჩნევს მუჰაჯირობად (იხ. შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წლებში), თბ., 1964, გვ. 4.

[4] ფრ. სიხარულიძე, „ახალი ქართველი“, ბათუმის უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1997 წ.

რეგიონის ისტორიაში, რაც ბათუმსა და მიმდებარე ტერიტორიებზე აფხაზებისა და სხვა ადიღეური ხალხების წარმომადგენელთა დასახლებების გაჩენით გამოიხატა.

მონოგრაფიაში განხილულია სამხრეთ საქართველოში ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის შედეგად შექმნილი მწვავე სოციალ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სიტუაცია, ნაჩვენებია ველიკოროსული შოვინიზმის წინააღმდეგ ქართული ინტელიგენციის შეუპოვარი ბრძოლის რეალური სურათები.

სამცხე-ჯავახეთისგან განსხვავებით, აჭარის მშობლიურ წიაღში მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ დაბრუნების, მუჰაჯირობის დამღუპველი პროცესის შერბილების საქმეში, სხვა ფაქტორებთან ერთად, მთავარი როლი შეასრულა ქართული ინტელიგენციის, განსაკუთრებით, მისი მეწინავე ნაწილის, ე. წ. 60-იანელების დაუღალავმა პატრიოტულმა საქმიანობამ და ამის წყალობით ქართულ საზოგადოებრიობაში აღორძინებულმა ეროვნულმა თვითშეგნებამ. უდავოა, რომ სამცხე-ჯავახეთში დატრიალებული შოვინისტური ბაკქანალიის „წარმატებები“ მეტწილად მე-19 ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწე ქართული ელიტარული წრეების ინერტულობამაც განაპირობა.

სამართლიანობა მოითხოვს ხაზი გაესვას ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის თავისებურებებსაც. თავისთავად ცხადია, რომ შუასაუკუნეობრივი სისტემის მოჩვენებითი რეფორმების პირობებშიც კი შეუძლებელი იყო იმ ველური მეთოდებით მოქმედება, რომლითაც რუსი ჩინოვნიკები ასწლეულების განმავლობაში შიშის ზარს სცემდნენ უკიდეგანო იმპერიის დაბეჩავებულ მოსახლეობას. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ მე-19 ს-ის პირველი ნახევრისგან განსხვავებით, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების პერიოდისთვის რუსეთის იმპერიას საკმაოდ მტკი-

ცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული სამხრეთ კავკასიაში, რაც მის აგრესიულობას რამდენადმე არბილებდა.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები მკაცრად განსაზღვრულია და ძირითადად მუჰაჯირობისათვის ოფიციალურად ნებადართულ ვადებს მოიცავს: 1) სამცხე-ჯავახეთში 1828-1834 წწ; 2) აჭარაში 1878-1882 წწ.

სამწუხაროდ, სამცხე-ჯავახეთში დატრიალებულმა მოვლენებმა ძალზე ზედაპირული ასახვა ჰპოვა თანადროულ ქართულ საზოგადოებაში, ამიტომ ჩვენ ამ პროცესზე ფაქტობრივად მხოლოდ რუსულ საარქივო მასალაზე დაყრდნობით ვსაუბრობთ.[5]

ამ მხრივ საპირისპირო სურათია აჭარასთან მიმართებაში. საინტერესოა, რომ მოწინავე ქართველი საზოგადო მოღვაწეების მოსაზრებების გვერდით საკმაოდ მოიპოვება რუსი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების მიერ დატოვებული საგულისხმო ცნობები.

აჭარის მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობის დასამყარებლად, კავშირის გასამტკიცებლად და მათ ადგილზე დარჩენისათვის ენერგიულად იბრძოდა გრ. გურიელი, რომელსაც ყველა აღნიშნული პრობლემის მოგვარების პროგრამა ჰქონდა. ის თანამდებობიდან ნაადრევად გადააყენეს და დამპყრობელმა თავისი გეგმა ძირითადად ამის შემდეგ განახორციელა, რაზეც საინტერესო მასალებს ვპოულობთ იმდროინდელ პერიოდიკაში.[6]

ბათუმის ოლქის მაშინდელი მდგომარეობის, ადგილობრივი მოსახლეობის სამკვიდროდან აყრისა და მოძრაობის შესახებ საგულისხმო ფაქტები შემოგვენახა ა. ფრენკელის ჟურნალისტურ ჩანაწერებში. ეს წიგნაკი იმავე წელს გამოიცა.[7] ამ ნარკვევს დღეს ძირითადი წყაროს მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით მასში შესული სტატისტიკური მონაცემების გამო.

[5] შესაბამისი ლიტერატურა იხ. ქვემოთ, დაწვრილებით I თავში.

[6] ავ. დიასამიძე, გრ. გურიელი.-სამართლის ინსტიტუტის მაცნე, N2, ბათ., 1998 წ.

ასევე, ჟურნალისტიკურ ჟანრშია მიმოხილული ჭოროხის მხარე დ. ლისოვსკის წიგნში, რომელიც 1887 წ. გამოვიდა.[8]

მუჰაჯირობის საკითხს განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ზ. ჭიჭინაძემ. წიგნში „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება და ალი-ფაშა თავდგირიძე“ ავტორი მიმოიხილავს ემიგრაციაში წასულთა ხვედრს, მათ უმწეო მდგომარეობას, მიგრაციის შედეგად გავრცელებულ ავადმყოფობასა და მიუთითებს იმ დიდ მსხვერპლზე, რომელიც გაიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ.[9]

ბათუმის ოლქის სხვადასხვა სოფლის შემოვლისა და საინტერესო ცნობების შეკრების საფუძველზე ზ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი: „მუჰაჯირთა ემიგრაცია და ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში.“ ჩანს, რომ ნაშრომის შედგენისას ავტორი გულდასმით ითვალისწინებდა გრ. გურიელთან შეხვედრებისას გამოთქმულ დასკვნებს აჭარაში მუჰაჯირობის პროცესის გაძლიერების, არეალის გაფართოების, ამ მოვლენის გააქტიურებაში ადგილობრივ ქართველ წარჩინებულთა, რუს მოხელეთა და სხვათა როლის შესახებ.

ზ. ჭიჭინაძის ნაშრომში მოცემულია მუჰაჯირობის სავალალო შედეგების დამადასტურებელი ფაქტები, აღწერილია მრავალი გაპარტახებული ხეობა, სოფელი, კარ-მიდამო.[10]

აღსანიშნავია, რომ ზ. ჭიჭინაძის ეს წიგნი დიდხანს ერთადერთ ნაშრომად ითვლებოდა აღნიშნულ პრობლემაზე. იმ-

[7] А. Френкель, Очерки Чурук-су и Батума, 1879 г.

[8] В. Лисовский, Чорохский край, 1887 г., ст. 36-39.

[9] ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება და ალი-ფაშა თავდგირიძე, თბ., 1908.

[10] მისივე, მუჰაჯირი ემიგრაცია და ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, თბ., 1912.

დროინდელი საზოგადოებრივი აზრის გადმოცემითა და ფაქტების სიუხვით ეს ჩანაწერები დღესაც ძვირფასი წყაროა მკვლევრისათვის.

გასაგებია, რომ აღნიშნულ პრობლემაზე თანამედროვე ქართველი მკვლევრები დიდი ხანია მუშაობენ. ამის მიუხედავად, ე. წ. საბჭოთა პერიოდში ახალი და უახლესი ისტორიის საკითხების შესწავლა განსაკუთრებული იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მიმდინარეობდა, შეიძლება ითქვას, მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ შექმნილია ის ბაზისი, რომლის საშუალებითაც მკვლევარს შეუძლია ამ მეტად საინტერესო თემაზე გარკვეული ინფორმაციის მოპოვება. რა თქმა უნდა, თანამედროვეობის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, აუცილებელია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების გადასინჯვა, რის ნიშნებსაც უკვე ვხედავთ პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემულ ნაშრომებში.

სამცხე-ჯავახეთში მუჰაჯირობის ისტორიის საკითხებზე კონკრეტულად არავის არ უმუშავია, თუმცა ამ მხრივ საინტერესო ცნობებსა და ფაქტებს გვაწვდიან: ივ. ჯავახიშვილი,[11] შ. ლომსაძე,[12] ი. ნებიერიძე,[13] ალ. ფრონელი,[14] სამ. ფირცხალავა,[15] ვ. ჯაოშვილი,[16] ლ. ჯანიაშვილი,[17] ვ. ლორთქიფანიძე,[18] დ. კოჟორაძე,[19] პ. გიორგაძე,[20] მ. სანაძე,[21] ხალილ უმაროვი - გოზალაშვილი,[22] ლ. ზაგურსკი,[23] ი. როსტომოვი[24] და სხვები.

[11] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, თბ., 1919წ.
[12] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975 წ.
[13] ი. ნებიერიძე, მოგონებანი, ბათ., 1948 წ.
[14] ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბ., 1991 წ., მისივე, უცხოელთა დაბანაკება საქართველოში, ჟურნ. „მოამბე“ 1899 წ. N6.
[15] ს. ფირცხალავა, სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი, თბ., 1915.
[16] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა მე-18-19 სს., თბ., 1964.
[17] ლ. ჯანიაშვილი, სომხები სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1995 წ.
[18] ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი მე 19-20 სს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1993 წ.

აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურიდან გვსურს გამოვყოთ ბატონი შოთა ლომსაძის ვრცელი ნაშრომი. ამ წიგნში, სამცხე-ჯავახეთში რუსული მმართველობის დამყარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების გარდა, ჩვენთვის საინტერესო თემის შესახებაც ავტორი საგულისხმო და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის. მკვლევარი ქართველ მაჰმადიანთა უცხოეთში გადასახლების საკითხის მიმოხილვისას, გამოყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს და აღნიშნავს ორივე იმპერიის (რუსეთ-ოსმალეთი) როლს მუჰაჯირობის პროცესის წარმართვის საქმეში. იქვე მკვლევარი, სტატისტიკურ და საარქივო მასალაზე დაყრდნობით, გვაწვდის გადასახლებულთა მიახლოებულ რაოდენობას.

აჭარაში განვითარებული ემიგრაციული პროცესები სპეციალურად განიხილა შ. მეგრელიძემ ნაშრომში „აჭარის წარსულიდან“. მასში, ძირითადად იმდროინდელი პრესის მასალებზე დაყრდნობით, განხილულია მხოლოდ ერთი პერიოდის მუჰაჯირობა ბათუმის ოლქში. აღსანიშნავია, რომ ავტორი ამ პროცესში ძირითად დამნაშავედ ოსმალეთს ასახელებდა,[25] რასაც საჭირო დოკუმენტებით საფუძველი არა აქვს გამაგრებული.

[19] დ. კოჟორიძე, სამცხე-ჯავახეთი წარსული და დღევანდელობა, თბ., 1967 წ.
[20] პ. გიორგაძე, სამცხის სოფელი 1830-1905 წწ. თბ., 1969 წ.
[21] მ. სანაძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ნაკ. 4, თბ., 1993 წ.
[22] Халил Умаров-Гозалишвили, Трагедиа Месхов, Тб., 1994 г.
[23] Л. Загурски, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Тиф., 1873 г.
[24] И Ростомов, Ахалцихский уезд в археологическом отношении, Тиф., 1898 г.
[25] შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წლებში), თბ., 1964.

ზოგი ავტორი ჩვენთვის საინტერესო თემას განიხილავს როგორც სამცხე-ჯავახეთთან მიმართებაში, ისე სხვა საკითხთან დაკავშირებითაც. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ ხ. ახვლედიანი,[26] ვ. იაშვილი,[27] გრ. ბაბილოძე,[28] ც. ჩხეიძე[29].

ამ პერიოდის ბათუმის ისტორიასთან დაკავშირებით მუჰაჯირობის საკითხი მიმოიხილა ვ. სიჭინავამ.[30] 1877-1878 წწ. ომის შედეგად ბათუმის ოლქში განვითარებულ მუჰაჯირობის პროცესს შრომა მიუძღვნა ალ. ქათამაძემ.[31]

პორტო-ფრანკოსადმი მიძღვნილ ნაშრომში ამავე საკითხს აშუქებენ აბ. სურგულაძე და მ. სიორიძე.[32] მუჰაჯირობასთან გრ. გურიელის დამოკიდებულება თავის ნაშრომში აღნიშნა ა. დიასამიძემ.[33] მიგრაციის შედეგად დაცარიელებული ადგილების სახელები შევიდა აჭარის ტოპონიმიკურ აღწერილობაში.[34]

ამ უკანასკნელ ხანს მუჰაჯირობის პრობლემას შეეხო მკვლევარი ირ. ბარამიძე.[35] ამავე პერიოდში საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში მუჰაჯირობა ზოგადად გაამუქა ა. ბენდიანიშვილმა.[36] აჭარის განთავისუფლებისათვის გადახდილ ბრძოლებსა და მუჰაჯირობის საკითხს განიხილავს იურისტი ზ. ჩიტაძე სტატიაში „დამპყრობთა წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის ბრძოლის ისტორიიდან.“[37]

[26] ხ. ახვლედიანი, ნარკვევები აჭარის ისტორიიდან, ბათ., 1944; მისივე, სახალხო-გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1995.

[27] ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათ., 1948.

[28] გრ. ბაბილოძე, სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში, ბათ., 1958.

[29] ჯ. ჩხაიძე, ბათუმი (ისტორიული ნარკვევი), ბათ., 1958.

[30] ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1959.

[31] იხ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. 3, 1958.

[32] აბ. სურგულაძე, მ. სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, 1996, გვ. 34-36.

[33] ა. დიასამიძე, ბათუმის ოლქის მართველობისათვის. -სამართლის ინსტიტუტის შრომები, I, ბათ., 1998.

[34] ი. სიხარულიძე, აჭარის ტოპონიმიკა, I-II, ბათ., 1958-1959.

[35] ირ. ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ., 1999.

[36] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999.

[37] იხ. „სხალთის ზარები“, 1999 წ., N 1.

დასმულ პრობლემაზე არსებული ლიტერატურიდან აღსანიშნავია ჩვენს მხარეში გადმოსახლებული აფხაზების,[38] ბერძნების, გერმანელების, ებრაელების, რუსებისა და ქურთებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები.[39]

სამხრეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისა და მუჰაჯირობის შესახებ მდიდარი დოკუმენტები მოგვეპოვება სამამულო და უცხოურ არქივებში. უპირველესად, აღსანიშნავია 1828-1829 წწ. ომის პერიოდსა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებისადმი მიძღვნილი მასალები.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის სხვადასხვა ფონდში გაბნეული დოკუმენტები ასახავს ჩვენ კუთხეში არსებულ რთულ დემოგრაფიულ ვითარებას, შექმნილი აუტანელი სოციალური ყოფის დამადასტურებელ ფაქტებს. აქ გვხვდება როგორც მაღალი წრის წარმომადგენლების (აღები, ბეგები) საადგილმამულო ურთიერთობების ნიუანსები, ოსმალეთში გადასახლების, მამულების სახაზინოდ ჩარიცხვის ფაქტები, ასევე, სხვადასხვა ხეობის მთელი მოსახლეობის, საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენელთა ასეულობით თხოვნა, საჩივარი, საცხოვრებლის მიტოვების დამადასტურებელი დოკუმენტები და ა. შ. საარქივო მასალა შეიცავს უხვ ცნობებს მკვიდრი მოსახლეობისგან დაცლილ ად-

[38] აფხაზეთის მუჰაჯირობის პრობლემის გაშუქებისას, ჩვენს რეგიონში მიმდინარე ანალოგიურ პროცესს გ. ძიძარია შეეხო (Мухаджерство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1975).

[39] იხ. ნ. ვარშანიძე, ეთნოპოლიტიკური და კულტურული ვითარება ბათუმის ოლქში (XIX საუკუნის 80-იანი წლები), თბ., 2001, და იქ მით. ლიტ.

გილებში ჩამოსახლებულ უცხოტომელთა (ასურები, ბერძნები, დუხობორები, კაზაკები, მალაკნები, სომხები, ქურთები, ყარაფაფახები) პრივილეგებულ მდგომარეობაზე.[40]

სპეციალური ფონდებიდან გამოვლენილი დოკუმენტები მრავალფეროვან ცნობებს შეიცავს 1877-1878 წწ. ომის შემდგომ შექმნილი მდგომარეობის, საზავო მოლაპარაკებების, მათ შორის, მუჰაჯირობის საკითხებზე და სხვა. ამ მასალებში ნათლად იკვეთება იმპერიის მოხელეების მიერ ჩატარებული მუშაობის მნიშვნელობა, უცხოელების მიერ გაწეული პროპაგანდის მიზნები და ა. შ.[41]

ასევე, საინტერესო ცნობებია დაცული კორნელი კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის (ახალი ხელნაწერთა ეროვნული ფონდი) სხვადასხვა ფონდში. საზავო მოლაპარაკებისათვის წინასწარ მოფიქრებული საკითხები გვხვდება ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცულ დოკუმენტებში, ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის საისტორიო, საეთნოგრაფიო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, აჭარის სამუზეუმო გაერთიანებისა და სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში.

ცალკე უნდა აღინიშნოს იმდროინდელი პერიოდიკა, გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „გოლოსი“, „ობზორი“, ჟურნალები: „ცისკარი“, „ივერია“, „კვალი“ და სხვა. დასახელებულ პერიოდულ გამოცემებში დაცული „ცხელ-ცხელი“ ინფორმაცია მნიშვნელოვნად ავსებს საარქივო დოკუმენტებში არსებულ სარწმუნო მონაცემებს.

[40] სცსა ფონდები, 2; 11; 77; 88 და ა. შ.
[41] სცსა ფონდები, 5, 7, 12, 229 და ა. შ.

ამრიგად, არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, ახლად გამოვლენილი საარქივო დოკუმენტებისა და პერიოდიკის მონაცემების შეჯერების, ისტორიული ფაქტების ანალიზის საფუძველზე, ქვემოთ შევეცდებით წარმოვაჩინოთ სამცხე-ჯავახეთსა (1828-1834 წლების) და ბათუმის ოლქში (1878-1882 წწ.) მიმდინარე ემიგრაციული პროცესის („მუჰაჯირობის“) რეალური სურათი.

დაბოლოს, მონოგრაფია ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზებისგან, მკითხველის ყველა საქმიან შენიშვნას ავტორი მადლიერებით მიიღებს.

თავი 1
რუსეთის იმპერიის დამკვიდრება სამხრეთ საქართველოში და მუჰაჯირობა სამცხე-ჯავახეთში

§1. ახალციხის საფაშოს რუსთა მიერ დაკავების პირველი ცდები (1828-1829 წწ. ომი)

მე-15 საუკუნის შემდეგ (ხანმოკლე შესვენებების გამოკლებით), კონსტანტინეპოლი რუსული საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულება იყო. თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, კავკასია (ბალკანეთთან ერთად) ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ასევე გასაგებია ისიც, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო საკუთრივ საქართველო კავკასიის გასაღებს წარმოადგენდა და წარმოადგენს ახლაც.

ოსმალეთისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყანა, განსაკუთრებით, მისი დასავლეთი ნაწილი, სადაც რამდენიმე საზღვაო ბაზის მეშვეობით, ოსმალები სრუტეების მოსაზღვრე სამხრეთ ზღვისპირეთის ჩრდილო მონაკვეთს იცავდნენ. მათთვის არც აღმოსავლეთი საქართველო იყო უინტერესო. ცხადი იყო, რომ ამ რეგიონში სხვა მოქიშპე სახელმწიფოს (ირანი, რუსეთი) გაბატონება საფრთხეს უქმნიდა ოსმალეთის ინტერესებს ლიხთიმერეთში. ასევე მნიშვნელოვანი იყო ურჩი ვასალების ფაქტორი, რომლებსაც ყოველთვის შეეძლოთ თავშესაფარი მოენახათ თურქების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე.

რუსეთის წარმატებებს აღმოსავლელი დესპოტების ტრადიციულად აგრესიულმა პოლიტიკამაც შეუწყო ხელი. ქართველები, რელიგიური ფაქტორის გათვალისწინებით, ერთმორწმუნე სახელმწიფოს უჭერდნენ მხარს, რომელიც ყველა მართლმადიდებლის სულიერი ცენტრის - კონსტანტინეპოლის განთავისუფლებაზე აცხადებდა პრეტენზიას.

პრორუსული ძალები ძლიერ ქვეყანაზე დაყრდნობით საკუთარი ამოცანების, მათ შორის, ოსმალეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნებასაც გეგმავდნენ. თუმცა ქართველ მეფე-მთავრებს ყოფილი სამცხე-საათაბაგოს, ანუ ახალციხის საფაშოს ტერიტორიების დაბრუნება დამოუკიდებლადაც არაერთხელ უცდიათ. ასპინძის ომის შემდეგ აშკარა გახდა, რომ ამ მისიის შესრულება უცხო ძალის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის ციხე-სიმაგრე გიორგიევსკში საქართველოსა და რუსეთის სამეფო კარის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ცნობილ მფარველობით ტრაქტატს, რომლის ერთ-ერთი მუხლი სამცხე-საათაბაგოს შემოერთებას ითვალისწინებდა. მეხუთე მუხლით მფარველი აღუთქვამდა თავის მოკავშირეს, „რათა დროსა ბრძოლისასა იხმაროსცა ყოველი შემძლებლობა მეცადინეობისა ღონითა საჭურჭლისათა. ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკუმოქცევისათვის ქუეყნისა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და ყუელადვე სამეფოსა მიმართ ქართლისა და კახეთის შერაცხილთა“[42]. თუმცა, ტრაქტატის ეს მუხლი, და არა მარტო ეს, არ შესრულებულა, რაც, ფაქტობრივად საქართველოს დაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.[43]

აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა ო. ხერხეულიძის აღიარება იმის თაობაზე, რომ „ოდეს მოვიდა აღა-მაჰმად-

[42] ი. ცინცაძე, 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 232.
[43] М. Думбадзе, Из истории Борьби грузинского народа против колониальной политики царизма, - საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“, 1963 წ. N5, გვ. 77-78.

ხან და აღაოხრა ტფილისი, მისთვის არა დამიწერიეს ჯერეთ, ვინაითგან მიზეზნი და ვითარებანი გავრცელდებიან“-ო[44].

1801 წლის 12 აპრილს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ. მანიფესტი ოფიციალურად თბილისში, სიონის ტაძარში წაიკითხეს. ახალციხის საფაშოში ეს ფაქტი 1802 წ. 16 აპრილს გახდა ცნობილი, როცა საქართველოს მთავარმართებელმა გენერალმა კნორინგმა შერიფ-ფაშას შეატყობინა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ნაცვლად, ამიერიდან მისი მეზობელი რუსეთის იმპერიაა.[45] იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტში ნათქვამია: „არა გავრცელებისათვის საზღვართა და ესრეთცა უკვე ვრცელსა ქვეყანასა ზედა იმპერიისა შინა მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებლობისასა.“[46] თუმცა ყველასათვის თვალნათელი იყო, რომ საქართველოს ისტორიული მიწების შემოერთება ამიერიდან რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის ნაწილი გახდა.

მიუხედავად ამისა, ძირძველი ქართული ტერიტორიების დაბრუნებისათვის ზრუნვას ფეოდალური არისტოკრატიის ერთი ნაწილი კვლავაც განაგრძობდა. ამიტომაც ისინი აქტიურად ჩაებნენ მე-19 ს-ის დასაწყისში, რუსებთან ერთად, ოსმალეთის წინააღმდეგ გამართულ კამპანიებში.

იმპერიამ აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებისთანავე დაიწყო ზრუნვა ახალციხის საფაშოს დიპლომატიური გზით შემოერთებისათვის. მთავარმართებელმა ციციანოვმა ეს ხერხი ჯერ კიდევ 1803 წელს სცადა. ის სტამბოლში რუსეთის ელჩს, იტალინსკის 1803 წლის 26 თებერვალს სწერდა, როგორმე დაეთანხმებინა დივანი, რომ რუსეთის მფარველობაში შესულიყო სამეგრელო, იმერეთი და შავი ზღვის სანაპირო ადგილები ქ. ფოთთან ერთად. აქვე დაბეჯითებით სთხოვდა, გაეგო, შეიძლებოდა თუ არა ასეთივე დათმობებზე წასულიყო პორტა ახალციხის საფაშოს მიმართ. ამ მოთხოვნას მთავარმართებელი რიგი მოსაზრებებით ამტკიცებდა, კერძოდ იმით, რომ ამის გარეშე ქართლის საზღვრების მშვიდობა უზრუნველყოფილი ვერ იქნებოდა. აქვე აღნიშნავდა იმასაც, რომ ისტორიულად ეს ტერიტორიები საქართველოს ეკუთვნოდა.[47] მთავარმართებელ ციციანოვის ეს წინადადება საიმპერატორო კარმა, რიგი მოსაზრებების გამო, უარყო. ამრიგად, ახალციხის საფაშოს შემოერთების პირველი, თუმცა საკმაოდ უსუსური ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

შემდგომი მცდელობა ახალციხის საფაშოს შემოერთებისა, რუსეთ-ოსმალეთს შორის 1806-1812 წწ. ომის მსვლელობისას იყო. როგორც ცნობილია, ომი, რომელიც ორ იმპერიის შორის გადაუჭრელმა წინააღმდეგობებმა გამოიწვია, 1806 წლის 18 დეკემბერს დაიწყო. ამის შესახებ ახალციხის საფაშოში 1807 წლის 10 იანვარს გაიგეს. ხოლო 11 იანვარს მოსახლეობას სულთნის „ფარვანი“ გამოუცხადეს და ომისათვის მზადებას შეუდგნენ.[48]

გაიხსნა ორი ფრონტი - ევროპასა და კავკასიაში. აზიის ფრონტს ოსმალთა მხრიდან არზრუმის სერასკერი იუსუფ ზია ფაშა მეთაურობდა. რუსეთის მხრიდან მთავარსარდლად მთავარმართებელი გუდოვიჩი დაინიშნა. კავკასიის ფრონტის მთავარსარდლობის გეგმით, ოსმალეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციები ფოთის, ახალციხისა და ყარსის მიმართულებით უნდა დაწყებულიყო. საომარი ოპერაციები ახალციხის საფაშოს მი-

[44] ო. ხერხეულიძე, ცხოვრება მეფის ირაკლი მეორისა. ქ. ც. ჩუბ. გვ. 495-7.
[45] Акты, т. 1, ст. 69-70.
[46] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, გვ. 557.
[47] Акты, т. 3, стр. 342.
[48] იოანე ხუცესი, ქრონიკები, გვ. 42-43.

მართულებით, ფაქტობრივად 1807 წლის მარტში დაიწყო[49]. რუსთა ძირითადმა ძალებმა, გუდოვიჩის მთავარსარდლობით, საფაშოს საზღვრები თავფარავნის ტბის მიდამოებში 1807 წლის 28 აპრილს გადალახეს.[50] ამავე წლის 3 მაისს გუდოვიჩმა ახალციხის საფაშოს უფროსებს, ბეგებს, სასულიერო პირებს მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც ეწერა, რომ ის შედის ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე, როგორც მტრის მიწაზე ბრძოლისათვის. მართალია, აქვე მთავარსარდალი ჰპირდებოდა მოსახლეობას, თუ ისინი წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, სიცოცხლესა და ქონებას შეუნარჩუნებდა[51], მაგრამ ეს განმათავისუფლებლის ნოტა არ იყო. ყველაფერი დამპყრობლის ძალადობას უფრო ჰგავდა. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, გუდოვიჩი მოკლებული იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას.

6 მაისს რუსთა კორპუსი ახალქალაქის ციხიდან მოშორებით, ორი კილომეტრის მანძილზე დაბანაკდა. გუდოვიჩმა ამავე დღეს ახალქალაქის კომენდანტს, სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის ძმისშვილს, წინადადება მისცა ციხისა და შიგ მდგარი 1500 მეომრის უბრძოლველად დანებების თაობაზე.[52] მოქმედი კორპუსის ხელმძღვანელობამ მთაგორიანი რელიეფისა და შორიახლო ოსმალთა 2000-ანი ცხენოსანი რაზმის არსებობის გამო, მიიღო ციხის არა ხანგრძლივი ალყით, არამედ პირდაპირი იერიშით აღების გადაწყვეტილება.[53] შეტევა 8 მაისს დაიწყო. იერიშის დაწყებისთანავე თავი იჩინა რუსთა კორპუსის მოუმზადებლობამ. იერიში საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. იმავე

[49] იოანე ხუცესი, ქრონიკები, გვ. 34. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ. 1975 წ. გვ. 118.
[50] Акты, т. 3, стр. 579-572.
[51] იქვე, გვ. 580.
[52] იქვე, გვ. 581-582.
[53] იქვე, გვ. 584.

დღეს გუდოვიჩმა უკან დახევის ბრძანება გასცა.[54] ციხის იერიშისას რუსთა კორპუსმა საგრძნობი დანაკარგები განიცადა. მოკლულთა და დაჭრილთა სახით 900 მებრძოლი გამოვიდა მწყობრიდან. ოსმალთა მხრიდან დანაკლისი გაცილებით ნაკლები იყო.[55] ამ მარცხით შეშინებულმა გუდოვიჩმა ფოთისა და ყარსის მიმართულებით წარმატებით მებრძოლ არმიებსაც უკან დაახევინა.

ამრიგად, 1807 წ. ახალციხის საფაშოს შემოერთების მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. გუდოვიჩის წარუმატებლობამ ახალქალაქთან და საერთოდ კავკასიის ფრონტზე, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა საიმპერატორო კარის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზეც. 1809 წლის თებერვალში რუსეთმა ოსმალეთს გადასცა მომავალი საზავო პირობების პროექტი, რომელშიც ახალციხის შემოერთების თაობაზე აღარაფერი იყო ნახსენები.[56]

რუსეთის პოლიტიკა ახალციხის საფაშოს მიმართ საგრძნობლად შეიცვალა მას შემდეგ, რაც კავკასიის არმიის მთავარსარდლად ტორმასოვი დაინიშნა. მას მიაჩნდა, რომ საქართველოს მშვიდობიანი ცხოვრებისათვის აუცილებელია ახალციხის საფაშოს შემოერთება. აი, რას წერს ის გრაფ რუმიანცევს 1809 წლის 20 სექტემბერს: სანამ ახალციხის საფაშო, რომელიც საქართველოში მშვიდობის დამყარებისათვის, თავისი ადგილმდებარეობით, უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენს, არ გათავისდება იმპერიის შემადგენლობაში, მანამ ჩვენი მარჯვენა ფლანგი მტრების ხელყოფისაგან უზრუნველყოფილი არ იქნე-

[54] იქვე, გვ. 586.
[55] იქვე, გვ. 586. შ. ლომსაძე, დასახ. ნაშ. გვ. 120.
[56] შ. ლომსაძე, დასახ. ნაშ. გვ. 121.

ბა.[57] საამისოდ ტორმასოვი ორ გზას ხედავდა: პირველი - დიპლომატიური; მეორე - ომის საშუალებით.

1809 წ. 15 ნოემბერს დაეცა ფოთი. სერასკერი შერიფ-ფაშა ჯაყელის ჯარები რუსეთის ნაწილებმა სასტიკად გაანადგურეს. დამარცხებულმა შერიფ-ფაშამ ახალციხის საფაშოს სამემკვიდრეო ტახტისათვის გააჩაღა ბრძოლა. სწორედ ამ შინაფეოდალურ წინააღმდეგობაზე დაიწყო თავისი პოლიტიკის აგება ტორმასოვმა. ის საქართველოში მოსვლისთანავე შეეცადა დიპლომატიური გზით შეეყვანა ახალციხის საფაშო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ. საამისოდ მთავარმართებელმა გააბა ურთიერთობა თავად ზურაბ წერეთელთან, რომელიც არწმუნებდა მას, რომ მისი დისა და სიძის, მამია გურიელის საშუალებით, დაითანხმებდა სელიმ ხიმშიაშვილს რუსეთის მფარველობის აღიარებაზე.[58] ტორმასოვი ამ იდეამ ისე გაიტაცა, რომ მან ახალციხის საფაშოს შემოერთების მომავალი ტრაქტატი შეადგინა, რომელიც ზურაბ წერეთლის ხელით მამია გურიელს გაუგზავნა ფაშისათვის გასაცნობად.[59] ამავე დროს, ტორმასოვმა 1809 წლის 20 მაისს სელიმთან მაიორი ცორაევი (ცორაშვილი) გაგზავნა.[60] მაიორ ცორაშვილს დავალებული ჰქონდა, ხელსაყრელ ვითარებაში, ძალზე ტაქტიანად მიეცა წინადადება სელიმ ხიმშიაშვილისათვის რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის თაობაზე. ფაშა იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის შემთხვევაში მიიღებდა სამუდამო ხელფასს, სამემკვიდრეო მმართველობაში გადაეცემოდა საფაშო, ამავე დროს, თავიდან ჩამოიშორებდა ტახტის მოცილეებს.[61] როგორც შემდგომ განვითარებული

[57] В. Потто, Утверждение русскаго владычества на Кавказе, т. 2, Тиф. 1902 г. стр. 245.
[58] Акты, т. 4, стр. 781.
[59] იქვე.
[60] იქვე, გვ. 781-782.
[61] Акти, т. 4, стр. 782.

მოვლენებიდან ჩანს, სელიმ ფაშა ტორმასოვის წინადადებას დადებითად შეხვდა.

1809 წლის 26 ივლისს ახალციხეში სრულუფლებიანი ელჩის სტატუსით პოლკოვნიკი, თავადი პეტრე ორბელიანი გაემგზავრა. მას სელიმისათვის ტორმასოვის ტრაქტატის პირობები უნდა გაეცნო. ტრაქტატი 11 მუხლისაგან შედგებოდა. მისი ძირითადი შინაარსი შემდეგია: 1. ახალციხის საფაშო შედიოდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში. 2. იქ ჩადგებოდა რუსული გარნიზონი. დაბოლოს, სელიმი ერთგულების ნიშნად შვილს, აბდის მძევლად მისცემდა რუსეთს.[62] არსებულმა მდგომარეობამ განსაკუთრებული სიმძაფრე მას შემდგომ მიიღო, როცა 1809 წლის ბოლოს შერიფ-ფაშამ შეძლო სელიმ ხიმშიაშვილის ტახტიდან ჩამოგდება.[63] მოლაპარაკებები სელიმ ხიმშიაშვილთან არც ამის შემდეგ შეწყვეტილა. ტორმასოვი სიმონოვიჩის საშუალებით სელიმ ხიმშიაშვილისაგან ტრაქტატზე ხელის მოწერას ითხოვდა.[64] მაგრამ 1810 წლის ცნობილი ამბების (იმერეთის სამეფოს გაუქმების) შემდეგ, სელიმ ხიმშიაშვილმა ფაქტობრივად უარი განაცხადა ტრაქტატით შეთავაზებულ მუხლებზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური ურთიერთობანი სელიმ ხიმშიაშვილსა და ტორმასოვს შორის კვლავ გრძელდებოდა.

ახალციხის დიპლომატიური გზით შემოერთების ცდამ სასურველი შედეგი არც შერიფ ფაშასთან მოლაპარაკებით გამოიღო. მართალია, შერიფ ჯაყელი უარს არ ამბობდა რუსეთთან კეთილმეზობლობაზე, მაგრამ საბოლოო პასუხს აყოვნებდა.[65]

[62] იქვე, გვ. 784.
[63] В. Потто, დას. ნაშ., გვ. 246.
[64] Акты, т. 4, стр. 789.
[65] В. Потто, დას. ნაშ., გვ. 246-247; Акты, т. 4, стр.783.

ამრიგად, არც 1809 წელს გახდა შესაძლებელი ახალციხის საფაშოს შემოერთება. ტორმასოვის დიპლომატიამ, რომლის უმთავრესი მიზანი იმპერიის უზენაესი ინტერესები იყო, აბსოლუტური კრახი განიცადა. ახალციხის შემოერთების საკითხი კვლავ სამომარი ოპერაციების პრეროგატივა გახდა.

1810 წლის გაზაფხულისათვის რუსეთის ჯარები ახალციხის საფაშოს საზღვრებთან იდგნენ და სამომარი ოპერაციების დაწყებისათვის სასურველ ვითარებას ელოდებოდნენ.[66] 1810 წლის 6 ივლისს, როცა ფაქტობრივად ახალციხის საფაშოს შემოერთების დიპლომატიური საშუალება ამოწურული იყო, საქართველოს მთავარმართებელი ტორმასოვი თავის პატაკში გრაფ კამენსკის სწერდა, თუ დიპლომატიური საშუალებებით საფაშოს შემოერთება არ მოხერხდება, მაშინ საჭირო გახდება ლაშქრობის მოწყობა და ახალციხის იარაღით დაკავება. ყოველივე ამის აღსრულებას ტორმასოვი სასწრაფოდ მოითხოვდა.[67] მართლაც, კავკასიაში რუსთა მმართველობის წინააღმდეგ შექმნილი ვითარება დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვდა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1809 წლის ზაფხულში დაწყებული ირან-ოსმალეთის სამხედრო ალიანსი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, 1810 წლის გაზაფხულზე ოფიციალურად გაფორმდა.[68] ამავე დროს, ახალციხის საფაშოში თავი მოიყარა საქართველოში რუსული ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლმა თითქმის ყველა ძალამ. აქ იმყოფებოდა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე თავისი ამალით, ასევე, ბატონიშვილი ალექსანდრე.[69] ამიტომაც ტორმასოვი ძალზე ჩქარობდა საფაშოს რუსეთის იმპერიისათვის შეერთებას. მთავარსარდალის მიერ

[66] В. Потто, დას. ნაშ., გვ. 248.
[67] Акты, т. 4, стр. 767.
[68] В. Потто, დას. ნაშ., გვ. 249; შ. ლომაძე, დას. ნაშ. გვ. 129.
[69] Акты, т. 4, стр. 127-128; В. Потто, დას. ნაშ., გვ. 249.

მოვლენათა დაჩქარება გამოწვეული იყო იმ ფაქტითაც, რომ რუსთა მოლდავეთის არმიის წარმატება დააჩქარებდა რუსეთ-ოსმალეთს შორის სამომარი ოპერაციების შეწყვეტასა და საზავო ხელშეკრულების დადებას, რის შემდეგადაც ახალციხის საფაშო რუსეთის იმპერიის ფარგლებს გარეთ დარჩებოდა.[70]

1810 წლის ზაფხულში ახალქალაქთან გენერალ-მაიორმა მარკიზ პაულიჩმა გაანადგურა ირანელთა ლაშქარი, რომელსაც ჰუსეინ-ყული ხანი მეთაურობდა. რუსთა ამ გამარჯვებით, ფაქტობრივად, ირან-ოსმალეთის სამხედრო კავშირს ბოლო მოეღო.[71] ახალქალაქთან ირან-ოსმალეთის გაერთიანებულ ლაშქარზე გამარჯვების შემდეგ, ტორმასოვმა დაიწყო ახალციხის საფაშოს დაპყრობის კონკრეტული გეგმის შედგენა. მთავარსარდლის გეგმა ითვალისწინებდა საფაშოში სამი მიმართულებით შეჭრას: 1. გენერალი პორტიაგინი წალკა-ჯავახეთის გზით, 30 ოქტომბერს უნდა დაბრულიყო ახალციხისაკენ. 2. გენერალ სიმონევიჩს ზეკარის უღელტეხილის გავლით 1 ნოემბერს უნდა მიემართა თავისი რაზმი ახალციხისაკენ. 3. ძირითადი რაზმი, რომელსაც გენერალი ბარონი როზენი ხელმძღვანელობდა, ბორჯომის ხეობიდან უნდა შესულიყო ახალციხეში. ფაქტობრივად ამ რაზმს მთავარსარდალი ტორმასოვი ხელმძღვანელობდა. გეგმის თანახმად, ყველა რაზმი ახალციხეში ერთმანეთს 12 ნოემბერს უნდა შეხვედროდა.[72] ამავე გეგმით, სამომარ ოპერაციებში მონაწილეობისათვის დიდი რაოდენობით ქართული მილიციაც უნდა გამოსულიყო. ის ორ ნაწილად გაიყოფოდა. ერთს უხელმძღვანელებდა კონსტანტინე ბაგრატიონი, ხოლო მეორეს - ვახტანგ ორბელიანი. ორივე

[70] В. Потто, დას. ნაშ., გვ. 249.
[71] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 112-114. В. Потто, დას. ნაშ., გვ. 249. შ. ლომაძე, დას. ნაშ. გვ. 130.
[72] Акты, т.4, стр. 801-803.

ნაწილი კი დაემორჩილებოდა გენერალ-მაიორ თამაზ ორბელიანს.[73]

ლაშქრობის ოფიციალურ ვერსიად გამოცხადებული იყო ახალციხის საფაშოში მყოფი სოლომონ მეორისა და შერიფ-ფაშას ანტირუსული საქმიანობის აღმოფხვრა.[74] ტორმასოვმა საფაშოს მოსახლეობის კეთილგანწყობის მიზნით, 1810 წლის 25 ოქტომბერს შეადგინა პროკლამაცია, იგი გენ. სიმონოვიჩს საზღვრის გადალახვის შემდეგ უნდა გაეცნო ხალხისათვის.[75] ტორმასოვი პროკლამაციაში მოსახლეობას არწმუნებდა, რომ ის საფაშოში მხოლოდ და მხოლოდ შერიფ-ფაშას დასასჯელად შედიოდა, რომელმაც გატეხა ფიცი კეთილმეზობლობის შესახებ და შეიხიზნა იმერეთის მეფე სოლომონი. ტორმასოვი, პროკლამაციაში მიმართავდა რა საფაშოს მცხოვრებლებს, წერდა: „თუ თქვენ იქნებით მშვიდად, განუდგებით შერიფ-ფაშას და შემოხვალთ ჩვენი იმპერატორის ქვეშევრდომობაში, მაშინ თქვენი ოჯახი, კერძო საკუთრება და წინაპართა საფლავები ხელშეუხებელი დარჩება.“[76] თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საწინააღმდეგო შემთხვევაში ტორმასოვი მათ „სისხლის მდინარეებს“ ჰპირდებოდა.[77]

ზემოთ წარმოდგენილი გეგმის თანახმად, 1810 წლის შემოდგომისათვის რუსეთის საქართველოს საზღვრებიდან ახალციხის საფაშოს მიმართულებით რუსთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი დაიძრა. ექსპედიციას თან ახლდა გარკვეული წინააღმდეგობანი, რაც გამოწვეული იყო როგორც ოსმალთა პატარ-პატარა რაზმების თავდასხმებით, ისე მკაცრი

[73] იქვე, გვ. 803.
[74] В. Потто, დას. ნაშ., გვ. 250.
[75] Акты, т.4, стр. 801-803; В. Потто, დას. ნაშ., გვ. 251.
[76] Акты, т.4, стр. 803.
[77] იქვე.

კლიმატური პირობებით.[78] პირველი ახალციხესთან 11 ნოემბერს გენ. პორტიაგინი მივიდა.[79] 14 ნოემბერს ახალციხეს თავისი რაზმით მთავარსარდალი ტორმასოვი მიადგა, ხოლო 16 ნოემბერს - სიმონოვიჩის ნაწილები.[80] სიმონოვიჩის რაზმის მისვლით, ფაქტობრივად დამთავრდა ახალციხის ალყაში მოქცევა. ტორმასოვის განკარგულებაში 12 ბატალიონი და 3000-ზე მეტი ცხენოსანი იმყოფებოდა, დაახლოებით, 10000 მებრძოლი.[81] რუსთა წინააღმდეგ საბრძოლველად შერიფ-ფაშას ახალციხის გარნიზონის სახით 10000 მეომარი ჰყავდა.[82]

1810 წ. 18 ნოემბრიდან ახალციხის სიმაგრეები რუსული საარტილერიო ცეცხლის ქვეშ იმყოფებოდა. 19 ნოემბერს აიღეს ყაიაფაშას სიმაღლე, რომელიც ბატონობდა ციხეზე.[83] 22 ნოემბრიდან დაიწყო მასიური საარტილერიო დაბომბვა, რომელიც ოთხ დღე-ღამეს გრძელდებოდა. ქალაქი ცეცხლის ალში გაეხვია.[84] ასეთ ვითარებაში გარნიზონი, როგორც ამას შემდგომ ტორმასოვი გრაფ რუმიანცევს თავის პატაკში აცნობებდა, ფაქტობრივად მზად იყო, შეეწყვიტა წინააღმდეგობა, მაგრამ 1810 წლის 26 ნოემბერს ალყა მოხსნეს. ტორმასოვმა უკან დაიხია.[85]

ტორმასოვის უკან დახევას რამდენიმე მიზეზი აქვს. საომარი ოპერაციების მსვლელობისას გაირკვა, რომ ახალციხეში შავი ჭირი მძვინვარებდა. ავადმყოფობამ 21 ნოემბერს რუსთა ნაწილებშიც იჩინა თავი 6 გარდაცვლილი ადამიანის სახით. ამა-

[78] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 114; Акты, т.4, стр. 804-805; В. Потто, დას. ნაშ., გვ. 253-255.
[79] В. Потто, დას. ნაშ., გვ. 254.
[80] იქვე, გვ. 254-258.
[81] იქვე, გვ. 259.
[82] იქვე, გვ. 259.
[83] Акты, т. 4, стр.809.
[84] იქვე, გვ. 809-810.
[85] შ. ლომსაძე, დას. ნაშ. გვ. 136.

ვე დროს, ლაშქარს სურსათ-სანოვაგე და ტანისამოსი არ ჰყოფნიდა.[86] უკან დახევისას მთავარმმართებელმა ჯარის ნაწილებს სამცხე-ჯავახეთის გაძარცვის ნება დართო. ამასთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებოა ერთი ფაქტი, კერძოდ, ის, რომ ტორმასოვმა აღნიშნული კამპანიის დროს ქართველ თავად-აზნაურობას მისცა ნება, დაეტყვევებინათ და საქართველოში წამოეყვანათ თურქთა მიერ ადრე ქართლიდან თუ საქართველოს სხვა კუთხეებიდან მოტაცებული ტყვეები. აქვე მითითებულია, რომ თუ ასეთი ოჯახები ცოტა იქნება, მაშინ ოსმალეთისათვის ზარალის მიყენების მიზნით, მათ აქვთ უფლება ახალციხის მკვიდრთა წამოყვანისა.[87] აღნიშნული ლაშქრობისას ახალციხის საფაშოდან წამოიყვანეს 1500 ქრისტიანული ოჯახი და 50 ათასი სხვადასხვა ჯიშის საქონელი.[88]

ახალციხის საფაშოს შემოერთებისათვის წარმოებული ეს ბრძოლა, ისევე, როგორც გასული წლებისა, უშედეგოდ დამთავრდა. რუსეთის იმპერია ამ ლაშქრობით ცდილობდა, განემტკიცებინა თავისი პოზიციები კავკასიაში, გაეფართოებინა საზღვრები. მიზნების მისაღწევად იმპერია ერთგვარი იდეოლოგიური შირმითაც შეინიღბა. იდეოლოგია, რომლის მთავარი დანიშნულება თითქოსდა საქართველოს ძირძველი ტერიტორიისა და ხალხის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლება იყო. 1810 წლის კამპანიის თაობაზე ტორმასოვი სიამაყით აცხადებდა: „რუსული იარაღის შედეგები საფაშოში იმდენად დიდია, რომ სულ ცოტა ათი წლის მანძილზე იგი ვერ დაუბრუნდება თავის ყოფილ მდგომარეობას“.[89]

[86] Акты, т. 4, стр. 811-812. В. Потто, დას. ნაშ., გვ. 260-264.
[87] В. Потто, დას. ნაშ., გვ. 262.
[88] В. Потто, დას. ნაშ., გვ. 265.
[89] Акты, т. 4, стр. 817.

მიუხედავად 1810 წლის ლაშქრობის წარუმატებლობისა, რუსეთის იმპერიას ახალციხის საფაშოს მიმართულებით საომარი ოპერაციები არ შეუწყვეტია. ლაშქრობათა პარალელურად მიმდინარეობდა დიპლომატიური მოლაპარაკებანიც.

1811 წლის დეკემბერში, როგორც ცნობილია, პოლკოვნიკმა კოტლიარევსკიმ აიღო ახალქალაქი. მაგრამ ეს მხოლოდ ფრაგმენტული წარმატება იყო. მას არ შეეძლო გადამწყვეტი როლი ეთამაშა საფაშოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების საქმეში. მით უმეტეს, რომ 1812 წლის 16 მაისს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბუქარესტში დადებული ზავის თანახმად, ახალქალაქი და ფოთი ოსმალეთს დაუბრუნდა.[90]

ასეთივე წარუმატებლობა ხვდა წილად დიპლომატიურ საქმიანობასაც. როგორც ცნობილია, 1815 წელს სელიმ ხიმშიაშვილი ბაბა ფაშამ დააპატიმრა! რამაც, ფაქტობრივად ბოლო მოუღო ისედაც უნიათო რუსეთის დიპლომატიას.

მართალია, 1806-1812 წლების ომის წყალობით მოხერხდა დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლის თითქმის სრული განთავისუფლება, მაგრამ გადაუჭრელი დარჩა ახალციხის საფაშოს შემოერთების პრობლემა, რომელიც სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის მთავარ პლაცდარმს წარმოადგენდა. ამიტომაც მისი შემოერთების საკითხი რუსეთის იმპერიისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. 1828-1829 წწ. ომმა ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაწყვიტა.

მოწინააღმდეგე მხარეები, რომლებიც უკმაკოფილონი იყვნენ წინა წლების დიპლომატიური თუ სამხედრო მიღწევებით, გამალებულად ემზადებოდნენ ახალი ომისათვის. 1828 წლის აპრილში პეტერბურგში გამოქვეყნდა მანიფესტი ოსმალეთთან ომის დაწყების თაობაზე. ორივე იმპერიის სახელმწიფო ინტერესები კვლავ ბალკანეთსა და კავკასიაში დაეჯახა ერთმანეთს.

[90] შ. ლომსაძე, დას. ნაშ. გვ. 144.

კავკასიის ფრონტის ძირითადი მიზანი დუნაიზე მოქმედი რუსული სამხედრო ძალებისთვის მდგომარეობის შემსუბუქება და იმპერიის სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად ახალციხისა და ყარსის საფაშოების, აგრეთვე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული ოსმალური სიმაგრეების ხელში ჩაგდება იყო.[91] სპარსეთთან ახლად დამთავრებული ომისა და სხვა მიზეზთა გამო, რუსეთმა მტერთან შედარებით ნაკლებ სამხედრო ძალებს მოუყარა თავი.[92]

ოსმალებმა, რომლებსაც კარგად ჰქონდათ დაყენებული აგენტურული საქმიანობა, საგანგებოდ გაამაგრეს აჭარა-ქობულეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ბორჯომის ხეობის მისადგომები. გაზარდეს ახალციხის, ახალქალაქის, აწყურისა და სხვა სტრატეგიული პუნქტების გარნიზონები.[93]

რუსეთის კავკასიური კორპუსის მთავარსარდალმა პასკევიჩმა, 1828 წ. 14 ივნისს, გუმრის ციხიდან ყარსისკენ დაძრა თავისი რაზმები. ცხრა დღეში შტურმით აიღო ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი.[94] ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო განამტკიცა რუსეთის არმიის ისედაც მაღალი საბრძოლო სული. ამის შემდეგ დღის წესრიგში ახალქალაქის აღება დადგა, რომლის ათასკაციანი გარნიზონი ძირითადად ქართველი მაჰმადიანებისგან შედგებოდა. გარნიზონმა ფარხად-ბეგ ხიმშიაშვილის მეთაურობით დიდი წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილებს. მაგრამ ძალთა, განსაკუთრებით, ტექნიკური უპირატესობის წყალობით, რუსებმა 24 ივლისს ჯავახეთის ცენტრიც დაიკავეს. ბრძოლის ველზე 700-მდე მუსლიმი დაეცა.[95] არტაანიდან დასახმარებლად გამოგზავნილი 2000 ლაზი იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო. რუსებმა მდიდარი სამხედრო ალაფი და სამასამდე ტყვე, მათ შორის, სანჯაყ-ბეგი ჩაიგდეს ხელში.[96] ამ მარცხმა ერთობ უარყოფითი ზეგავლენა იქონია ოსმალეთის არმიაზე. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მხარის აღებით საფრთხე მოეხსნა ქვემო ქართლის მოსახლეობას, რომელიც განსაკუთრებით ზარალდებოდა აგრესიული მეზობლის შემოსევებისგან.[97]

სამხედრო გეგმის მომდევნო მიზანს საფაშოს დედაქალაქი - ახალციხე წარმოადგენდა. პასკევიჩი ქართლის საზღვრის გაყოლებით, ძირითადად ქრისტიანებით დასახლებულ, შედარებით უსაფრთხო ახალქალაქ-ასპინძის მიმართულებით გაიჭრა.[98] ახალქალაქში დატრიალებული ხოცვა-ჟლეტით დაშინებული ხერთვისის გარნიზონი უბრძოლველად დანებდა მტერს,[99] ხოლო ასპინძის დამცველებმა საერთოდ მიატოვეს ციხესიმაგრე და გაიქცნენ.[100] მხარის ქრისტიანი მოსახლეობა, რომელიც თურქთა შიშით გახიზნული იყო, კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ სახლებს.[101]

აგვისტოს დასაწყისში რუსთა ძირითადი ნაწილები ახალციხესთან დაბანაკდნენ. მათთან შესაერთებლად ბორჯომის ხეობიდან და იმერეთიდანაც დაიძრნენ სამხედრო შენაერთები.

[91] ЦГИАЛ, ф. 1018, оп. 3, д. 34 (აქ და ქვემოთ მითითებულია შ. ლომსაძის მონოგრაფიიდან: სამცხე-ჯავახეთი, თბ. 1975).
[92] В. Потто, История 44-го драгунского Нижегородского полка, т. III-IV, СПб., 1894, ст. 64.
[93] Ушаков, История военных действии в азиатской Турции в 1828-1829 годах, ч. I, ст. 151-152; Тифлисские ведомости, 1828, № 23.
[94] В. Потто, Кавказская война, т. 4, ст. 25-33; ЦГВИА, ф. ВУА, д. 4649, л. 82 (აქ და ქვემოთ მითითებულია შ. ლომსაძის მონოგრაფიიდან: სამცხე-ჯავახეთი, თბ. 1975).

[95] Потто В. Кавказская война, т. 4, ст. 108.
[96] იქვე
[97] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ. 1975, გვ. 163.
[98] იქვე, გვ. 164.
[99] ЦГИАЛ, ф. 1018, оп. 3, д. 73.
[100] Акты, т. VII, ст. 760.
[101] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 164.

თურქებმა ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობის ტოტალური მობილიზაცია გამოაცხადეს და 15000 შეიარაღებულ კაცს მოუყარეს თავი. 4 აგვისტოს მათ არტაანიდან გამოგზავნილი 30000-იანი დამხმარე კორპუსიც დაემატა.[102] პასკევიჩმა სწრაფი მანევრების საშუალებით მტერს ციხეში შესვლის შესაძლებლობა არ მისცა. 5 აგვისტოს თურქი ცხენოსნები შეეცადნენ, გზა გაეჭრათ ალყაშემორტყმული ქალაქისკენ, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. ამ ბრძოლაში თავი განსაკუთრებით ქართველმა მოლაშქრეებმა ისახელეს. 8 აგვისტოს პასკევიჩმა, რომელიც ლაზთა ახალი, 10000-იანი დამხმარე რაზმის მოახლოებაზე ფლობდა სანდო ინფორმაციას, სამხედრო შტაბის სხდომა მოიწვია. გადაწყდა, უშუალოდ ქალაქზე მიეტანათ იერიში. მართლაც, 9 აგვისტოსთვის რუსებმა მნიშვნელოვანი პოზიციური უპირატესობები მოიპოვეს და მძიმე ზარალი მიაყენეს მტერს.[103] მომდევნო ორი დღის განმავლობაში ქალაქის ინტენსიური დაბომბვა მიმდინარეობდა. 12 აგვისტოს პასკევიჩმა ახალციხის გარნიზონს დანებება შესთავაზა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. შტურმი მხოლოდ სამი დღის შემდეგ განახლდა.[104] ადგილობრივი მოსახლეობა მედგრად დაუხვდა რუსებს, ქუჩის ბრძოლებში ქალებიც კი ჩაერთვნენ.[105] ქალაქის დამცველები მხოლოდ პასკევიჩის ბრძანებით გაჩაღებული ხანძრის გამო შედრკნენ. მრავალი ადამიანი ცოცხლად ამოიბუგა, ანდა ტყვეების შიშით მოისწრაფა სიცოცხლე.[106] მიუხედავად ამისა, ბრძოლები 16 აგვისტოსაც გაგრძელდა. განსაკუთრებით სისხლისმღვრელი შეტაკებები შიდა ციდატელში მიმდინარეობდა. ახალციხის

[102] იქვე, გვ. 165.
[103] В. Потто, Кавказская война, т. 4, ст. 131-154.
[104] ЦГИАЛ, ф. 1018, оп. 2, л. I.
[105] В Потто, Кавказская война, т. 4, ст. 163.
[106] იქვე, გვ. 171; Акты, т. VII, ст. 764-765; Тифлисские ведомости, № 13, 1828; Ушаков, История военных действии… ч. I, ст. 333.

გარნიზონი საბოლოოდ მთავარი კოშკის აღების შემდეგ გატყდა.[107]

დილის 8 საათზე ქართველ გრენადერთა პოლკი შევიდა შიდაციხეში და ახალციხის თავზე წმინდა გიორგის დროშა აღმართა.[108] კაპიტულაციის პირობების თანახმად, ოსმალთა სამხედრო ხელმძღვანელობა გადარჩენილ ჯარისკაცებთან და მშვიდობიანი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან ერთად არტაანისკენ გაემართა.[109]

ბრძოლის ველზე 5 ათასი თურქი და 1300 რუსი სამხედრო დაეცა.[110] საომარი მოქმედების სიმწვავეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ტყვედ მხოლოდ რამდენიმე ასეული მებრძოლი ჩავარდა.[111]

თურქთა ბატონობის გადავარდნას სიხარულით შეეგება მხარის ქრისტიანული მოსახლეობა და მთლიანად ქართველი ერი, მაგრამ პასკევიჩის მიერ დროებითი მმართველობის სათავეში ანტიქართული სულისკვკთებით გამსჭვალული გენ. ვ. ბებუთოვის დანიშვნით აშკარა გახდა, რომ ერთი დამპყრობელი მეორეთი შეიცვალა. ახალციხის დაცემიდანვე დაიწყო მიზანმიმართული კამპანია, რომელიც რეგიონიდან ქართული მოსახლეობის განდევნასა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მხარდამჭერი ელემენტების ჩასახლებას ითვალისწინებდა.

გამარჯვებულებს ქალაქი ფაქტობრივად ცარიელი დახვდათ. ყველა უბედურებას შავი ჭირი და შიმშილობა დაემატა.[112] ბევრი ადგილობრივი მოსახლე აიყარა მშობლიური მიწა-წყლ-

[107] В. Потто Кавказская война, т. 4, ст. 176.
[108] მისივე, Утвержденіе русского владичества на Кавказъ, т. 4, Тиф., 1908, ст. 97.
[109] ЦГИАЛ, ф. 1018, оп. 3, д. 78, л. 1.
[110] Акты, т. VII, ст. 765.
[111] იქვე
[112] Тифлисские ведомости, 1831, № 18.

იდან და უცხოეთში გაეშურა.[113] ივანე გვარამაძის გადმოცემით, რუსი ჯარისკაცები მშვიდობიანი მოსახლეობის აოხრებასა და უდანაშაულო ქალებისა და ბავშვების ხოცვა-ჟლეტასაც არ თაკილობდნენ.[114]

ახალციხის დაკარგვით აღშფოთებულმა სულთანმა სასტიკად დასაჯა სამხედრო ხელმძღვანელობა,[115] მაგრამ ამან ვერ უშველა თურქებს. რუსეთის არმია აგრძელებდა ძლევამოსილ სვლას. 17 აგვისტოს უბრძოლველად დანებდა აწყურის ციხე, რომელსაც 500 ლაზი და ათასამდე ადგილობრივი მოლაშქრე იცავდა. 22 აგვისტოს გენ. ბერგმანის ნაწილებმა არტაანიც დაიკავეს. მხარის ქრისტიანული მოსახლეობა დიდი სიხარულით შეეგება ერთმორწმუნე სახელმწიფოს იურისდიქციის დამყარებას საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში. ამავე ხანებში რუსებმა ბაიაზეთის საფაშოც დაისაკუთრეს. ოსმალთა ხელში მხოლოდ სამცხის მთიანი ნაწილი, ფოცხოვ-ქვაბლიანი დარჩა. ანტირუსული ძალების ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენ ბაზას მთაგორიანი აჭარა წარმოადგენდა.[116]

საკუთარი არმიის წარმატებებით ფრთაშესხმულმა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 22 სექტემბრის რესკრიპტში ახალციხე ანატოლიის დასაპყრობ პლაცდარმად გამოაცხადა.[117] აშკარა კრახის წინაშე მდგომმა ოსმალეთმა ბოლო ძალები მოიკრიბა და 1829 წ. გაზაფხულისთვის არზრუმში დიდძალ სამხედრო კორპუსს მოუყარა თავი. ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილსა და ტრაპიზონის ფაშა ქეღია-ოღლის აჭარა-ლაზისტანის გამაგრება და, შესაბამისად, ახალციხისა და გურიისკენ დაძვრა ევალებოდათ. საგანგებოდ გამაგრდა ახალციხის საფაშოს ოსმალეთის გამგებლობაში დარჩენილი რაიონები (ქვაბლიანი, ფოცხოვი, ოლთისი, არტანუჯი, ჩურუქ-სუ, ბათუმი).[118]

[113] იქვე, 1828, № 13.
[114] ივ. გვარამაძე, ახალციხური ქრონიკები, გვ. 53.
[115] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 173.
[116] იქვე, გვ. 174-176.
[117] “Одесский вестник,” 1828, № 95.

პასკევიჩი, რომელსაც რეზერვები აღარ დარჩა, აჭარისა და ქურთისტანის მმართველების მოსყიდვას ლამობდა. რუსეთის დიპლომატიამ აჭარაში კრახი განიცადა. ახმედ-ფაშა აქტიურად ემზადებოდა ახალციხეზე შეტევისთვის. მართლაც, თებერვალში მან 15-ათასიანი რაზმით გოდერძის უღელტეხილი გადალახა. აჭარლებმა აწყურის დაკავება მოახერხეს და ახალციხეს ალყა შემოარტყეს. მომხდურებმა ქალაქშიც შეაღწიეს, მაგრამ შიდაციხე მათ არ დანებდა. ამასობაში რუსებს დამხმარე ძალები მოუვიდათ და მათი მეშვეობით მარტის დასაწყისისთვის ახმედ-ფაშა უკუგდებული იქნა. თავდაპირველი გაუგებრობების შემდეგ ოსმალური საჯარისო ნაწილებისა და მოლაშქრეების წინააღმდეგ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობა ქართულმა მილიციამაც მიიღო.[119]

ახალციხის გათავისუფლების შემდეგ რუსები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. 1829 წ. გაზაფხულზე აქტიური სამხედრო ოპერაციები გაიმართა ფოცხოვ-ქვაბლიანის, ბათუმისა და ოლთისის მიმართულებით. 1 ივნისისთვის რუსებმა ფოცხოვ-ქვაბლიანი,[120] ხოლო ივლისის შუა რიცხვებისთვის შავშეთი[121] დაიკავეს. აგვისტოში როდესაც დიპლომატიურმა ხერხებმა კვლავ ვერ გაჭრა, რუსები ორი მხრიდან (თუმცა არაერთდროულად) შეიჭრნენ აჭარაში. გენ. ჰესემ გურიის მილიციის დახმარებით წარმატებით გადალახა მუხაესტატესა და კინტრიშის სიმაგრეები, მაგრამ 17 სექტემბერს ციხისძირთან მარცხის გამო შეტევითი ოპერაცია შეფერხდა.[122] კიდევ უფრო

[118] В. Потто, Кавказская война, т. 4, ст. 83-85.
[119] ЦГИАЛ, ф. 1018, оп. 3, д. 128, л. 1.
[120] იქვე, д. 131, л. 1.
[121] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4716, л. 82, ст. 290.
[122] ვლ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958, გვ. 30-34.

წარუმატებელი იყო გენ. ოსტენ-საკენის ოპერაცია ზედა აჭარაში. რუსების სისასტიკით აღშფოთებულმა მოსახლეობამ ადგილობრივი ბეგების მეთაურობით მომხდურები მალევე ახალციხისკენ გადარეკა.[123]

სამაგიეროდ, წარმატებით მიმდინარეობდა არზრუმის მიმართულებით წამოწყებული სამხედრო ოპერაციები. 27 ივლისს, რამდენიმე სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, ოსმალეთის აზიური ნაწილის, ანატოლიის, ეს ძალზედ მნიშვნელოვანი პუნქტიც დაეცა. აგვისტოში რუსები ბაიბურთ-ტრაპიზონისკენ გაემართნენ და 22 რიცხვში ტრაპიზონიდან 40 ვერსით დაშორებულ სოფ. ყარაკაბაკამდე მიაღწიეს.[124] ცხადი გახდა, რომ რუსებს სრუტეებისკენ გაჭრა ამ მიმართულებიდანაც შეეძლოთ, რამაც ევროპული ქვეყნების შეშფოთება კიდევ უფრო გააძლიერა.[125]

დასავლური დიპლომატიის დაჟინებული მოთხოვნით სულთანი მოლაპარაკებებზე დათანხმდა. 1829 წ. 14 (2) სექტემბერს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ადრიანოპოლში ხელშეკრულება დაიდო. კავკასიაში თურქებმა დაკარგეს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე განლაგებული სიმაგრეები და ახალციხის საფაშოს ათი სანჯაყი: ქვაბლიანი, აბასთუმანი, ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი და ჩილდირი.[126]

[123] Акты, т. VII, ст. 819-820.
[124] ЦГВИА, ф. ВУА, д. 4716, . 82, ст. 282.
[125] История дипломатии, т. I, М., 1959 г., ст. 543.
[126] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, თბ., 1919, გვ. 39.

§2. მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზები სამცხე-ჯავახეთში

ანდრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით, რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა ახალციხის საფაშოს ათი სანჯაყი, ანუ, ფაქტობრივად, მთელი სამცხე-ჯავახეთი. აღნიშნული საზავო ხელშეკრულების ტექსტის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მოწინააღმდეგე მხარეებმა თავიდანვე გაითვალისწინეს დემოგრაფიული ფაქტორი. კერძოდ, მე-13 მუხლის თანახმად, მოსაზღვრე ტერიტორიების მოსახლეობას 18 თვის განმავლობაში გადასახლება-გადმოსახლების უფლება მიეცა. საზავო ხელშეკრულების ეს მუხლი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ორივე მხარისათვის თანაბარი სარგებელის მომტანი იყო. რუსეთი განთავისუფლდებოდა მისთვის არასასურველი მოსახლეობისაგან, ხოლო ოსმალეთი გაიუმჯობესებდა შერყეულ დემოგრაფიულ მდგომარეობას. სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი მოსახლეობის სამკვიდროდან აყრა-გადასახლებაში ლომის წილი რუსეთის იმპერიას მიუძღვის. ამიტომ ჩვენ მართებულად ჩავთვალეთ ქართველ მუსულმანთა ემიგრაციის, მუჰაჯირობის, გამომწვევი მიზეზები რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ზრახვებიდან დაგვეწყო.

რუსეთის იმპერიის პოლიტიკაში მკვიდრი მოსახლეობის მამულიდან იძულებით აყრა-გასახლებას ადრეც ჰქონდა ადგილი. ასე მაგალითად, 1783 წ. ყირიმის შემოერთების შემდეგ თავად გრ. პოტიომკინის ბრძანების თანახმად, აქაურ მკვიდრთა დიდი ნაწილი ვოლგის გაღმა ტრამალებში გადაასახლეს.[127] ახლად დაპყრობილ ტერიტორიებზე, იმპერიის ინტერესების შესაბამისად, ფართო მასშტაბით ასახლებდნენ სხვადასხვა ეთ-

[127] С. Эсадзе, Покореніе заподного Кавказа и окончаніе Кавказкой войни, Тиф., 1914 г., ст. 3.

ნიკურ ჯგუფებს. 1792 წ. 30 ივნისის იმპერატორის ბრძანებულების თანახმად, შავი ზღვის არმიის მეომრებს, ყოფილ ზაპოროჟიელ კაზაკებს, უფლება მიეცათ ყუბანის მარჯვენა სანაპიროზე დასახლებულიყვნენ.[128] ასე რომ, რუსეთის იმპერიამ ოსმალოს საქართველოში შემოსვლამდე საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგროვა ეთნიკური საკითხის თავის სასარგებლოდ გადასაწყვეტად. ის ახლად დაპყრობილ მხარეში მკვეთრად განსაზღვრული და წინასწარ გააზრებული გეგმით მოქმედებდა. ცარიზმის მთავარ ამოცანას არა მარტო ახალი ტერიტორიების შეძენა, არამედ, იმპერიის უზენაესი ინტერესებიდან გამომდინარე, ისეთი ეთნიკური სურათის შექმნა წარმოადგენდა, რომელიც შემოერთებულ რეგიონში მის საუკუნოვან ბატონობას უზრუნველყოფდა.

რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკის ძირითადი კონტურები სამცხე-ჯავახეთში ჯერ კიდევ ომის მსვლელობის დროს გამოიკვეთა.

ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიური კერიდან აყრა საბრძოლო ოპერაციების მსვლელობისას დაიწყო. ომით შეწუხებული ხალხი მიუდგომელ ადგილებში გაიხიზნა. რუს სამხედრო ისტორიკოსს ვ. პოტოს ამის მრავალი მაგალითი მოჰყავს. ის არაერთგზის აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ რუსთა ძლევამოსილი იარაღით დაშინებული მშვიდობიანი მოსახლეობა მასობრივად გარბოდა მთებში.[129]

თავისი გამოკვლევის ერთ ადგილას ავტორი შენიშნავს, რომ ომის მსვლელობის პერიოდში ახალციხის საფაშო ხალხისგან დაიცალა.[130] ბევრი ბრძოლების მსვლელობისას დაიღუპა. მხოლოდ ახალციხის აღებისას რუსულ იარაღს სამი ათასი

[128] С. Эсадзе, Покореніе заподного Кавказа и окончаніе Кавказкой войни, ст. 5.
[129] В. Потто, Утвержденіе русского владичества на Кавказъ, т. IV, ст 64-65.
[130] იქვე, გვ. 454.

ადგილობრივი შეეწირა, რომელთა შორის რვაასამდე ქალი იყო.[131]

ხშირი იყო სადამსჯელო ოპერაციებიც. 1829 წ. 9 მარტს გენერალმა მურავიოვმა გადაწვა ფოცხოვის სანჯაყის რამდენიმე სოფელი. გენერალი იუწყებოდა, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა მოსახლემ თავდაცვა სცადაო.[132] ამავე პერიოდში მკვიდრთა ერთი ნაწილი, რომელიც, როგორც ჩანს, რუსთა ამგვარმა აგრესიულმა ქცევამ დააფრთხო, ოსმალეთის იმპერიის შიდა რაიონებში გადასახლდა.

ახალციხის აღების შემდეგ, როგორც ამას ლ. ზაგურსკი მიუთითებს, საკმაოდ დიდი მასა ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობისა ერთბაშად თურქეთში გაიხიზნა. ახალციხე და სხვა გამაგრებული პუნქტები საგრძნობლად დაცარიელდა.[133] მსგავსი ფაქტია აღწერილი ი. პასკევიჩის 1831 წლის რაპორტში: „ახალციხის საფაშო თურქებთან ომის მსვლელობისას საგრძნობლად დაცარიელდა. ზოგიერთი მაცხოვრებელი ომს ემსხვერპლა, უმრავლესობა მაჰმადიანებისა კი უცხოეთში გადაიხვეწა.“[134] ამავე მოვლენაზეა საუბარი ჩვენს მიერ სიძველეთა საცავში მოპოვებულ ერთ-ერთ დოკუმენტში, სადაც ვკითხულობთ: „ქალაქის აღების შემდეგ ბევრი ჩვენთაგანი ოსმალეთში გადაიხვეწა.“[135]

როგორც ჩანს, იმპერიისათვის ეს საკმარისი არ იყო. ხელისუფლებისათვის ცოტა აღმოჩნდა ცალკეული სოფლებისა თუ სანჯაყის ცენტრების გაუკაცრიელება, მისთვის უმნიშვნელო მოვლენას წარმოადგენდა რამდენიმე ასეული და თუ გინდ ათა-

[131] Акты, т. VIII, ст. 765; В. Потто, Утвержденіе русского владичества на Кавказъ, т. IV, ст. 97.
[132] Акты, т. VIII, ст. 779.
[133] Л. Загурски, Поездка в Ахалцихскій уезд в 1872 г., Тиф., 1873, ст. 8.
[134] Акты, т. VII, ст. 849.
[135] სცსსა, ფ. 77, აღწ. 1, საქ. 10, ფურც. 13.

სეული მკვიდრის გადახვეწა-გადაკარგვა. იმპერიის მესვეურები შენიღბული გეგმის განსახორციელებლად აქტიურად იბრძოდნენ. რუსმა მოხელეებმა შეძლეს სწრაფად გაედიდებინათ სახაზინო ტერიტორია. ეს ქმნიდა პირობებს ამ მიდამოებში დასახლებულიყო მათთვის სასურველი ეთნოსი.

ახალციხის საფაშოში რუსული ადმინისტრაციის შესვლის პირველი დღიდანვე იმპერიის მოხელეებმა გულმოდგინედ დაიწყეს ომამდე შედგენილი გეგმის განხორციელება. სამეცნიერო ლიტერატურისა და გამოქვეყნებული საარქივო მასალების შესწავლით გამოვლინდა, რომ იმპერიას ოსმალეთთან ომის დაწყების წინ უკვე ნათლად ქონდა გააზრებული, თუ როგორი დამოკიდებულება ექნებოდა შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხთან.

ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1828 წლის 26 ივლისს, ი. პასკევიჩსა და რუსეთის საგარეო უწყებას შორის მიმოწერიდან ჩანს, რომ საუბარი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების რუსული ახალშენებისათვის ვარგისიანობაზე ადრე დაწყებულა. მთავარმართებელი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მიწების ნაყოფიერებისა და ჰავის რუსეთის შიდა რაიონებთან იდენტურობაზე.[136] აქედან გამომდინარე, გაკვირვებას არ იწვევს ფელდმარშლის მისწრაფება, მოახდინოს მხარის სწრაფი კოლონიზაცია.

ახალციხის აღების შემდეგ ი. პასკევიჩთან გამოცხადდნენ ოსმალური ადმინისტრაციის დამყარების პერიოდში გამოქცეული ქართველ თავად-აზნაურთა შთამომავლები. მათ ქართველ მეფეთა მიერ მესხეთში საკუთრების მფლობელობის შესახებ გაცემული სიგელები წარადგინეს და ძველი უფლებების აღდგენა მოითხოვეს.[137] კავკასიის კორპუსის მთავარსარდალმა

[136] Акты, т. VIII, ст. 758.
[137] Акты, т. VIII, ст. 291; В. Потто, Утвержденіе русского владичества на Кавказъ, т. XII, ст. 199.

უარით გაისტუმრა დიდებულები და ამავე დროს ერთობ დიდი უკმაკოფილობა გამოთქვა მათი შეუფერებელი საქციელის გამო. ამ გადაწყვეტილებას რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წინააღმდეგობა არ მოყოლია, რაც იმპერიის ძირითადი კურსის ნათელი მაჩვენებელია.[138]

ცარიზმს მისთვის საინტერესო რეგიონის მოსახლეობის ბედი კი არა, არამედ რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერი და შემოსავლიანი მიწების მითვისება აწუხებდა. მთავარი იყო ტერიტორიის ხელში ჩაგდება, თორემ მუშახელის შოვნა ძნელი არ იყო.

1829 წ. დასაწყისისთვის ფელდმარშალი იმპერიის ერთერთ უმაღლეს მოხელეს ნესელროდეს წერდა: „მეტად ძნელია ჩვენ მიერ დაკავებულ ადგილებში ქრისტიანების, ძირითადად, სომხების გადმოსახლება, რადგანაც ცოტაა ვარგისი დაუსახლებელი ადგილები, მაგრამ ყოველივეს ვიღონებ, რომ ეს მოვახერხო.“ აქვე პასკევიჩი შენიშნავდა, რომ ამ საქმეში მთავარ სირთულეს ადგილობრივი მოსახლეობა და საომარი ოპერაციების მსვლელობა წარმოადგენსო.[139]

ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არაა, იმპერია კი უკვე თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა. ამ მოსაზრებას ზ. ჭიჭინაძე და ი. ნებიერიძეც მიუთითებს. ისინი აღნიშნავენ, რომ ქართველთა გადასახლების გეგმა ომამდე იყო შემუშავებული, მოლაპარაკება კი ამის თაობაზე გენერალ ვ.ბებუთოვს არზრუმის ეპისკოპოსთან ჰქონდა დავალებული.[140]

[138] В. Потто, Утвержденіе русского владичества на Кавказъ, т. XII, ст. 199.
[139] Акты, т. VIII, ст. 775
[140] ზ. ჭიჭინაძე, მუჰაჯირობა ემიგრაცია, თბ. 1912, გვ. 69-70; ი. ნებიერიძე, მოგონებანი, ბათ. 1948, გვ. 10.

იმპერია თავისი საკმაოდ დახვეწილი გეგმის განხორციელებას, რომელიც უპირველესად ადგილობრივთა თავიდან მოცილებას ითვალისწინებდა, ახალციხის საფაშოს დროებითი მმართველობის ჩამოყალიბებისთანავე (1828 წ. 16 აგვისტო) შეუდგა. საფაშოს დროებითი მმართველობა ახალციხის აღების შემდეგ შეიქმნა. ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, ამიტომ არც ერთმა მხარემ არ იცოდა მომავალი საზავო ხელშეკრულების გადაწყვეტილებანი. ჩვენი აზრით, სავარაუდოა, რომ საფაშოში დროებითი მმართველობის ჩამოყალიბებით რუსეთის იმპერია შეეცდებოდა, აქ მისთვის სასურველი დემოგრაფიული სიტუაცია შეექმნა. საომარი ოპერაციების მსვლელობისას, ფაქტობრივად აბსოლუტური განუკითხაობა სუფევდა. არ მოქმედებდა მხარის არც ერთი ძირითადი კანონი. საფაშოს დროებითი მმართველობა თავისი საქმიანობის დასაწყისში, იყენებდა რა შექმნილ მდგომარეობას, ცხოვრებაში იმპერიის მაგისტრალურ ხაზს ატარებდა.

ახალციხის დროებით მმართველობას 1828 წლის 25 აგვისტოს ფელდმარშალმა პასკევიჩმა მისცა მართვის ზოგადი წესები. დროებითი მმართველობის მოვალეობათა ზოგადი შინაარსი შემდეგია: მმართველობა ვალდებულია, დააბრუნოს გაქცეული მოსახლეობა, დაიცვას ოლქი თავდასხმებისაგან, შექმნას სახაზინო ტერიტორიათა ფონდი, აკონტროლოს ადგილობრივ მუსლიმთა მოქმედება და საჭიროებისამებრ აღკვეთოს ის; ყურადღება მიაქციოს მხარის და განსაკუთრებით ჯარის ჯანმრთელობის საქმეს; მმართველობა ვალდებულია, შეკრიბოს ცნობები მხარის მოსახლეობის შესახებ და ამასთან, შეისწავლოს მისი ადმინისტრაციული დაყოფა, ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს მხარეში არსებული წეს-ჩვეულებებით.[141]

[141] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3988, ფურც. 20.

საფაშოს პირველ გამგებლად ვ. ბებუთოვი დაინიშნა.[142] ის ძველი და მეტად მნიშვნელოვანი სომხური გვარის წარმომადგენელი.[143] როგორც ჩანს, არჩევანი მასზე შემთხვევით არ შეჩერებულა. ვ. პოტო ბებუთოვს ახასიათებს, როგორც იმპერიისათვის ფასდაუდებელ მოხელეს, კარგად განათლებულს, აღმოსავლური ენებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებების მცოდნეს. ავტორი აქვე მიუთითებს იმაზე, რომ ვ. ბებუთოვმა მმართველობა ახალციხის გაქცეული მოსახლეობის შემოკრებითა და დახმარებით დაიწყო, ამავე დროს, ის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმ დანაშაულებს, რომელიც ადრე ამ უკანასკნელებს რუსეთის სახელმწიფოს მიმართ ჩაუდენიათ.[144] ავტორი განაგრძობს: წარსული დავიწყებას მიეცა, დაბრუნებულ მოსახლეობას ყველგან დიდი სიყვარულითა და სიმპათიით ხვდებოდნენ, ისე როგორც რუსეთის ჭეშმარიტ ქვეშევრდომებს. ხმა გამარჯვებულთა კეთილგანწყობისა და კეთილმოსურნეობის შესახებ უცებ მოედო მხარეს, რამაც დიდი სარგებელი მოიტანა. ხალხი დაუბრუნდა თავის საქმიანობას. აღფრთოვანებულმა იმპერატორმა, აზიაში მოქმედი არმიის ჯარისკაცებს ადგილობრივებისადმი კარგი დამოკიდებულების (!) გამო მადლობა გამოუცხადა.[145]

ჩვენთვის უცნობი რჩება, თუ რა მასალებს ეყრდნობოდა ზემოთ ხსენებული ჟამთაამღწერელი. დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, თუ როგორ მარჯვედ ინიღბებოდა ველიკორუსული შოვინიზმი სხვა ერებისადმი უანგარო მზრუნველობითა და მესიანისტური ფრაზეოლოგიით. სინამდვილეში, უფრო კონფიდენციალური მასალებიდან ვგებულობთ, რომ

[142] იქვე.
[143] Акты, т. VIII, ст. 5.
[144] В. Потто, Утвержденіе русского владичества на Кавказъ, т. IV, ст.101.
[145] იქვე.

იმპერიის ამ და სხვა მრავალ მსახურს ქართული ტერიტორიების ადგილობრივებისგან დაცლა აქაურთა სიბეცითა და ახალი ადმინისტრაციისადმი სიძულვილით უნდოდათ აეხსნათ. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ, დაემალათ ის მწარე სინამდვილე, რომელიც აღნიშნულ მხარეში რუსთა ძალაუფლების დამყარებას მოჰყვა.

ახალციხის დროებითი მმართველობა შეუდგა დასახული მიზნის ცხოვრებაში გატარებას. ამასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის მიერ ახალციხეში ჩაწერილი ცნობა, რომელიც აქაურ მკვიდრთ მიუწოდებიათ. ავტორი აღნიშნავს: „როცა ბებუთოვთან ახალციხის ქრისტიანები მივიდნენ დახმარების სათხოვნელად, მან უპასუხა - გასწით, დაიკარგეთ აქედან, თქვე თათრებო, რომ აქ ერთი კაცი არ დარჩეს... თქვენი აქ დარჩენა არ შეიძლება. თათრები ხართ, რუსეთი არ მიგიღებთ, რადგანაც თქვენ არ ხართ კარგი ხალხი, რუსების მტრები ხართ.“[146] როგორც ვხედავთ, საომარი ოპერაციებით დაშინებულ, დროებითი თავშესაფრიდან უკან მობრუნებულ მოსახლეობას ახალი ადმინისტრაცია გადამეტებულად „ხელგაშლილი და გულღია“ შეხვდა.

დაბრუნებული მხარის დროებითი მმართველობისა და მისი პირველი გამგებლის საქმიანობაზე ყურადღება შ. ლომსაძესაც მიუქცევია. ის აღნიშნავს, რომ ვ. ბებუთოვი და თ. პასკევიჩი შეთანხმებულად მოქმედებდნენ, ისინი მიზანმიმართულად უმზადებდნენ ნიადაგს მკვიდრთა აყრა-გასახლებას, რომელიც 1828 წ. დაიწყო კიდეც.[147]

საზავო ხელშეკრულების დადებამდე ოლქის დროებითი გამგეობა ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდა მშობლიური ტერიტორიებიდან ადგილობრივი მოსახლეობის გასადევნად.

[146] ზ. ჭიჭინაძე, მუჰაჯირი ემიგრაცია, გვ. 69.
[147] შ. ლომსაძე, დას. ნაშ., გვ. 355.

ამისთვის ის დაშინებას, შანტაჟსა და ტყუილსაც კი არ თაკილობდა. გენერალი ბებუთოვი მოსახლეობას ჯარით აშინებდა. შეძრწუნებული ხალხი ტყეში იმალებოდა, მათ მიწებზე კი უცხოტომელებს ასახლებდნენ.[148]

ვ. ბებუთოვისა და დროებითი მმართველობის ადმინისტრაციის ამგვარ საქმიანობაზე სხვა არაერთი დოკუმენტიც მეტყველებს. 1829 წ. 30 ივლისს ბარონი ოსტენ-საკენი გრაფ პასკევიჩს წერდა: ახალციხეში, სადაც ჯერ კიდევ დარჩენილია სამასი ოჯახი, გავრცელდა შავი ჭირი. მიზეზი ეპიდემიისა ქალაქში გამეფებული ანტისანიტარია და მოსახლეობის ცუდი კვებაა. ხალხი რუს ოფიცერთა და ჯარისკაცთა მიერ ციტადელიდან გადმოყრილი ნარჩენებით იკვებებოდა. შექმნილმა ვითარებამ გენერალი ბებუთოვი აიძულა უარი ეთქვა მოსახლეობის ქალაქის ფარგლებს გარეთ გაყვანის გეგმაზე, რადგანაც მაშინ მათთვის დახმარება უნდა გაეწია.[149] როგორც ვხედავთ, „ადამიანის მოყვარულმა მოხელემ“, დამშეული და დაავადებული ხალხი, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაწირა. ამავე დროს მან, რა თქმა უნდა, უმაღლეს ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ახალციხის მუსლიმან დიდგვაროვნებს უფლება მისცა, გაეყიდათ თავიანთი საკუთრება და ოსმალეთში გადახვეწილიყვნენ. რუსულმა ადმინისტრაციამ კარგად იცოდა, რომ ამ უფლების მიცემის გარეშე ბეგები ფეხს არ მოიცვლიდნენ თავიანთი სამფლობელოებიდან, მშვიდობიანობის დამყარებისა და ომის მძიმე შთაბეჭდილებების განელების შემდეგ საერთოდ უარს იტყოდნენ გადასახლებაზე. სწორედ ამიტომ, ჩინოვნიკური აპარატი ძალზე ჩქარობდა. ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ახალციხის აღებისთანავე ჩვენი წოდების წარმომადგენელთ, უმაღლესი ხელისუფლების ნებართვით, უფლება მიეცათ, გაე-

[148] ლ. ჯანიაშვილი, სომხები საცხე-ჯავახეთში, თბ. 1995, გვ. 12.
[149] Акты, т. VIII, ст. 813.

ყიდათ თავთავიანთი მამულები და უცხოეთში გადასახლებულიყვნენ.“[150]

ცარიზმის მოხელეები არ ზოგავდნენ ძალ-ღონეს და ნებისმიერი ხერხის გამოყენებით ზავის პირობების გარკვევამდე ცდილობდნენ, მაქსიმალურად შეეთხელებინათ მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მუსლიმან ქართველთა ოდენობა. გარდა ამისა, ახალი ადმინისტრაცია ფართოდ ნერგავდა უპატრონოდ დარჩენილი მიწების სახაზინოდ ჩარიცხვის პრაქტიკას. 1828 წ. შემოდგომაზე ხერთვისის სანჯაყის გამგებელი დროებით მმართველობას ატყობინებდა: „მართალია, ადგილობრივი ბეგები ომში დაიღუპნენ, მაგრამ მათ დარჩათ მემკვიდრეები. ამიტომ თქვენი მოწერილობის შესრულება, დარჩენილი მიწების ხაზინაში ჩარიცხვის თაობაზე, ჯერჯერობით არ მოხერხდება.[151] ყოველივე ეს იმპერიას მისი პოლიტიკის მაგისტრალური ხაზის გასატარებლად სჭირდებოდა. იმ პოლიტიკისა, რომელიც მკვიდრ მოსახლეობას - ქართველებს უმცირესობაში აგდებდა.

1829 წ. 2 (14) სექტემბერს ადრიანოპოლში მეომარ მხარეთა შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებამ[152] რუსეთის იმპერიას სამხრეთ კავკასიაში, სამცხე-ჯავახეთის სახით, საკმაოდ ვრცელი ტერიტორიები შემატა. სამ. ფირცხალავა შემდეგნაირად აფასებს ამ მოვლენას: „1828 წელს თითქოს განხორციელდა ერეკლეს ოცნება. რუსეთის ჯარმა... 2 სექტემბრის ადრიანოპოლის ხელშეკრულებით, ჩამოართვა ოსმალეთს ორი უმთავრესი ნაწილი ძველი მესხეთის - ახალციხე და ჯავახეთი. მაგრამ, საუბედუროდ, სამშობლოში დაბრუნებულ მესხებს არავინ მიეგება დედის გულით.“[153]

[150] სცსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3083, ფურც. 7.
[151] იქვე, ფ. 77. აღწ. 3, საქ. 1, ფურც. 2.
[152] История дипломатии, т. I,_ст. 544.

მართლაც, ზავმა რუსეთის კოლონიურ საქმიანობას ოფიციალური სახე მისცა. ახალ ადმინისტრაციას თავისი მოღვაწეობის ერთგვარი გამართლება, ე. წ. იდეოლოგიური შირმა სჭირდებოდა. ოფიციალურად ის ხომ დაჩაგრულთა და დაბეჩავებულთა პატრონი იყო.* სწორედ ამიტომ დღის წესრიგში მკვიდრთა მიმართ გასატარებელი პოლიტიკის გამართლების საკითხი დადგა. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი სწრაფად გამოინახა.

მალე მთავრობამ ადგილობრივ ქართველობას მათი რელიგიური მრწამსის გამო თურქობა დასწამა. სამეცნიერო ლიტერატურაში, გამოქვეყნებულ საარქივო მასალებში და სიძველეთა საცავებში დაცულ დოკუმენტებში არაერთგზის გვხვდება შესაბამისი მაგალითები. ა. ფრონელი წერს: „სამცხე-საათაბაგო დაიჭირა გრაფმა პასკევიჩმა... აქაურ მკვიდრს მესხის მაგიერ თათარი დაარქვა მთავრობამ. ეს უდიდესი შეცდომაა და წინააღმდეგი როგორც ბუნებისა, აგრეთვე მეცნიერებისა.“[154] ადგილობრივთა თურქებად მონათვლის მავნე პრაქტიკას რუსეთის პოლიტიკის დიდ შეცდომად მიიჩნევს ე. ვეიდემბაუმი. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის შემდეგ აჭარაში შექმნილი სიტუაციის აღწერისას ის ამბობს: „არ უნდა გავიმეოროთ ის შეცდომები, რომელიც ჩვენ 1829 წ. დავუშვით ახალციხეში. ჩვენ არ

[153] სამ. ფირცხალავა, სამაჰმადიანო საქართველო, ანუ ძველი მესხეთი, თბ. 1915 წ. გვ. 39.
* კარგად თუ დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ხშირ შემთხვევაში საბჭოთა პროპაგანდა ფაქტობრივად ცარიზმის სულიერი მემკვიდრე იყო.
[154] ალ. ფრონელი (ყიფშიძე), დიდებული მესხეთი, თბ. 1991, გვ. 131.

ვიცოდით ან კიდევ დავივიწყეთ, რომ აქ ბევრია გამაჰმადიანებული ქართველი და ვთვლიდით მათ თურქებად.“[155]

ხელისუფლების მიერ მესხთა თურქებად შერაცხვა, ჩვენი აზრით, არ იყო არც უცოდინარობისა და არც უნებლიე შეცდომის ბრალი. ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გულდასმით დამუშავებულ პროექტში შედიოდა. გენერალი ტორმასოვი 1810 წლის 6 ივლისს გრაფ კამენსკის ახალციხის საფაშოს მაცხოვრებელთა შესახებ შემდეგნაირ ცნობას აწვდის: „ახალციხის საფაშო დასახლებულია ქართული წარმოშობის ხალხით, რომელთა ერთმა ნაწილმა დროთა განმავლობაში მიიღო მაჰმადიანური აღმსარებლობა, ხოლო ერთი ნაწილი კვლავ ქრისტიანი დარჩა.“[156] როგორც ვხედავთ, გენერალი მშვენივრად ერკვევა ქართული ეთნოსის რაობაში. მისთვის უცნობი არაა, თუ ვინ არის ქართველი და ვინ თურქი. იგივე მდგომარეობაზე მიგვითითებს ამიერკავკასიის სტატისტიკური აღწერილობის შემდგენელი რუსი მოხელე ო. ევეცკი. ის აღნიშნავს, რომ დიდმა ნაწილმა ახალციხელებისა ოსმალთა ბატონობის პერიოდში შეიცვალა წინაპართა რელიგია, მაგრამ ენა და ზნე-ჩვეულება ქართული დარჩათ.[157] სახელოვანი მემატიანე ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგნაირ ცნობას იძლევა: „მთავარნი და წარჩინებულნი არიან მაჰმადიანნი და გლეხნი ქრისტიანენი. ენა საკუთარი აქუთ იგივე ქართული, გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა.“[158] შესაბამის ინფორმაციას გვაწვდიან სხვა ავტორებიც. ისინი აღნიშნავენ, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში ოსმალური პოლიტიკის მეოხებით ადგილობრივები უკვე გამაჰმადიანებული იყვნენ, მაგრამ მეტი წილი მოსახლეობისა ლაპარაკობდა ქართულად და ქართული ზნე-ჩვეულება ჰქონდა.[159]

[155] E. Вейдембаум, Кавказские этюды, Тиф., 1901, ст. 122.
[156] Акты, т. 4, стр. 767.
[157] О. Евецки, Статистическое описаніе Закавказаго края, СПБ, ст. 29, 179.
[158] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა.-ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 660-661.

როგორც ვხედავთ, რუსულმა ადმინისტრაციამ ქართულად მოუბარ და მამა-პაპათა ადათის მატარებელ ხალხს, ბოროტი განზრახვით, საზოგადოებაში მათ მიმართ ნეგატიური აზრის დამკვიდრების მიზნით, თათარი დაარქვა. მართალია, იმპერიას არ სჭირდებოდა ვინმეს წინაშე თავის მართლება, მაგრამ ერთგვარი იდეოლოგიური საფარი, რაც მისი პოლიტიკის ორგანული ნაწილი იყო, აიძულებდა გასამართლებელი საბუთები მოენახა სამცხე-ჯავახეთის მეტწილად უბრალო, მშვიდობისმოყვარე მოსახლეობის მიმართ მისი, აშკარად არაადამიანური დამოკიდებულების გამო.

ზავის პირობების გარკვევის შემდეგ, რუსეთის უმაღლესმა ჩინოვნიკურმა აპარატმა და ოსმალეთის საგარეო უწყებამ ამ დოკუმენტის სარგებლიანობის თაობაზე დაიწყეს ბჭობა. ორივე მხარემ პედანტურად მოითხოვა მე-13 პარაგრაფის შესრულება, რომელიც ერთნაირად სარგებლიანი იყო მათთვის. რუსეთს დაპყრობილ ტერიტორიებზე არზრუმიდან და ყარსიდან ქრისტიანთა გადმოსახლებით, ხოლო ოსმალეთს სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა ქვეყნის შიდა რაიონებში მიზიდვით შერყეული დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორება სურდათ.[160] ცარიზმი ყოველმხრივ ეხმარებოდა საფაშოს დროებით ადმინისტრაციას მკვიდრთა აყრა-გადასახლების ორგანიზებულად წარმართვის საქმეში. ეს პროცესი, აღნიშნულია ერთ-ერთ რუსულ დოკუმენ-

[159] ფ. ხახანაშვილი, ეთნოგრაფიული მიმოხილვა, 1891 წ. №3; პ. ინგოროყვა, საქართველოს საზღვრების შესახებ, კონს. 1918, გვ. 10; В. Потто, Утверждение русскаго владычества на Кавказе, т. 2, ст. 243. Л. Загурски, დას. ნაშ., გვ. 24.
[160] სცსსა, ფ. 11, აღ. 1, საქ. 55, ფურც. 3.

ტში, - გაწმენდს კავკასიის მთებს არასასურველი მოსახლეობისაგან, ამიტომ ჩვენ ხელი არ უნდა შევუშალოთ მას.“[161]

სასურველ ტერიტორიაზე საფუძლიანად ფეხის მოკიდების შემდეგ იმპერიამ მთელი ძალით აამუშავა თავისი მძლავრი აპარატი, რომ კიდევ უფრო ინტენსიური გაეხადა ქართველთა რეგიონიდან გადინების პროცესი. ომგადახდილ, გაღატაკებულ და გავერანებულ მოსახლეობას, დახმარების მიცემის ნაცვლად, ძველი, ოსმალთა ბატონობის პერიოდში არსებული, ვალდებულებების გადახდა დაეკისრა. ხელისუფლებამ ყურადღების ღირსად არ ჩათვალა გადასახადებით გაწამებული მოსახლეობის მუდარა, რომელიც არზრუმიდან ჩამოსახლებულთა მსგავსად რიგ შეღავათს ითხოვდა.[162] საქმე ისაა, რომ 1819 წ. 22 ოქტომბრის დებულებით,[163] ოსმალეთის ფარგლებში დარჩენილი რაიონებიდან გადმოსახლებულები ექვსი წლის ვადით თავისუფლდებოდენ ნებისმიერი მოვალეობისაგან, ამიტომ მხარის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება მკვიდრ მოსახლეობას დააწვა კისერზე. გადასახადების აკრეფა ფაქტობრივად არ შეჩერებულა. მაგალითად, ახალციხის საფაშოს დროებითი გამგებლობის თავმჯდომარის, პოლკოვნიკ დრეშერნის 1831 წ. 28 თებერვლის პატაკიდან ირკვევა, რომ წინა წლის (ე. ი. 1830 წ. - ჯ. ვ.) პირველ ნახევარში აწყურის სანჯაყის რიგი სოფლებიდან 1829 წლის დავალიანება ამოიღეს, რაც აქ ჩამოსახლებულ უცხოტომელთა ინტერესებს მოხმარდა. კერძოდ, ჩამორთმეული ხორბლეული არზრუმიდან გადმოსახლებულ ქრისტიანებს, ძირითადათ, სომეხი ეროვნების მოსახლეობას გადაეცა.[164] მსგავსი ამბავია გადმოცემული სხვა დოკუმენტშიც, რომლიდანაც ირკვევა, რომ ადგილობრივები მხოლოდ 1828 წ. გადასახადებისგან გაათავისუფლეს, დანარჩენ წლებში კი მათ ბოლომდე მოუხდათ ყველა ვალდებულების შესრულება.[165]

[161] იქვე, ფურც. 77, აღ. 1, საქ. 48, ფურც. 40.
[162] შ. ლომსაძე, დას. ნაშ. გვ. 416.
[163] სცსსა, ფ. 77, აღ. 1, საქ. 48, ფურც. 40; Акти т. VII, ст. 832.
[164] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 2930, ფურც. 30.

მთელი სიზუსტით (ზოგჯერ ქართულ ენაზეც!) დგებოდა დავალიანების მქონე პირების სია. ახალციხის დროებით მმართველობაში 1837 წ. შექმნილ საბუთში ჩამოწერილია იმ მუსლიმან ქართველთა გვარები, რომლებმაც 1831-1832 წწ. ვალი არ გაისტუმრეს. აღნიშნული დოკუმენტი სანჯაყის უფროსებს პირდაპირ ავალდებულებს ნებისმიერი ხერხითა და საშუალებით ამოიღონ დავალიანება.[166] საინტერესოა 1838 წ. ერთი დოკუმენტი, რომლითაც ირკვევა, რომ თურქეთიდან გადმოსახლებულ ქრისტიანებს (ძირითადად, სომხებს) შეუწყდათ იმპერატორის მიერ ნაწყალობევი შეღავათები და მათ ადგილობრივი მოსახლეობისთვის დაწესებული გადასახადების გაღება დაევალათ.[167] ეს, ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია იმპერიისათვის ხარკის გადახდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მკვიდრთა მიმართ ღია დისკრიმინაციული პოლიტიკა მიმდინარეობდა. ცარიზმი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ძირძველ ქართულ მიწაზე უცხო თესლის გაღვივებას: ახლად ჩამოსახლებულებს ცხოვრებისთვის ფაქტობრივად იდეალურ პირობებს უქმნიდა, ანიჭებდა მათ პრივილეგიებს, აძლევდა ერთჯერად დახმარებებსა თუ გრძელვადიან კრედიტებს; ჩასახლების დროს ითვალისწინებდა მათ საქმიანობასა და ადრინდელი საცხოვრებელი ადგილის კლიმატურ პირობებს.[168]

[165] იქვე, საქ. 3083, ფურც. 45.
[166] იქვე, საქ. 4579, ფურც. 129.
[167] იქვე, ფ. 77, აღწ. 1, საქ. 48, ფურც. 41.
[168] Акты, т. VII ст. 832.

ყოველივე ეს აქაურ ქართველ მაჰმადიანთა ელემენტალურ ინტერესთა უგულებელყოფის ხარჯზე ხდებოდა. ადმინისტრაციამ მათ აუტანელი საცხოვრებელი პირობები შეუქმნა, რომლის თვალსაჩინო დადასტურება, სხვა ფაქტორებთან ერთად, ძალზე ნაადრევად გაწერილი გადასახადებია. მხოლოდ 30-იან წლებში აკრეფილი სახელმწიფო შემოსავალი 23774 მანეთს.[169] შეადგენდა. ფაქტობრივად, მთელი ათწლეულის განმავლობაში, რაც ფინანსური თვალსაზრისით საკმაოდ დიდი დროა, ადგილობრივი ხაზინის შევსება ძირითადად მშობლიურ კერაზე დარჩენილ, ისედაც მცირერიცხოვან მკვიდრთა ხარჯზე ხდებოდა.

გასაგებია, რომ რუსეთის იმპერიას ეკონომიკურ ინტერესებზე მეტად, (დასავლეთის კოლონიალური სახელმწიფოებისგან განსხვავებით), რომელიც მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა არასდროს არ ყოფილა, უფრო გეოპოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა. თავისი რეპრესიული ბუნებით გამორჩეული სახელმწიფო აპარატი, რომელიც ძალზე შორს იყო ქვეშევრდომებისადმი ლოიალური მოპყრობისგან, შემთხვევით არ ანებივრებდა ოსმალეთიდან ემიგრირებულ მოსახლეობას. გასაგებია, რომ ამ უკანასკნელთ ის თავისი შორს მიმავალი ინტერესების ერთ-ერთ განმახორციელებელ ბერკეტად მოიაზრებდა, რაც მრავალი წლის სამწუხარო გამოცდილებამ არაერთხელ დაადასტურა.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ უბრალო ხალხის ურთიერთდამოკიდებულება, როგორც წესი, მშვიდობისმოყვარეობით გამოირჩევა. ისინი შორს დგანან იმ მტაცებლური ზრახვებისგან, რომელიც სახელმწიფო მამებს ამოძრავებთ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, პირველნი ხშირად ამ

[169] И. Бахтадзе, Податное обложение государственных Крестьян.-Свод материалов по изучению экономического Быта государственных Крестьян, 1887 г., I, ст. 33.

უკანასკნელთა ვერაგი მიზნების ბრმა იარაღად იქცევიან ხოლმე.

ჩვენი აზრით, სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთაგან დაცარიელების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ბეგებისადმი, ანუ ადგილობრივი დიდებულებისადმი ახალი ადმინისტრაციის ნეგატიური დამოკიდებულება უნდა მივიჩნიოთ. საზოგადოების ამ მცირერიცხოვანი ფენის ხელში თავმოყრილი იყო სოფლის მეურნეობისთვის ვარგისი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი. სწორედ ამიტომ ისინი თავიდანვე რუსული ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცნენ. გარდა ამისა, ადგილობრივი ბეგების ხელში ახალციხის საფაშოს მართვა-გამგეობაც იყო, რაც, თავის მხრივ, მათი ავტორიტეტისა და ზეგავლენის ზრდას უზრუნველყოფდა მოსახლეობის ფართო მასებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგები ხდება, რომ ადგილობრივი დიდებულების თავიდან მოცილებით იმპერიას „ორი კურდღლის“ დაჭერის პერსპექტივა ესახებოდა. ჯერ ერთი, საზოგადოების ამ ფენის თავიდან მოცილებით რუსების ხელში უპატრონოდ დარჩენილი უზარმაზარი ტერიტორიები აღმოჩნდებოდა. მეორეც, მკვიდრთა შორის ავტორიტეტის მქონე ადამიანთა მშობლიური კერიდან გადახვეწა ფაქტობრივად იგივე პროცესს გამოიწვევდა საზოგადოების ფართო ფენებშიც.

იმპერიამ თადარიგი თავიდანვე დაიჭირა და საქმიანობა ამ მიმართულებით დიდი აქტიურობით წარმართა. პირველი, რაც ცარიზმმა მოიმოქმედა, იყო ის, რომ გაურკვეველი დატოვა ამ წოდების სოციალური მდგომარეობა. კერძოდ, ბეგები არ აღიარეს და არ გაათანასწორეს იმპერიის პრივილეგირებურ წოდებებთან. აი, რას წერს ამის თაობაზე ერთ-ერთი მკვლევარი: „ადგილობრივ თავადობას - ბეგებს რუსებმა არ მისცეს რუსი დიდებულების უფლებები. შედეგი ამისა იყო ის, რომ მრავალმა

მათგანმა დატოვა სამშობლო და გადასახლდა თურქეთში.“[170] ამავე საკითხთან დაკავშირებით შ. ლომსაძე აღნიშნავს, რომ ფეოდალთა კლასს ქართველ თავადაზნაურობასთან გათანაბრებაზე უარი ეთქვა.[171]

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ წოდების წარმომადგენლები, საზოგადოების სხვა ფენებისგან განსხვავებით, უფრო მეტი ადაპტაციის უნარით გამოირჩეოდნენ. დიდი მამულების, საკუთრებისა და პრივილეგიის მქონენი მუდამ ცდილობდნენ, კომპრომისზე წასულიყვნენ დამპყრობელთან. კიდევ ერთხელ თუ გადავავლებთ თვალს ოსმანთა ბატონობის პირობებში სამცხე-საათაბაგოს თავად-აზნაურთა მოქმედებას, დავინახავთ, რომ ამ წოდების წარმომადგენელთა უმეტესმა ნაწილმა მნიშვნელოვანი დათმობების ხარჯზე ძველი, ქართული თავადაზნაურული უფლებები შეინარჩუნა[172] და ამავე დროს ახალი, ოსმალო დიდებულებისათვის დამახასიათებელი პრივილეგიებიც მიიღო. ამიტომ, საფიქრებელია, რომ რუსული ადმინისტრაციის დამყარებისას აღა-ბეგების უმრავლესობა, ახალი ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, ადგილზე დარჩენასა და საკუთრების შენარჩუნებას ამჯობინებდა უცხოეთში გადახვეწას. მაგრამ სიტუაცია არსებითად სხვაგვარად წარიმართა. ცარიზმს არ სჭირდებოდა მისთვის ზედმეტ ბარგად ქცეული მაჰმადიანი დიდებულები. იმპერიის სამიზნეს მათ ხელში არსებული სავარგულები წარმოადგენდა, რომ იქ პრივილეგიებით აღსავსე და ყურადღებით განებივრებული უცხოტომელთა ახალშენები გაემართა. ხელისუფლებამ ამ მიმართულებით საქმიანობა ჯერ კი-

[170] Халил Умаров-Гозалашвили, Трагедиа Месхов, Тб. 1994, ст. 42.
[171] შ. ლომსაძე, დას. ნაშ. გვ. 421.
[172] Д. Бакрадзе, Исторический очерк, Стр. 150-157.

დევ 1828 წ. დაიწყო, ხოლო ზავის დადების შემდეგ მის მოღვაწეობას ჭეშმარიტად შესაშური აქტიურობა დაემატა.

ერთი დოკუმენტი მეტად საგულისხმო ცნობას გვაწვდის. მასში ლაპარაკია იმაზე, რომ ხერთვისის სანჯაყის ადგილობრივ ბეგს ა. ომარაჩიშვილს ახალციხის დროებითი მმართველობის გამგებელმა პოლკოვნიკმა დრეშერმა 1830 წ. ჩამოართვა სოფელი ტყემლანა. ხსენებული ბეგი ამ სოფლით, რომელიც აწყურის სანჯაყში მდებარეობდა, სულთნის გაცემული ბარათის თანახმად სარგებლობდა, რომელიც მან გაწეული სამსახურისათვის მიიღო. პოლკოვნიკი დრეშერი თავის საქციელს შემდეგნაირად ხსნის: „როგორც ვიცით, ის ახლა არ მსახურობს, ამიტომ მას ეს მიწა უნდა ჩამოერთვას. ასევე ამოღებული უნდა იქნას ბარათიც (ბარათი, რომელიც შესრულებულია ოსმალურ ენაზე თან ერთვის საქმეს). ჩამორთმეული სოფელი ტყემლანა კი უნდა გადაეცეს ხაზინას.“[173] მსგავს ცნობას იძლევა სხვა დოკუმენტიც. ასე მაგალითად, 1831 წ. 30 სექტემბერს ახლად შემოერთებული მხარის დროებითი მმართველობა ამიერკავკასიის სამოქალაქო უწყებას ატყობინებს, რომ აწყურის სანჯაყის მკვიდრი ბეგები ითხოვენ ხაზინის სასარგებლოდ გადაცემული კერძო საკუთრებაში მქონე სოფლების უკან დაბრუნებას. თხოვნის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მათ საარსებოდ სხვა რაიმე საშუალება არ გააჩნიათ. გამგებელი აქვე შენიშნავს: „აღნიშნული ტერიტორიების კერძო საკუთრებაში ქონების უფლება ბეგებს ეძლეოდათ როგორც თურქული ბარათების მიხედვით, ასევე ჩვენი ადმინისტრაციის ნებართვითაც.“ საქმის განსახილველად დასტურს კი დროებითი მმართველობა პასკევიჩისაგან ითხოვს.[174] ახალციხის დროებითი მმართველობის უფროსს ოგარიოვს პასუხი შემდეგი შინაარსისა მოუვიდა: „ბეგებს საკამათო ნადე-

[173] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 4218, ფურც. 4.
[174] იქვე, საქ. 2930, ფურც. 14-15.

ლები განკარგულებაში ჰქონდათ სულთნის ბარათის, ჰისრის წესის თანახმად. ასეთი ტიპის მიწის სარგებლობის ფორმა კი დროებითი იყო. რადგანაც მის პატრონს ომიანობის დროს სამფლობელოდან უნდა გამოეყვანა ხალხი, ხოლო მშვიდობიანობისას შესაბამისი ციხის გარნიზონი ყოველმხრივ უნდა უზრუნველეყო, ამიტომ აღნიშნული ტერიტორიები უკან არ უნდა დაუბრუნდეთ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივ ბეგთა ხელში აღმოჩენილი მიწის ყოველი ნაკვეთი აკლდება ხაზინას.“[175] როგორც ვხედავთ, ხელისუფლება ადგილობრივ დიდებულებს საარსებოდ აუცილებელ ნიადაგს აცლიდა და გასამწესებლად იდეალურ პირობებს უქმნიდა. აღნიშნული ფორმის, „ჰისრის“-ს წესით მიწითსარგებლობის თაობაზე საკუთარი მოსაზრება პოლკოვნიკმა დრეშერმა თავის დროზე, კერძოდ 1830 წ. ფელდმარშალ პასკევიჩს მოახსენა. მან აღნიშნა, რომ ჰისრის სახით მამულის საკუთრებაში ქონა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაიშვას.[176]

ხაზინის სამფლობელოს გასაზრდელად ადმინისტრაცია მის მიერვე გაცემული საბუთების სისწორესაც უარყოფდა. ასე მაგალითად, ასპინძის ბეგს საფარს შემენილი სოფლები ჩამოერთვა იმიტომ, რომ ყიდვა-გაყიდვის საბუთი (რომელიც შედგენილია 1831-32 წლებში) არ იყო სწორად ჩამოყალიბებული. ექსპროპრირებული სოფელი ხაზინას გადაეცა.[177] ადმინისტრაციის ასეთმა მოქმედებამ თავისი შედეგი გამოიღო. 1834 წ. ფოცხოვის სანჯაყის 29 სოფელიდან 21 სახაზინოდაა ჩარიცხული.[178]

[175] იქვე, ფურც. 16.
[176] იქვე, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 2930 ფურც. 11-12.
[177] იქვე, ფ. 77, აღწ. 3, საქ. 7 ფურც. 2.
[178] იქვე, საქ. 6, ფურც. 2-3.

ადგილობრივი დიდებულების თავიდან მოცილების მიზნით, რუსეთის თვითმპყრობელობა სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. სიძველეთა საცავში გამოვლენილ დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს მოცემულ მხარეში მცხოვრები ბეგებისა და აღების თხოვნას ადგილობრივი მმართველობისადმი, ვკითხულობთ: „საფაშოს რუსთა მიერ აღების შემდეგ მრავალი ჩვენთაგანი გადაიხვეწა ოსმალეთში, რაზედაც უფლება უმაღლესმა ხელისუფლებამ მისცა“. ამის შედეგ მომჩივრები განაგრძობენ: „მაგრამ იმათ, ვინც საკუთარი სურვილით დავრჩით ადგილზე, სადაც მიმდინარე დროსაც ვცხოვრობთ, ადგილობრივი (ახალციხის დროებითი მმართველობის მიერ - ჯ. ვ.) ხელისუფლების საშუალებით გამოგვიცხადეს, რომ ჩვენ არასოდეს ჩამოგვერთმევა საკუთრება და ამავე დროს შენარჩუნებული გვექნება ძველი უფლებები და ადათი. ეხლა კი, თქვენო აღმატებულესობავ, უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებით ითხოვთ ჩვენგან იმ ბარათებს, რომელთა მიხედვით გვეკუთვნის ახალციხეში მიწები. რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია შევეწინააღმდეგოთ თქვენ ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამავე დროს არ შეგვიძლია გადმოგცეთ მოთხოვნილი დოკუმენტების ორიგინალები, არამედ მოგაწოდებთ ასლებს, რომლებსაც ალაი ბეგი დედნიდან აიღებს. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ე. ი. თუ თქვენ დაიტოვებთ ძირეულ ფორმას, მაშინ ჩვენც იძულებული გავხდებით გავეცალოთ აქაურობას. ხოლო ჩვენს მამულებს წაიღებთ ხაზინაში.“[179] აღნიშნულ დოკუმენტს ხელს აწერს 38 ბეგი. როგორც ვხედავთ, ხელისუფლებას საკუთარი დანაპირების შესრულება არც კი სურდა. ის მანამდე იყო ერთგული თავისი სიტყვისა, სანამ ეს მის პოლიტიკას აწყობდა, თორემ შემდეგ ყველას და ყველაფერს გაწირავდა სანუკვარი მიზნის მისაღწევად.

[179] იქვე, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3083, ფურც. 7.

ახალციხის საფაშოში, ზოგიერთ სანჯაყს - ფოცხოვს, ჭაჭარაქს, ქობლიანს[180] რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ადგილობრივი დიდებულები, ბეგები განაგებდნენ. თუმცა, ასეთი მნიშვნელოვანი დათმობა ადმინისტრაციის მხრიდან დიდხანს არ გაგრძელებულა. ასე მაგალითად, 1832 წ. დასაწყისში მხარის დროებითი მმართველობის გამგებელი, პოლკოვნიკი სნაკსარიოვი საქართველოს მთავარმართებელს ბარონ როზენს წერს: „როცა მე ვათვალიერებდი ჩემდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების ზოგიერთ სანჯაყს, კერძოდ, ფოცხოვსა და ჭაჭარაქს, აღმოჩნდა, რომ მათ მმართველებს, მუსალიმ სანამ-ოღლის და მევლუდ-აღას გაბმული აქვთ ურთიერთობა ყარსის ფაშასთან. როგორც ჩანს, აღნიშნული ბეგები ელიან, თუ სად გაივლის საზღვარი ჩვენსა და ოსმალეთს შორის, ხოლო ამის შემდეგ ისინი დატოვებენ რუსეთის ფარგლებს. ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა ამ ბეგების სანჯაყის მმართველობიდან გადაყენება. მათ ნაცვლად კი რუსი ოფიცრების დანიშნვა, რომელთაც უნდა მიეცეს ჯამაგირი 150 მან. ოდენობით. რაც შეეხება იმ სოფლებს, რომლებიდანაც ღებულობდნენ შემოსავალს სანჯაყბეგები, უნდა იქნას ჩარიცხული ხაზინაში.“[181] გამგებელი აქვე განაგრძობს, რომ ჩვენ ასეთ მოქმედებას არ შეიძლება რაიმე სერიოზული გართულება მოყვესო.[182]

ხელისუფლება ასევე დაუნდობლად ეპყრობოდა მის სამსახურში მდგომ პირებსაც, როდესაც ისინი იმპერიის ინტერესებში შემავალ საკითხებს მოაგვარებდნენ. ასეთი ბედი ხვდა წილად დროებით მმართველობაში შემავალ მუსლიმ დეპუტატს - ალაი ბეგს. მას პოლკოვნიკმა დრეშერმა გაწეული სამსახურისათვის ჯამაგირის ნაცვლად, რომელსაც ადმინისტრაცია ვერ უხდიდა, გასამრჯელოდ სოფელი გადასცა, მაგრამ მალევე, ყოველგვარი მიზეზის გარეშე (სამწუხაროდ, დოკუმენტში არც სოფელია დასახელებული და არც მისი ჩამორთმევის მიზეზი- ჯ. ვ.), ისევ ჩამოართვა.[183] როგორ ვხედავთ, იმპერიისათვის არაფერს ნიშნავდა ადგილობრივთა შორის საკმაოდ დიდი ავტორიტეტის მქონე ადამიანებიც. მთავარი იყო, მათგან, განსაზღვრულ დროის მონაკვეთში, სარგებელი მიეღო. შემდეგ კი მათ ისეთივე ბედი ერგებოდათ, როგორიც სხვებს.

ახალი მმართველობა უწყობდა რა ყოველმხრივ ხელს ოსმალეთიდან გადმოსახლებულ ახალმოშენეებს, არაფრად აგდებდა ადგილობრივი დიდებულების ეკონომიკურ ინტერესს. უფრო მეტიც, ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობდა, შემოსავლის გარეშე დაეტოვებინა აღა-ბეგები. არქივში მოპოვებული ერთ-ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1831 წ. დროებითმა მმართველობამ თავის სხდომაზე მოისმინა ახალციხის მკვიდრის - დურსუნ-აღა ბექირ-ოღლის საჩივარი, რომელიც ეხებოდა გადმოსახლებულებისა და მის, როგორც კერძო მესაკუთრის, ურთიერთობას. აღა გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ ჩამოსახლებულები, რომლებიც ცხოვრობენ ხერთვისის სანჯაყში განლაგებულ მის კუთვნილ სოფელში, არავითარ გადასახადს არ იხდიან, სარგებლობენ რა სათიბებითა თუ შემოსავლის სხვა მნიშვნელოვანი წყაროებით. მაგრამ მემამულის უბედურება ამით არ მთავრდება. მან ერზრუმიდან გადმოსულებს მისცა მისი მეორე სოფლის, რომელიც ახალქალაქის სანჯაყშია, სათიბები, განსაზღვრული გასამრჯელოს ფასად. მაგრამ ჩამოსახლებულებმა უმნიშვნელო თანხის გადახდის შემდეგ უარი განაცხადეს სათიბებით სარგებლობისათვის ქირის გადახდაზე, რის გამოც მემამულემ საჩივარი შეიტანა მხარის დროებით

[180] მ. სანაძე, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკ. IV, თბ. 1993, გვ. 82.
[181] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1 საქ. 3080, ფურც. 3-4.
[182] იქვე.
[183] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3086, ფურც. 1-3.

მმართველობაში. საქმის გამოძიება დაევალა კაპიტან მუსხელოვს. გამომძიებელმა შემდეგი დასკვნა გამოიტანა: „მემამულის მოთხოვნა კანონიერია, რადგანაც აღნიშნული სოფელი კერძო საკუთრებაა და ის გადმოსახლებულებს არ ეკუთვნის.“ მაგრამ ამიერკავკასიის სამოქალაქო ნაწილის მმართველმა, პანკრატოვმა ბრძანა: „მოცემულ და შესაბამის საქმეებთან დაკავშირებით უნდა ვიმოქმედოთ ისე, როგორც ეს ფელდმარშალმა პასკევიჩმა ბრძანა, გადმოსახლებულებს არავითარი შეხების წერტილი არ უნდა ჰქონდეთ ადგილობრივ მემამულეებთან. ამიტომ სათიბებით სარგებლობისათვის, დურსუნ-აღა ბექირ-ოღლის სასარგებლოდ არ შეიძლება რაიმე თანხის მინიჭება, რომელიც ამოღებული იქნება გადმოსახლებულებისაგან.“[184] საარსებო წყაროს მოკლებულ მემამულეს მხოლოდ ერთი რამ რჩებოდა - სოფელი მიეყიდა ხაზინისათვის, ხოლო თვითონ გადახვეწილიყო ოსმალეთში.

აღნიშნული საკითხის შესწავლისას გამოვლინდა ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი. კერძოდ ის, რომ ერზრუმიდან გადმოსახლებული სომეხი ეროვნების მოსახლეობა ხშირად სახლდებოდა მკვიდრი მოსახლეობისაგან დაცლილ სათაფუე მიწებზე. რა თქმა უნდა, ამას მემამულე (ბეგი, აღა და სხვა) წინ არ აღუდგებოდა, რადგანაც თაფუთი სარგებლობისათვის მოიჯარეს მიწის ნაკვეთის შემოსავლის ერთი მეხუთედი უნდა გადაეხადა. ასეთმა ვითარებამ რუსული ადმინისტრაცია გააოგნა. სიძველეთა საცავში გამოვლენილ დოკუმენტში ასეთი ამბავია გადმოცემული: ადგილობრივი მემამულეები, მათი სიხარბიდან გამომდინარე, თაფუს სახით აძლევენ მიწას გადმოსახლებულებს. საამისოდ ისინი მათგან ღებულობენ გადასახადს. როგორც ვიცით, უმაღლესი ბრძანებით, ისინი განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი ვალდებულებისაგან. ამიტომ

[184] სცსსა, ფ. 88, აღწ. 1, საქ. 5, ფურც. 9-11.

ადგილობრივ მემამულეებს არ უნდა ჰქონოდათ უფლება თაფუს ფორმით გადმოსახლებულებისათვის მიწის ნადელების გაცემისა, ან ეს უკანასკნელნი უნდა გადასახლებულიყვნენ სახაზინო მიწებზე.[185] რუსული მმართველობა თავისი ასეთი საქციელით ხელს უწყობდა მემამულის კუთვნილ ტერიტორიაზე დასახლებული მუშახელის გადინებას, ხოლო ეს კი დიდებულს გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა და ფაქტიურად უცხოეთში გასახიზნად ამზადებდა.

თავის მხრივ, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, მუსლიმან დიდებულთა გადახვეწა ოსმალეთის იმპერიაში იდენტურ პროცესს გამოიწვევდა დაბალ ფენებში, რადგანაც ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებული ბეგის ავტორიტეტი და მისი მომავალი კეთილდღეობა მასთან ერთად ემიგრირებული გლეხკაცობის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. სიძველეთა საცავში მოპოვებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: ბეგებმა 1830 წელს გაყიდეს თავიანთი კუთვნილი სოფლები, წინუბანი და აწყური, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი არ გადადიან ოსმალეთში. მიზეზი ამისა არის ის, რომ ბეგები უწევენ აგიტაციას თანასოფლელებს მათთან ერთად ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში გადასახლების თაობაზე.[186] ალექსანდრე ფრონელს თავის წიგნში მოცემული აქვს პატარა, მაგრამ მეტად საინტერესო ცნობა. ის წერს: „შაქირ ბეგი წავიდა ერთი წლის წინ სტამბოლში და ჩვენ არავინ გვყავს მფარველი, ამიტომ ჩვენც მივდივართო.“[187]

ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, რომ რუსეთის იმდროინდელი ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა მაქსიმალურად შეეზღუდა, ხოლო უმეტეს შემთხვევაში საერთოდ

[185] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, წიგ. 2, საქ. 3185, ფურც. 8-9.
[186] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, წიგ. 2 საქ. 2874, ფურც. 1-3.
[187] ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბ. 1991 წ. გვ. 60.

მოესპო საარსებო წყარო ადგილობრივი დიდებულებისათვის. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ აღა-ბეგები ფაქტიურად ჩამოცილდნენ სახელმწიფო სამსახურს,[188] გარდა ამისა, მათ ჩამოერთვათ რიგი მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც სხვადასხვა ფორმით ჰქონდათ სამემკვიდრეოდ გადაცემული ოსმალეთის ხელისუფლების მიერ. ამავე დროს, მიმდინარეობდა მათი უფლებების შეზღუდვა ოსმალეთის იმპერიიდან გადმოსახლებული, ძირითადად, სომეხი ეროვნების, მოსახლეობის სასარგებლოდ. ყოველივე ეს იძულებულს ხდიდა მათ, უცხოეთში გადახვეწილიყვნენ.

სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობის ოსმალეთში ემიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია რუსული ხელისუფლების მიერ საადგილმამულო ურითერთობებში გაურკვევლობა. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუსული ისტორიოგრაფია სუსტად ერკვეოდა ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმებში. რუსული ჩინოვნიკური აპარატისათვის საკმაოდ დიდხანს გაურკვეველი რჩებოდა მუსლიმანური მიწისმფლობელობის თავისებურებანი.

სამცხე-ჯავახეთში რუსულმა ადმინისტრაციამ თავისი უფლებების დამყარების შემდეგ დაიწყო ცალკეული ჩინოვნიკების ხელით საადგილმამულო ურთიერთობის გარკვევა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათთვის ამოსავალ თეზას წარმოადგენდა შირიათის დოგმა, მთელი მიწა ეკუთვნის უზენაეს ხელისუფლებას, ანუ ხაზინას. აქედან გამომდინარე, რუსმა მოხელეებმა, რა თქმა უნდა, უზენაესი ხელისუფლების ნებითა და იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, შეისწავლეს რა ძალზე ზედაპირულად მიწისმფლობელობის ზოგიერთი ფორმა, ძირითადად თიმარის, ჰისრის და თაფუს საფუძველზე მათთვის სასარგებლო დასკვნები გამოიტანეს.

[188] Dubois de Monpereux, Vouage, 2, 304.

სიძველეთსაცავში გამოვლენილ ერთ-ერთი დოკუმენტში ვკითხულობთ: „თურქი ჩინოვნიკების დოკუმენტებიდან, რომელთაც აქვთ მათი ბეჭედი, ირკვევა, რომ ახალციხის საფაშოში არსებობდა მიწისფლობელობის ორი ფორმა. თავის მხრივ, ეს დაადასტურეს ადგილობრივმა უხუცესებმა. პირველი, თიმარის (ტექსტის დედანში მოცემულია რუსული ფორმა მიწისმფლობელობის სახელწოდებისა, Тимарского) და მეორე, ჰისრის (Исарского). პირველი უფრო მეტად აღნიშნავს კერძო საკუთრებას, ხოლო - მეორე გადაეცემოდა მესაკუთრეს ომიანობის დროს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი მეპატრონეს ეძლეოდა განსაზღვრული ვალდებულებებით ხელისუფლების წინაშე. ამავე დროს, მას უფლება ჰქონდა, გაეყიდა ასეთი ფორმით აღებული მიწის ნაკვეთი. გაყიდვის შემთხვევაში ვალდებულებანი მყიდველზე გადადიოდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილი მიწისმფლობელობის ფორმა არ შეიძლება ჩაითვალოს კერძო საკუთრებად, ამიტომ ის უნდა ჩამოერთვას მესაკუთრეს და გადავიდეს ხაზინაში.“[189] თავის მხრივ საფაშოს დროებითი მმართველობის მიერ შექმნილ საადგილმამულო ურთიერთობათა შემსწავლელ კომისიას ოსმალთა ბატონობის დროს მიწითსარგებლობის ყველა ფორმა მუსლიმანმა დეპუტატმა ალაი-ბეგმა წარუდგინა. ის განმარტავს, რომ ჰისრი - ეს არის თიმარის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მესაკუთრეს ციხეთა სამსახურისათვის გადაეცემა კერძო საკუთრებაში სამემკვიდრეოდ. მასვე უფლება აქვს მისი გაყიდვისა მოვალეობასთან ერთად.[190] მოცემული დოკუმენტი გვარწმუნებს, რომ ჰისრი სხვა არაფერია, თუ არა თიმარის ფორმა. ჩვენს მოსაზრებას თავის მხრივ ამტკიცებს შ. ლომსაძის მიერ გაკეთებული დასკვნა, რომელიც საფუძვლიან ანალიზს ემყარება.

[189] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, წიგ. 2, საქ. 2930, ფურც. 19-20.
[190] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, წიგ. 2, საქ. 2930, ფურც. 23-24.

იგი წერს: „...ჰისარი სხვა არაფერი იყო, თუ არა მცირე თიმარი.“ რაც შეეხება თიმარს, ის „ერაზი მირიე“, ანუ სახელმწიფო სახაზინო მიწებიდან გაიცემოდა, მაგრამ როგორც კერძო საკუთრება.[191]

თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ჰისრის ფორმის სახით მიწათსარგებლობის თიმარისაგან განსხვავება, როცა პირველი უკანასკნელის შემადგენელი ნაწილია, რუსული ადმინისტრაციის მიერ ხელოვნურად გაკეთდა. ხელისუფლების ასეთი ქმედებისა მიზანი ცნობილია: რაც შეიძლება მეტი მიწების სახაზინოდ ჩარიცხვა, იქ სასურველი ეთნოსის დასახლება.

სახაზინოდ ტერიტორიების ჩარიცხვის მავნე პრაქტიკა რუსულმა მმართველობამ იმთავითვე ფართოდ დანერგა მის მიერ გათავისებულ მხარეში. სამცხე-ჯავახეთში მამულების სახაზინოდ ჩარიცხვა ორგანულად დაკავშირებული იყო რუსეთის იმპერიის კოლონიალურ პოლიტიკასთან, რომელსაც, თავის სასარგებლოდ, ეთნიკური ცვლილება უნდა მოეხდინა აღნიშნულ რეგიონში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირი იყო შემთხვევები, როცა ოსმალეთიდან გადმოსახლებული ხალხი სახლდებოდა კერძო მესაკუთრეთა მიწებზე. ამიტომ საფაშოს დროებითი მმართველობის წინაშე მწვავედ დადგა საკითხი სახაზინო მიწების გაფართოების თაობაზე. აი რა დასკვნა გამოაქვს ამასთან დაკავშირებით დროებით მმართველობას: ახალციხეში აღარ არის ისეთი კარგი სახაზინო ადგილები, სადაც სასურველია, რომ დასახლდნენ ოსმალეთიდან გადმოსულები. ამიტომ ისინი იძულებული არიან, დასახლდნენ მესაკუთრეთა მამულებზე, რის გამოც იხდიან ვალდებულებებს. შესაბამისად საჭიროა ნებ-

[191] Трактат Али Чауша и Софии, стр. 105-107. ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, გვ. 307.

ისმიერი ხერხით კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, სადაც სახლობენ ოსმალეთიდან გადმოსახლებული ქრისტიანები, ჩაირიცხოს ხაზინაში. თუ საჭიროება მოითხოვს ისინი უნდა გამოისყიდონ ორმაგ ფასადაც კი.[192] მსგავსი ამბავია მოცემული თაფუს მფლობელთა თაობაზე სხვა დოკუმენტშიც. ასე მაგალითად, საქალაქო მმართველობა უმაღლეს ხელისუფლებას ატყობინებს, ადგილობრივები, რომლებიც ფლობენ მიწის ნაკვეთებს თაფუს სახით, აღარ იხდიან გადასახადს, რადგანაც ამ ნაკვეთების მესაკუთრენი გადაიხვეწნენ ოსმალეთში. ამიტომ, ჩვენი აზრით, უნდა გამოიცეს ბრძანება, რომლის მიხედვითაც თაფუს მფლობელებს აეკრძალებათ ასეთი მიწის ნადელების გაყიდვა, ხოლო ეს უკანასკნელი გადავიდეს ხაზინაში.[193] ასეთმა უხეშმა დარღვევებმა გამოიწვია ის, რომ ძალიან ბევრი სათაფუე მიწა სახაზინოდ იქნა ჩარიცხული.[194] 1830-32 წლებში ახალციხის დროებითი მმართველობა უმაღლესი ხელისუფლებისაგან მოითხოვს ბეგებისათვის მამულების ჩამორთმევის უფლებას, რომ გაიზარდოს ხაზინაში შემავალი მიწის რაოდენობა.[195] როგორც ვხედავთ, ხელისუფლება ცდილობდა ნებისმიერი საშუალებით მიეღწია მიზნისათვის. მიზანი კი ერთი იყო - რაც შეიძლება მეტი სახაზინო მიწა, რომელიც იმპერიის ერთგულ ეთნოსს შეღავათებისა და გარკვეული პრივილეგიების დართვით უსასყიდლოდ გადაეცემოდა.

რუსული მმართველობის მიერ სამცხე-ჯავახეთის მიწების სახაზინოდ ჩარიცხვის საქმეში აღებული პოლიტიკური კურსი ნაწილობრივ განპირობებული იყო საფაშოს დროებითი მმარ-

[192] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, წიგ. 2 საქ. 3089, ფურც. 15.
[193] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, წიგ. 2 საქ. 3185, ფურც. 12.
[194] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, წიგ. 2 საქ. 3185, ფურც. 20.
[195] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, წიგ. 2 საქ. 3282, ფურც. 6-7; ფ. 16, აღწ. 1, საქ. 4436, ფურც. 1-14.

თველობის არსებობის პირველ წლებში მამულების ცალკეულ პირებზე გაყიდვით. საფაშოს დროებითი მმართველობის ერთ-ერთმა პირველმა გამგებლებმა, გენერალმა ბებუთოვმა და პოლკოვნიკმა დრეშერნმა მისცეს ნება სხვადასხვა პირებს, სამოქალაქო და სამხედრო ჩინოსნებს, გრიგორიანული ეკლესიის წარმომადგენლებს და საერთოდ, ფაქტიურად ყველა მსურველს, შეღავათიან ფასებში შეეძინათ მამულები ახალციხის საფაშოში. ასე მაგალითად, 1830 წელს არქიეპისკოპოს კარაპეტას მიერ შეძენილი იქნა სოფლები: სვირი, ზირი, თორნისი, კონჩხა და რიგი მამულებისა სოფელ ვარხანში.[196] მამულების დიდი ნაწილი ხელში ჩაიგდეს ვაჭარ-მარკიტნებმა, რუსმა სამხედრო ჩინოსნებმა, სამოქალაქო სამსახურის პირებმა.[197] დაშვებული შეცდომების თაობაზე, პოლკოვნიკი სნაკსარიოვი, მოახსენებდა რა უმაღლეს ხელისუფლებას, აღნიშნავდა, რომ ახალციხის ადრინდელი მმართველობის მიერ კერძო პირებზე გაყიდული იქნა თითქმის ნახევარი ფაშალიკი. ამ შემთხვევაში ისინი ნამდვილად არ გამოდიოდნენ ხაზინის ინტერესებიდან.[198] სავარაუდოა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მმართველები რამდენადმე იგნორირებას უკეთებდნენ ხაზინის ინტერესებს. მაგრამ დროებითი მმართველობის მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ ესარგებლა საომარი მდგომარეობით შექმნილი განუკითხაობით და მიეღო ყველა ზომა, რათა სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი მაჰმადიანი ქართველობა აყრილიყო და ოსმალეთში გადაკარგულიყო.

როგოც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში, იქნებოდა ეს მამულების ცალკეულ პირებზე გაყიდვა თუ მიწების სახაზინოდ ჩარიცხვა, ადგილობრივი მოსახლეობა იჩაგრებოდა. ყველაფერი მათი ელემენტარული ინტერესების ხარჯზე ხდებოდა. სა-

[196] სცსსა, ფ. 77, აღწ. 1, საქ. 35, ფურც. 1-2.
[197] შ. ლომსაძე, დას. ნაშ. გვ. 422-429.
[198] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, წიგ. 2, საქ. 3282, ფურც. 1-6.

ამისოდ კი იმპერია დიდ სარგებელს ღებულობდა - „საქართველო ქართველების გარეშე“.

რუსეთის იმპერიამ მხარეში თავისი ხელისუფლების დამყარებისთანავე ადგილობრივებს ამცნო, რომ წეს-ჩვეულებანი ხელშეუხებელი დარჩებოდა და მათი ყოფა ძველებურად წარიმართებოდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დაპირება მხოლოდ იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა. იმპერია აქაც ისე მოიქცა, როგორც მისი კოლონიალური ზრახვები კარნახობდა. ადგილობრივთა ცხოვრების წესების უარყოფა ყველა ასპექტში შეინიშნებოდა. არქიეპისკოპოსმა კარაპეტმა ჯამე ეკლესიად გადააკეთა, რადგანაც მას ეს ადგილი ძალიან მოეწონა.[199] მსგავსი ამბავი აქვს აღწერილი ზ. ჭიჭინაძეს. ის წერს: ვინმე ერთ სომეხ ქალს დასიზმრებია, რომ სოფლის მიმდებარედ არსებული ჯამე თუ არ გადაკეთდა ეკლესიად, საქმე ცუდად წავაო. გრიგორიანელებმა სიზმარი ცხადად გადააქციეს. სიძველეთა საცავში გამოვლენილი დოკუმენტიდან, რომელიც 1830 წლით თარიღდება, ვგებულობთ, რომ ხშირი იყო შემთხვევები, როცა გადმოსახლებულ სომხებს ადგილობრივთა ბინებში ასახლებდნენ.[200] ეს კი, თავის მხრივ, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ამ უკანასკნელთა შორის. მკვიდრი მოსახლეობის წეს-ჩვეულებათა უარყოფა ცხოვრების სხვა მხარეებსაც შეეხო, კერძოდ, მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმეს. ამის დამადასტურებელი საბუთები სიძველეთა საცავში მრავლადაა. სამაგალითოდ ჩვენ ერთ-ერთს მოვიყვანთ. 1832 წელს დროებითი მმართველობა უმაღლეს ხელისუფლებას ატყობინებდა: ჩვენი ხელისუფლების დამყარებისას აქაურმა მოსახლეობამ დააპირა რა ოსმალეთში წასვლა, გაყიდა მამულები. მაგრამ გაყიდვა მოხდა ამათი ადათისა და წესის მიხედვით. რაც გულისხმობს იმას, რომ თუ გამყიდველი არ წავ-

[199] ლ. ჯანიაშვილი, სომხები სამცხე-ჯავახეთში, თბ. 1995, გვ. 12.
[200] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, წიგ. 2, საქ. 2596, ფურც. 1-2.

იდოდა ოსმალეთში, მაშინ გაყიდული მამული მის ყოფილ მეპატრონეს დაუბრუნდებოდა. რა თქმა უნდა, თანხის დაბრუნების შემდეგ. როგორც აღმოჩნდა, წასასვლელად გამზადებულთა დიდი ნაწილი აღარ აპირებს ჩვენი ფარგლების დატოვებას. ამიტომ, წარმოგიდგენთ რა შექმნილ ვითარებას, მმართველობა გთხოვთ, რომ აღნიშნულ საქმეში ჩაერიოს ხელისუფლება. რომ საქმე გადაწყდეს გადმოსახლებული ქრისტიანების სასარგებლოდ.[201] როგორც ვხედავთ, რუსული მმართველობა აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებდა ადგილობრივთა წესებს. საზოგადოდ კი უნდა ითქვას, რომ ახალმა ხელისუფლებამ თადარიგი თავიდანვე დაიჭირა. რადგანაც დროებითი მმართველობა ძირითადად ხელმძღვანელობდა საერთო რუსული კანონებით, ხოლო ზოგან, სამოქალაქო საქმეებში უშვებდა ოსმალეთისდროინდელ კანონებსა და ადათ-წესებს.[202] კანონთა ასეთმა აღრევამ, რომელიც თითქოსდა კეთილი ნებით იყო ნაკარნახევი, იმპერიისათვის სასურველი შედეგი გამოიღო. ხელისუფლება კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე სარგებლობდა რუსული კანონებით ან ადგილობრივი წესებით თუ ოსმალური კანონებით, ანუ იქცეოდა ისე, როგორც სასარგებლო იქნებოდა მისთვის.

მეტად საინტერესოა იმპერიის დამოკიდებულება იმ ადგილობრივთა მიმართ, რომლებიც რუსული ხელისუფლების დამყარებისთანავე ქრისტიანულ აღმსარებლობაზე გადმოვიდნენ. ადმინისტრაცია მათ ერთმნიშვნელოვნად არ უყურებდა. ცარისტული აპარატი ბწყინვალედ იყენებდა ამ ადამიანებს საკუთარი ინტერესებისათვის და ამავდროულად სავსებით უცხო ხდებოდა იგივე ხალხი, როცა საკითხი მისთვის არასასურველ სფეროს ეხებოდა. ჩვენ მიერ მოპოვებული ერთ-ერთი დოკუმენ-

[201] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, წიგ. 2, საქ. 103, ფურც. 1-3.
[202] О. Эвецкий, Статистические описание Закавказье, стр. 184.

ტიდან ვგებულობთ, რომ ადგილობრივ მემამულეს არა აქვს უფლება, აიღოს ახლად გაქრისტიანებულებისგან რაიმე სახის გადასახადი, ან კიდევ მოთხოვოს რომელიმე ვალდებულების შესრულება.[203] მაგრამ ვითარება არსებითად სხვაა, როცა საკითხი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან მოვლენას ეხება. უნდა ითქვას, რომ რუსი კოლონიზატორები ტენდენციურად ეპყრობოდნენ არა მარტო მუსლიმან, არამედ ქრისტიანული აღმსარებლობის მატარებელ ადგილობრივ პირებსაც. 1832 წ. მარტისათვის ახალციხის დროებითი მმართველობისა და საქართველოს მთავარმართებლის ოფიციალური მიმოწერიდან შემდეგს ვგებულობთ: ბლაღოჩინმა იოსეფ ორბელიანმა საქართველოს მთავარმართებელს გ. როზენს თხოვა ხერთვისის სანჯაყში განლაგებული მისი კუთვნილი ოთხი სოფლიდან რომელიმე ერთში მის მიერვე ხელახლა გაქრისტიანებული ადგილობრივი 27 ოჯახი დაესახლებინა. თხოვნის გასასამართლებელ საბუთად ბლაღოჩინს მოყავს ჯერ ერთი ის, რომ ახლად გაქრისტიანებულნი შეადგენენ მართლმადიდებელ მრევლს, და მეორე, მის კუთვნილ ოთხივე სოფელში ცხოვრობენ ერზრუმიდან გადმოსახლებულნი, რომლებიც არ იხდიან არავითარ გადასახადს და არ კისრულობენ არც ერთი ვალდებულების შესრულებას. აქვე ბლაღოჩინი დასძენს იმასაც, რომ აღნიშნულ ადგილებს ერზრუმიდან გამოსულები საცხოვრებლად ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაეპატრონენ.[204] მთავარმმართებელმა ბლაღოჩინის საქმის განხილვა და საბოლოო დასკვნის გამოტანა ახალციხის მხარის მმართველობის გამგებელს, პოდპოლკოვნიკ ოგარიოვს დაავალა. ამ უკანასკნელმა კი სარჩელის გარკვევა გადმოსახლებულთა შტაბის პრისტავს, კაპიტან ანდრეევს დააკისრა. კაპიტანმა დიდი გულდასმით შეისწავლა

[203] სცსსა, ფ. 88, აღწ. 1, საქ. 5, ფურც. 1-5.
[204] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 3077, ფურც. 2-3.

აღნიშნული საქმე და მხარის გამგებელს შემდეგი შინაარსის პატაკი წარმოუდგინა: ბლაღოჩინი იოსებ ორბელიანის თხოვნა იმის თაობაზე, რომ დაერთოს ნება ხერთვისის სანჯაყში განლაგებული მისი კუთვნილი ოთხი სოფლიდან ერთ-ერთში, კერძოდ კი სოფ. ბურნაშეთში ერზრუმიდან გადმოსახლებულთა ნაცვლად დაასახლოს ადგილობრივთა 27 კომლი, არ შეიძლება დაკმაყოფილდეს. მიზეზები შემდეგია: პირველი, აღნიშნულ სოფელში ცხოვრობს 32 სომეხი ეროვნების ოჯახი, რომელთაც აქვთ საკმაოდ დიდი სახნავ-სათესი ნადელები. გარდა ამისა მათ განკარგულებაშია ორი მშვენივრად გამართული წისქვილი, ბრწყინვალე სახლები და ძველი ეკლესია. მათი აქედან გადასახლების შემთხვევაში საჭირო დარჩება ყოველივე ამის ხელახლა მოწყობა, რაც გამოიწვევს მოსახლეობის დროებით გაღარიბებას და ზედმეტ ტვირთად დააწვება ხაზინას. მეორე, აღნიშნული სოფლის გარშემო განლაგებულ ტერიტორიაზე ასევე ცხოვრობენ ერზრუმიდან გადმოსულები. ამიტომ მათ შორის ადგილობრივთა ჩასახლება გამოიწვევს წინააღმდეგობებს, როგორც ეს მხარის სხვა ადგილებში ხდება. მესამე, სოფელში კიდევ არის საშუალება, ჩავასახლოთ დაახლოებით 25 კომლი ერზრუმელი ქრისტიანი, რაც, ჩემის აზრით, დიდ სარგებელს მოუტანს იმპერიას.[205] მოცემული საქმე კიდევ რამდენიმე ათეულ ფურცელს შეიცავს, რადგანაც იოსებ ორბელიანმა არაერთხელ მიმართა იმავე თხოვნით ხელისუფლების სხვადასხვა უწყებას. საქმიდან ირკვევა, რომ ბლაღოჩინმა იოსებ ორბელიანმა მმართველობას აღუთქვა მისი კუთვნილი სოფლებიდან სამის უსასყიდლოდ ხაზინისათვის გადაცემა, ოღონდ დაერთოდ ნება რომელიმე ერთში დაესახლებინა ახლადგაქრისტიანებული ადგილობრივები. გამგეობამ დაწვრილებით შეისწავლა მოცემული საქმე. სკურპულიოზური სიზუსტით აღწერეს სოფლები, გაზ-

[205] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1 საქ. 3077, ფურც. 5-6.

ომეს სახნავ-სათესი თუ სათიბი ნადელები, გამოიანგარიშეს თითოეული სოფლის საშუალო მოსავლიანობა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანეს საბოლოო ვერდიქტი, ბლაღოჩინის თხოვნის თაობაზე: მას უარი ეთქვა სარჩელზე.[206]

როგორც ცნობილია, თურქეთიდან გადმოსული მოსახლეობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში გათავისუფლებული იყო როგორც სახაზინო, ისე საბატონო გადასახადებიდან. ამასთან, მათ შეეძლოოთ უარი ეთქვათ ნებისმიერ სხვა ვალდებულებაზე, მიუხედავად იმისა, ცხოვრობდნენ სახელმწიფო თუ კერძო მესაკუთრის ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომ იყვნენ დაინტერესებული ქართველი წარჩინებულები ლოიალურად განწყობილი ადგილობრივების საკუთარ მიწებზე დამკვიდრებით.

რუსული ადმინისტრაცია, გასაგები მიზეზების გამო, ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა ერთი შეხედვით მისთვის სასურველი ელემენტების სამცხე-ჯავახეთში მომძლავრებას. ეს კარგად ჩანს ზემოხსენებული ბლაღოჩინის მაგალითზედაც. მან ბევრი ინსტანცია მოიარა, მაგრამ ახლად გაქრისტიანებულთა სამშობლოში დამკვიდრება ვერ მოახერხა. მიზეზი ამისა კი რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკა იყო. იმპერიისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მკვიდრი მოსახლეობა იყო ქრისტიანული თუ მუსულმანური აღმსარებლობისა. მთავარი მიზანი მათი სამშობლოდან განდევნა იყო.

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალიდან ირკვევა, სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის სამშობლოდან აყრა-გადასახლების საქმეში ლომის წილი რუსეთის იმპერიას მიუძღვის. მაგრამ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეში თავისი წვლილი მეორე მხარემ, ოსმალეთის იმპერიამაც შეიტანა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ანდრიანოპოლის საზავო ხელშე-

[206] იქვე, ფურც. 6-23.

კრულების მე-13 მუხლის თანახმად, მოსაზღვრე ტერიტორიების მოსახლეობას 18 თვის• ვადაში, თავისუფალი გადასახლება-გადმოსახლების უფლება მიეცა.

ოსმალეთი კატეგორიულად მოითხოვდა საზავო ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტის შესრულებას. აი, რას ვკითხულობთ პასკევიჩის მიერ ნესელროდესადმი 1830 წლის 14 ოქტომბერს მიწერილ ბარათში: მე მქონდა ბედნიერება, წარმედგინა ბარათი იმპერატორისათვის. მისმა უდიდებულესობამ აღიარა, რომ თურქეთის მხარის მოთხოვნა ადრიანაპოლის ხელშეკრულების მე-13 მუხლის თაობაზე კანონიერია. ამიტომ ჩვენ ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი მათ ამ საქმეში. მანამ არ ამოიწურება ტრაქტატით გათვალისწინებული ვადა.[207] აქვე პასკევიჩი განაგრძობს, ყოველივე ეს ნაკარნახევია იმით, რომ დავანახოთ თურქეთს, თუ რაოდენ ზუსტად ვიცავთ ჩვენ ზავით გათვალისწინებულ პუნქტებს.[208]

რუსეთის იმპერიის ასეთმა მხარდაჭერამ ფრთები შეასხა ოსმალეთის საქმიანობას სამცხე-ჯავახეთში. ფართო მასშტაბით დაიწყო ოსმალო ემისრებისა და ფანატიკურად განწყობილი მოლა-ხოჯების საქმიანობა. ალ. ფრონელი შემდეგნაირად აღწერს ამ ამბავს: „მოლა, რას ამბობ, განა მშიერი არ მოკვდი უცხოეთში, იმ უშველებელ ქალაქში, სადაც არც ნათესავი და არც თვისტომი მოგეძებნება? მოლამ იტკიცა, როგორ თუ უცხოეთში? განა იქ სულ ჩვენები არ არიან? ქვეყანა დიდია, ძლიერი, განა აქაურ ფუღურებსა ჰგავს? მაჰმადიანი იქ მშიერი როგორ მოკვდება?“ ავტორი აქვე მიუთითებს იმ გარემოებაზე,

• გვინდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად საზავო ხელშეკრულების დადგენილობის, აღნიშნული ვადა არაერთხელ იქნა გაგრძელებული, რაც ორივე მხარეს სასურველ სარგებელს აძლევდა.

[207] სცსსა, ფ. 11, აღწ. 1 საქ. 55, ფურც. 3.

[208] იქვე.

რომ მოლას თან მიჰყავს მისი მრევლი.[209] იგივეზე წერს სამსონ ფირცხალავა. „შექმნილი ვითარებით ისარგებლეს მოლებმა და დაიწყეს ხალხში ქადაგება იმისა, რომ ისინი წასულიყვნენ თურქეთში. ხალხმაც მიჰყიდა-მოჰყიდა ყველაფერი და გადაიხვეწა თურქეთში.“[210] მოლა-ხოჯებისა და მათ მიერ მოსახლეობის გადასახლების თაობაზე გაწეულ აგიტაციაზეა საუბარი სიძველეთა საცავში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1831 წლით თარიღდება. მასში ვკითხულობთ: გადასახლებულთა დიდი ნაწილი განეკუთვნება მაჰმადიანურ სამღვდელოებას. ამას ჩვენთვის საკმაოდ დიდი სარგებელი მოაქვს, რადგან მათ ერთად ოსმალეთში საცხოვრებლად გადადიან მოსახლეობის ფართო მასები.[211]

ასეთივე ფართო მასშტაბით გაშალეს თავიანთი საქმიანობა ოსმალეთის ემისრებმა, რომლებიც მოუწოდებდნენ ხალხს გადასახლებისაკენ. როგორც ირკვევა, მათი მთავარი დანიშნულება იყო სამცხე-ჯავახეთში გავლენის მქონე პირთა საშუალებით მოსახლეობის ფართო მასების აყრა-გადასახლება. 1830 წელს შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში შემდეგი ამბავია მოთხრობილი: ახალციხის საფაშოს ბეგებს ურთიერთობა აქვთ ვინმე თურქ ეფენდისთან,- თემურთან, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს ჩვენგან ბეგებისათვის მათი კუთვნილი მამულების გაყიდვის უფლების მიცემას, რადგანაც მათ სურთ გადასახლდნენ თურქეთში.[212]

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, ქარველ მაჰმადიანთა სამშობლოდან გადასახლების საქმეში თავისი

[209] ალ. ფრონელი, დას. ნაშ. გვ. 58.

[210] სამ. ფირცხალავა, სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი, თბ. 1915 წ. გვ. 40.

[211] სცსსა, ფ. 11, აღწ. 1 საქ. 55, ფურც. 12.

[212] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1 საქ. 2874, ფურც. 3.

წვლილი ოსმალეთმაც შეიტანა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის, რომ საამისოდ მათ დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებიათ. ესეც რომ არ ყოფილიყო, რუსულმა მმართველობამ ამ საქმისათვის იმდენი ძალა და ღონე დახარჯა, რომ სამცხე-ჯავახეთის მკვიდრნი აგიტაცია-პროპაგანდის გარეშეც გადაიკარგებოდნენ.

§3. მუჰაჯირობის პროცესის მიმდინარეობა და გადასახლებულთა რაოდენობა

წინა პარაგრაფში წარმოვადგინეთ ის მიზეზები, რომლებმაც აიძულა სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობა, აყრილიყო სამკვიდროდან და ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში გადასახლებულიყო. მოცემულ პარაგრაფში განვიხილავთ აღნიშნული პროცესის მსვლელობას, რომელმაც ჩვენი თანამემამულენი საქართველოს უძველეს კუთხეში, მესხეთში, უმცირესობაში ჩააგდო.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის აყრა-გადასახლება ჯერ კიდევ საომარი ოპერაციების მსვლელობისას დაიწყო. თუმცა აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მოსახლეობის მიერ ომის მსვლელობისას საცხოვრებელი ადგილების მიტოვების ყველა ფაქტი არ შეიძლება გაიგივდეს მუჰაჯირობის პროცესთან. თუ ჩვენ ცოტაოდენ მაინც ჩავღრმავდებით საქართველოს ისტორიაში, დავინახავთ, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის მიერ ამგვარი მოქმედება ომიანობისას ძალზე ხშირია. ასე იყო არაბთა, თურქ-სელჩუკთა, მონგოლთა შემოსევის დროს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა მუდამ ცდილობს თავი აარიდოს იმ ადგილებს, სადაც საომარი ოპერაციები მიმდინარეობს. ასეთი საქციელით ის

უზრუნველყოფს საკუთარი თავისა და მისი კერძო საკუთრების უსაფრთხოებას. ამიტომ, ჩვენი აზრით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილიდან გახიზვნა საომარი ოპერაციათა მსვლელობის დროს, ჩვეულებრივი ლტოლვილობაა. მოსაზრების დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის პროცესი, რომელიც საომარ ოპერაციათა შენელებას მოჰყვა. 1828 წლის 27 და 30 ივლისის პატაკებში ფელდმარშალი პასკევიჩი წერდა: ახალქალაქის აღების შემდეგ ხეობებში გაქცეულმა მოსახლეობამ დაიწყო საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება.[213] ამავე მოვლენაზე მიუთითებს სამხედრო ისტორიკოსი ვ. პოტო, მოგვითხრობს რა ხერთვისის ციხის აღების ამბავს. იგი წერს: რუსული იარაღის ძლიერებით დაშინებულმა, მიუდგომელ ხეობებში გახიზნულმა მოსახლეობამ დაიწყო საცხოვრებელ ბინებში დაბრუნება. შეუდგნენ მოსავლის აღებას, რომელიც დიდი სიამოვნებით მოჰქონდათ ჯარის სადგომში. ამან კი საშუალება მოგვცა, ხერთვისში შეგვექმნა პურის საკმაოდ კარგი მარაგი.[214] როგორც ვხედავთ, მოსახლეობის ერთი ნაწილი საომარ ოპერაციათა შენელების შემდეგ საკუთარ ბინებსა და მშვიდობიან არსებობას დაუბრუნდა.

უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხის მხოლოდ ამ კუთხით განხილვა მისი ცალსახად წარმოდგენა იქნება. ჩვენ მიერ წინა პარაგრაფში წარმოდგენილი იყო ის მასალა, რომელიც მიუთითებდა იმაზე, რომ რუსთა მიერ საომარ ოპერაციათა დაწყების შემდეგ, ძირითადად კი ქ. ახალციხის აღებისას, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა საფაშოს ფარგლები და ოსმალეთში გადასახლდა. ასე მაგალითად, გამოვლენილ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ თაფუს მფლობელთა დიდმა ნაწ-

[213] Акты, т. 7, стр. 759-760.
[214] В. Потто, Утверждение Русского владичества на Кавказе, т. 2, Тиф. 1902 г. Стр. 65.

ილმა 1828 წელს მიატოვა საფაშოს ფარგლები და ოსმალეთის სხვა პროვინციებში ან ტერიტორიებზე გადასახლდა.[215] მსგავსი ამბავია გადმოცემული სხვა დოკუმენტშიც: აქაურ მხარეში რუსთა შემოსვლის შემდეგ ერთი ნაწილი ადგილობრივი თურქებისა (ასე მოიხსენიებს რუსული მმართველობა ადგილობრივებს) გადასახლდა საცხოვრებლად ოსმალეთში.[216] ამავე მოვლენაზე მიუთითებს სიძველეთა საცავში დაცული სხვა დოკუმენტებიც.[217]

როგორც ვხედავთ, საომარ ოპერაციათა მსვლელობისას სამკვიდროდან აყრილი მოსახლეობის ნაწილი უკან დაბრუნდა, ხოლო ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა. ამიტომ, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი მოსახლეობის სამკვიდროდან გასახლება საომარ ოპერაციათა მსვლელობისას დაიწყო, თუმცა, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიტომ მათ ყველა პირობა შეუქმნეს ხალხს მასობრივი ემიგრაციისათვის.

მოსახლეობის ემიგრაციამ მართლაც ფართო მასშტაბები მიიღო. მიდიოდნენ არა მარტო ცალკეული ოჯახები, არამედ მთლიანად გვარის წარმომადგენლები, მიდიოდნენ სოფლები, ხეობები. ამ პროცესმა, ფაქტობრივად, მთლიანად დაცალა ისედაც მცირერიცხოვანი ქართველობისაგან აღნიშნული რეგიონი. სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობა უმცირესობაში აღმოჩნდა. აი, რას წერს ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი: „1832 წელს ქართველთა მაგიერ უმრავლესობაში უკვე სომხები აღმოჩნდნენ. ხოლო ქართველ მაჰმადიანებს რაოდენობით მეორე

[215] სცსსა, ფ. 2, აღწ 1 საქ. 3185, ფურც. 13.
[216] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1 საქ. 103, ფურც. 1.
[217] სცსსა, ფ. 11, აღწ. 1 საქ. 55, ფურც. 3-7; საქ. 3083, ფურც. 7.

ადგილიღა უკავიათ.“[218] ამ მოვლენისათვის ყურადღება სამსონ ფირცხალავასაც მიუქცევია: „დღეს ქართველების რიცხვი ძალზე შემცირებულია: ახალქალაქის მაზრაში ქართველები მხოლოდ 8-9 პროცენტს შეადგენენ, ხოლო ახალციხის მაზრაში 60-62 პროცენტს... და ყველაზე უფრო საგულისხმო აქ ის არის, რომ ამ ადგილების დაცარიელება ქართველებისაგან და აქაური მესხების სრული გადაგვარება მოხდა მეცხრამეტე საუკუნეში!“[219] სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობის გადასახლების პროცესის ამსახველი ვითარება განსაკუთრებული სიმძაფრითა და სიმწვავით მოცემული აქვს ივანე გვარამაძეს (ვინმე მესხი). მის შემოქმედებაში ქართველ მუსლიმანთა გადასახლებას თვალსაჩინო ადგილი უკავია. ამის თაობაზე ჩვენ უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი და აქ მიზანშეწონილად არ ვთვლით სიტყვის გაგრძელებას.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ემიგრაციის პროცესს ყურადღება თავის დროზე მ. სვანიძემ მიაქცია. ის წერს: „საქართველოში პირველად მუჰაჯირობას ადგილი ჰქონდა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როდესაც ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებული იქნა სამცხე-საათაბაგოს ნაწილი.“[220] მსგავსი ცნობებია დაცული სხვა მეცნიერთა მონოგრაფიებში თუ ცალკეულ გამოკვლევაში, სადაც ისინი ერთხმად მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ ძირითადად რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკის მეოხებით, მე-19 საუკუნის დასაწყისში, მოხდა სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა ემიგრაცია ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში.[221]

[218] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, თბ. 1919, გვ. 40.
[219] სამ. ფირცხალავა, სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი, გვ. 41.
[220] მ. სვანიძე, ქართველები თურქეთში, თბ. 1996, გვ. 5.
[221] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ. 1973; ი. ანთელავა, 1828-29 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო, თბ. 1964 წ.; კ.

ემიგრაციის პროცესი ძალზე მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. მუჰაჯირთა დიდი ნაწილი გზაში დაიღუპა, თუმცა დანიშნულების ადგილზე ჩასულთაც არ ხვდა წილად კარგი ბედი. ყოველივე ამას შემდეგნაირად აგვიწერს ალექსანდრე ფრონელი: „გაოსმალებულმა ქართველობამ იუკადრისა ქრისტიანი რუსების ბატონობა და მათ ხელში ყოფნა მაშინაც და დღესაც საფიქრებლად ეს ჰქონდათ და აქვთ: ჯარისკაცად წაგვიყვანენ და იმისთანა საჭმელს გვაჭმევენ, რომელიც რჯულით აკრძალული გვაქვსო. ეგებ, სხვა მიზეზიცაა გადასახლებისა და სამშობლოს მიტოვებისა, მაგრამ საბაბად ეს დაიხვიეს ხელზე, იხუვლა მრავალმა მათგანმა და ოსმალეთში გადაიხვეწა. საზოგადოდ, ბინის მოშლა და ოჯახის დაქცევა ადვილი არაა, მდიდარსაც უჭირს ახალი ბინის შოვნა, ახალი სახლ-კარის გამართვა და ოჯახის აშენება და აბა ღარიბ გლეხკაცს რა მოუვიდოდა? რუსის მთავრობა ხელს არ უშლიდა გადასახლებას, ვისაც არ სურდა აქ დარჩენა, გზა მშვიდობისა უთხრეს: „აიკრიფეთ გუდა-ნაბადი და საცა გნებავთ იქ წადითო, ხოლო ვადად ორ წელიწადს გინიშნავთო“. გადასახლების მსურველებმა გაყიდეს ქონება, ჩასხეს თავიანთი ოჯახობა ურმებში და წავიდნენ ოსმალეთში. იქ მათ ვერაფერი კარგი ვერ ნახეს - "წასული მესხები სახლდებოდნენ მცირე აზიისა და ევროპის ოსმანეთში, ბევრი გაწყდა გზაში შიმშილ-სიცივისაგან. ვინც მიაღწია ოსმანეთს უვნებლად, იმანაც ვერ იხეირა. მცირე აზია ერთ უშველებელ, ცივ და ყრუ სამარედ გადაიქცა ჩვენი ღვიძლი ძმებისათვის."[222]

ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა მე-19 საუკუნეში, თბ. 1973; პ. გიორგაძე, სამცხის სოფელი, 1830-1905 წლებში, თბ. 1969, წ.; თ. ჩიქოვანი, მესხეთი, თბ. 1979; დ, კოჟორიძე, სამცხე-ჯავახეთი წარსული და დღევანდელობა, თბ. 1987; მ. სანაძე, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვეთი 4, თბ. 1993 წ.; ლავ. ჯანიაშვილი, სომხები სამცხე-ჯავახეთში, თბ. 1995 წ.; ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მომახლეობა მე-18-20 სს., თბ., 1984; ვაჟ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი მე-19-20 სს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1993 წ. და სხვა.

სიძველეთა საცავში დაცულ საბუთებში მოიპოვება დოკუმენტები, რომლებიც ნაწილობრივ ასახავენ ემიგრაციის პროცესს. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ საზავო ხელშეკრულების თანახმად, გადასახლება-გადმოსახლება თავისუფლად ხდებოდა. ამიტომ ემიგრაციის მსვლელობის ამსახველი დოკუმენტები ძალზე ცოტაა, მით უმეტეს, რომ არც რუსეთისა და არც ოსმალეთის მხარეს ემიგრაციის მსვლელობის ტემპები ან მასთან დაკავშირებული სიძნელეები საერთოდ არ აინტერესებდა. მათთვის მთავარი ემიგრირებულთა რაოდენობა იყო. სიძველეთა საცავში გამოვლენილ დოკუმენტში, რომელიც 1834 წელსაა შედგენილი, მოცემულია, თუ რამდენი ოჯახი წავიდა გასულ წლებში ფოცხოვის სანჯაყის 29 სოფლიდან. სოფელი საილღიდან წავიდა 11 ოჯახი, შოვარწყალიდან 25, ლატაკიდან - 6, ვარჰანიდან - 10 და ასე შემდეგ, გადასახლებულ ოჯახთა საერთო რაოდენობა 330-ს შეადგენს.[223] ასევე არის დოკუმენტები, სადაც მოცემულია იმ პირთა სახელობითი სია, რომლებმაც გაყიდეს თავიანთი მიწის ნაკვეთები და გადასახლდნენ ოსმალეთში. ასე მაგალითად, 1836 წელს შედგენილ დოკუმენტში მოცემულია მესაკუთრეთა სია, რომლებმაც ახალციხის, ქობლიანის, აბასთუმნისა და ჭაჭარაქის სანჯაყებში 1828-35 წლებში გაყიდეს თავიანთი ნადელები და გადავიდნენ საცხოვრებლად ოსმალეთში.[224] როგორც ვხედავთ, მოცემული დოკუმენტებიდან, რა თქმა უნდა მეტ-ნაკლებად, გვექმნება წარმოდგენა იმ პროცესის

[222] ალ. ფრონელი დიდებული მესხეთი, თბ. 1991 წ. გვ. 129-130.
[223] სცსსა, ფ. 2, აღწ. 1 საქ. 6, ფურც. 1.
[224] სცსსა, ფ. 77, აღწ. 1 საქ. 12, ფურც. 2-64.

მსვლელობის შესახებ, რომელმაც ჩვენი მაჰმადიანი თანამემამულენი უცხოეთში გადაკარგა.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს აგრეთვე ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა რაოდენობის დადგენა. მაგრამ აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გადასახლებულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ვერ მოვახერხეთ, რაც თავის მხრივ განპირობებულია რიგი ობიექტური მიზეზებით. უპირველესად გვინდა აღვნიშნოთ, რომ ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების თანახმად, მოსაზღვრე ტერიტორიების მოსახლეობას უფლება ჰქონდა თავისუფალი გადასახლება-გადმოსახლებისა. ამიტომ რუსული მხარე არავითარ აღწერას გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ, არ აწარმოებდა, თუ არა ცალკეული გამონაკლისები. დასაშვებია გადასახლებულთა რაოდენობას, საჭიროებიდან გამომდინარე, ოსმალეთის მხარე აღნუსხავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთვის ოსმალური დოკუმენტები ხელმიუწვდომელია. ამიტომ შევეცდებით სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემისა და ცალკეულ პირთა აღწერილობის საშუალებით დავადგინოთ (რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება) ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებულ სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა რაოდენობა.

დიუბუას მონაცემებით, ახალციხის საფაშოში 1828 წლისათვის 34000 ოჯახი, ანუ დაახლოებით 136000 კაცი ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე, საფაშოს მთელი მოსახლეობა დაახლოებით 270-272 ათასს შეადგენდა.[225] არის აგრეთვე სხვა მონაცემიც, რომლის თანახმადაც, საფაშოში 1828 წლისათვის 34283 ოჯახში 140000 მამაკაცი ცხოვრობდა, ანუ მოსახლეობის საერთო რაოდენობა 278-280 ათასს აღწევდა.[226] მაგრამ ეს მონაცემები მთლიანად ახალციხის საფაშოს ეხება. როგორც ვიცით,

[225] Dubois de Monpereux, დას. ნაშ., ტ. 2.
[226] შ. ლომსაძე, დას. ნაშ. გვ. 317.

რუსთა მფლობელობაში გადმოვიდა საფაშოს მხოლოდ ნაწილი, კერძოდ კი მისი ათი სანჯაყი, ქალაქ ახალციხიანად. ამიტომ ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა რუსთა მიერ შემოერთებულ ნაწილში ომის დაწყების წინ მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა. ახალციხის საფაშო, რუსეთის ადმინისტრაციული ძალაუფლების დამყარებამდე, 24 სანჯაყისაგან შედგებოდა. თუ ჩვენ ზემოთ მოყვანილი რაოდენობიდან ყველაზე მინიმალურს - 270000-ს ავიღებთ და გავყოფთ სანჯაყთა საერთო რაოდენობაზე, ე. ი. 24-ზე, მივიღებთ თითოეულ სანჯაყში მაცხოვრებელ ადამიანთა რაოდენობას. როგორც ვხედავთ, თითოეულ სანჯაყში ომის დაწყების წინ 11250 ადამიანი ცხოვრობდა. თუ ჩვენ თითოეულ სანჯაყში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობას გავამრავლებთ რუსთა მიერ შემოერთებულ სანჯაყთა რაოდენობაზე - ათზე, მივიღებთ მოსახლეობის იმ რაოდენობას, რომელიც ცხოვრობდა აღნიშნულ სანჯაყებში ომის დაწყების წინ. როგორც ჩანს, 1828 წლისათვის შემოერთებულ მხარეში 112000-მდე ადამიანს უნდა ეცხოვრა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ფორმით მოსახლეობის რაოდენობის დადგენას თავისი ნაკლი აქვს. საქმე იმაშია, რომ ახალციხის საფაშოს ყველაზე უფრო მეტად დასახლებულ პუნქტს ახალციხის სანჯაყი, ქალაქ ახალციხითურთ, წარმოადგენდა. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 1828 წლისათვის ახალციხის სანჯაყში 39000 ადამიანი ცხოვრობდა.[227] მსგავსი ცნობაა მოცემული სხვა წყაროშიც, რომლის თანახმადაც, მე-19 საუკუნის 20-იანი წლებისათვის ახალციხეში 40000-ზე მეტი მცხოვრები იყო.[228] გაზეთ

[227] ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 2102.
[228] Ушаков, история военных деиствий в Азиатской Турции 1828-29 гг. стр. 284.

„თბილისის უწყებანი“-ს მიხედვით, ახალციხის სანჯაყში 1828 წლისათვის 5000 კომლი, ანუ 40000 სულზე მეტი ცხოვრობდა.[229] როგორც ზემოთ მოყვანილი მასალიდან ირკვევა, ახალციხის სანჯაყი გაცილებით უფრო მჭიდროდ დასახლებული იყო, ვიდრე სხვა რომელიმე. ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნებოდა, თუ ახალციხის საფაშოს შემოერთებული ათი სანჯაყის მოსახლეობის ოდენობის გამოთვლისას ახალციხის სანჯაყს განსხვავებული რაოდენობით ვიანგარიშებდით. აქედან გამომდინარე, ჩვენი დაკვირვებით საჭიროა ახალციხის საფაშოს საერთო რაოდენობა (270000) გავყოთ 9 სანჯაყზე და შემდეგ მივუმატოდ ახალციხის სანჯაყის მოსახლეობის რაოდენობის მინიმალური ოდენობა, ანუ 35000. ზემოთ თქმულიდან გამდინარეობს, რომ 1828 წლისათვის ახალციხის საფაშოს მოსახლეობა, ჩვენთვის საინტერესო რეგიონში, დაახლოებით 13000 შეადგენდა. ყოველივე ამის შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავადგინოთ, თუ რამდენი მკვიდრი დარჩა სამცხე--ჯავახეთში ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახლების ვადის ამოწურვის შემდეგ. რუსთა მიერ შემოერთებულ ახალციხის პროვინციაში, ო. ევეკის მონაცემებით, 30-იან წლებში 70000 ადამიანი ცხოვრობდა, რომელიც 13500 ოჯახში იყო განთავსებული.[230] აქვე ავტორი მიუთითებს, ქ. ახალციხეში 13000 ადამიანი ცხოვრობსო.[231] არის აგრეთვე სხვა მონაცემიც, რომლის მიხედვით ამავე წლებისათვის სამცხე-ჯავახეთის ხუთ სანჯაყში და ქ. ახალციხეში 6937 კომლი სახლობდა, რომელშიც 17463 მამრობითი სქესის ადამიანი ცხოვრობდა.[232] აქედან გამომდინარეობს, რომ აღწერილი სანჯაყთა მოსახლეობის ორივე სქესის რაოდენობა დაახლოებით 35 ათასს შეადგენდა, ხოლო მთლიანად სამცხე-ჯავახეთისა კი 65-70 ათას, რადგანაც მოსახლეობის საერთო რაოდენობას ქ. ახალციხის მოსახლეობა უნდა გამოაკლდეს. 65000 მცხოვრებელით განსაზღვრავს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას 1832 წლისათვის ვახტანგ ჯაოშვილი.[233] იგივე რაოდენობაზე მიუთითებს ვაჟა ლორთქიფანიძე.[234] დიუბუას მონაცემებით, 30-იანი წლებისათვის სამცხე-ჯავახეთის ხუთ სანჯაყსა და ქ. ახალციხეში 45430 ადამიანი ცხოვრობდა.[235] აქედან გამომდინარე, სამჯხე-ჯავახეთის მთლიანი მოსახლეობა დაახლოებით 80 ათასს უნდა შეადგენდეს. 81 ათასით განსაზღვრავს აღნიშნული რეგიონის მოსახლეობას 30-იან წლებში შოთა ლომსაძე.[236] როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა სხვადასხვა წყაროსა თუ მეცნიერთა გამოკვლევებს, ერთიმეორისაგან განსხვავდება. ამ მონაცემებით, მე-19 საუკუნის 30-იანი, წლების დასაწყისისათვის, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა 65 ათასია, ხოლო მაქსიმალური - 81 ათასი. ჩვენი აზრით, 1832 წლისათვის სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 70-75 ათასს უნდა შეადგენდეს. დიუბუას მონაცემების მიხედვით, აღწერილ ხუთ სანჯაყსა და ქ. ახალციხეში ხალხთა განსახლება შემდეგნაირი იყო: ქ. ახალციხე - 10894 სული, ახალციხის სანჯაყი - 14286, ხერთვისის სანჯაყი - 9752, ახალქალაქის სანჯაყი - 6022, აწყურის სანჯაყი - 3476, ასპინძის - 1000. როგორც ვხედავთ, აღწერილი სანჯაყებიდან ყველაზე მეტად დასახლებულია ახალციხისა და ხერთვისის

[229] Тифлисские ведомости, 1828 г. N 23; Dubois de Monpereux, დას. ნაშ.
[230] О. Евецкий, Статистическое опиание Закавкаского края, СПБ., 1835 г. ст. 27.
[231] იქვე, გვ. 187.
[232] Обозреные Российских владений за Кавказом, час. 1, стр. 18-24.

[233] ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა მე-18-19 ს.ს. თბ. 1984, გვ. 67.
[234] ვ. ლორთიფანიძე, დას. ნაშ., გვ. 34.
[235] Dubois de Monpereux, დას. ნაშ.
[236] შ. ლომსაძე, დას. ნაშ. გვ. 319.

სანჯაყები. აქედან გამომდინარე, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობის დადგენისას აღწერილი სანჯაყების მოსახლეობის რაოდენობის მექანიკური გაორმაგება, ჩვენი აზრით, მიუღებელია. მოსახლეობის საერთო რაოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას ყველაზე კომპაქტურად დასახლებული სანჯაყები, ანუ ახალციხისა და ხერთვისის. აქედან გამომდინარე, დარჩენილ ხუთ სანჯაყში დაახლოებით 25-30 ათასი ადამიანი უნდა ცხოვრობდეს, ხოლო მოსახლეობის საერთო რაოდენობა 70-75 ათას შეადგენდეს. თუ ჩვენ 30-იანი წლებისათვის სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას 75 ათსით განვსაზღვრავთ, უნდა შევნიშნოთ, რომ მოცემულ რაოდენობაში შედიან ოსმალეთის სხვადასხვა პროვინციებიდან, ძირითადად, არზრუმიდან გადმოსახლებულები. როგორც ვიცით, ამ დროისათვის არზრუმიდან სამცხე-ჯავახეთში დაახლოებით 5000 ოჯახი გადმოსახლდა. რაც შეეხება სულადობრივ რაოდენობას, ის 30-35 ათასამდე მერყეობს.[237] ყველა აღნიშნულ რეგიონში საჭიროა მოსახლეობის საერთო რაოდენობას გამოვაკლოთ ოსმალეთიდან გადმოსახლებულთა რაოდენობა, ანუ 75 ათასს გამოვაკლოთ 35000, რაც, თავის მხრივ, 40000 ათასს უტოლდება. ე. ი. 30-იანი წლების დასაწყისისათვის სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობა დაახლოებით 40 ათასით უნდა განისაზღვროს. ბოლოს, რომ დავადგინოთ თუ რამდენი ქართველი გადასახლდა უცხოეთში, საჭიროა ომამდელი მოსახლეობის რაოდენობას გამოვაკლოთ ომის შემდეგ დარჩენილი.

როგორც ვხედავთ, საომარ ოპერაციათა მსვლელობისას დაღუპულთა და ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების თანახმად ოსმალეთში გადასახლებულთა საერთო რაოდენობა 96 ათასი ადამიანია. დიდი ნაწილი სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი

[237] ვ. ჯაოშვილი, დას. ნაშ. გვ. 80. შ. ლომსაძე, დას. ნაშ. გვ. 320. Акти, т. 7. стр.

იყო. ივანე გვარამაძის მონაცემების თანახმად, ახალციხიდან ომის შედეგად აიყარა და უცხოეთში გადაიხვეწა 10-12 ათასამდე ოჯახი.[238] თუ ჩვენ მოცემულ ოჯახთა რაოდენობას საშუალოდ შვიდ სულზე გავამრავლებთ, გამოვა, რომ ოსმალეთში დაახლოებით 70-75 ათასი ადამიანი გადახვეწილა, ხოლო 21 ათასი ომის მსვლელობისას დაღუპულა.

აღსანიშნავია, რომ უფრო მოგვიანებით, მე-19 ს. 60-70 წწ. ჩრდილოეთ კავკასიასა და აფხაზეთში რუსული კოლონიალიზმის პოლიტიკის შედეგად მსგავსი მოვლენები განვითარდა, რამაც ამ რეგიონებში ასეთივე მკვეთრი დემოგრაფიული დისბალანსი გამოიწვია.[239] საინტერესოა, რომ რუსები განსაკუთრებით მკაცრად მოექცნენ ამ მხარეებს, სწორედ აქტიური წინააღმდეგობის გაწევის გამო.

მაგალითად, 1861-1864 წწ. ანტირუსულ აჯანყებაში დამარცხებულ ჩერქეზულ-ადიღეური ტომების წარმომადგენლებს არ სურდათ ცარიზმის მიერ ორგანიზირებულ მდ. ყუბანის დაბლობებში გადასახლება, რასაც მათი ძირითადი ნაწილის (დაახლ. 80 %) ძალით თურქეთში განდევნა მოყვა. მათ ადგილს სასწრაფოდ იკავებდნენ კაზაკები, სამხედრო მოსამსახურეები და რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გადმოსახლებული გლეხობა.[240] რუსეთის რეაქციული წრეები ასევე იღვწოდნენ აფ-

[238] ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, N 72, გვ. 15-16.

[239] ზ. ამირეჯიბი, ადოლფ ბერჟე ჩეჩნეთის ისტორიისა და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა თურქეთში გადასახლების შესახებ. -ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟურნ. კლიო, № 2, თბ., 1998, გვ. 110 და იქ მით. ლიტ.

[240] Ал. Берже, Выселение горцев с Кавказа, ж. “Русская старина,” СПб, 1882, февраль, т. XXXIII, ст. 337.

Дзагуров Г. А. Переселение горцев в Турцию, ст. 2; ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, რედაქტ. ზ. ანჩაბაძე, თბ., 1978, ნაკ. II, გვ. 139; ი. დათუნაშვილი, მუჰაჯირობა ჩრდილო კავკასიელებში (ჩეჩენთა გადასახლება).-მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების

ხაზეთის შესანიშნავი სანაპიროს მითვისებისთვის,[241] რასაც აფ-ხაზთა მასობრივი გასახლება მოჰყვა.[242] საინტერესოა, რომ 60-იან წლებში მუჰაჯირ აფხაზებთან ერთად ოსმალეთში რუსეთის ხელისუფლების დამყარებით უკმაყოფილო სვანებიც მირბოდ-ნენ.[243]

არც ჩეჩენთა უმრავლესობა გეგმავდა სამშობლოს მიტოვე-ბას,[244] თუმცა, რუსულ ხელისუფლებას სხვა გეგმები ჰქონდა. მას არ აწყობდა ყველაზე უფრო ანტირუსული ეთნოსის მშობლიურ ადგილებში დატოვება, ამიტომ მათ შეცვლას კაზაკებით ან სამ-ხედროებით ცდილობდა, რომლებსაც ბარისა და მთის ჩეჩნეთის (ისევე, როგორც დაღესტნისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის) გათიშვის მიზნით სტრატეგიულ ადგილებზე ასახლებდა. რუსი კო-ლონიზატორები ჩეჩნების არა მარტო თურქეთში გასახლებას, არამედ, ჩრდილო-დასავლელ კავკასიელების მსგავსად, მთიანი ადგილებიდან ჩამოყვანასა და ბარში დასახლებას გეგმავდა.[245] საინტერესოა, რომ მესხეთ-ჯავახეთის მსგავსად, რუსებს აქაც გამოუჩნდათ დამხმარე ძალები. ამ მხრივ განსაკუთრებით ოსები აქტიურობდნენ. მაგალითად, ჩეჩენთა გასახლებაში გან-საკუთრებით აქტიურობდა გენერალ-მაიორი მუსა ალხაზ

ისტორიის სერია, 1990, 1, გვ. 46-47; ზ. ამირეჯიბი, ადოლფ ბერჟე ჩეჩნეთის ისტორიისა და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა თურქეთში გადასახლების შესახებ, გვ. 114-115.

[241] გაზ. „დროება,“ 1879, N 34; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970, გვ. 225.

[242] ს. მესხი, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1964, გვ. 21; მ. სვანიძე, ქართველები თურქეთში, გვ. 6-10; Дзидзария Г. А. Мухаджерство и проблемы истории Абхазии XIX столетия და სხვა.

[243] Очерки истории Абхазской АССР, ч. 1., Сух., 1960, ст. 104.

[244] Дзагуров Г. А. Переселение горцев в Турцию, ст. 60.

[245] ი. დათუნაშვილი, მუჰაჯირობა ჩრდილო კავკასიელებში, გვ. 49-50 და იქ მით. ლიტ.

კუნდუხოვი.[246] მის მზაკვრულ გეგმებს მოწონებით შეხვდნენ რუსი ჩინოვნიკები და თავიანთი „ნააზრევითაც“ გაამდიდრეს.[247] ამ საქმეში რომ რუსეთისა და თურქეთის მთავრობის ინტერე-სების თანხვედრა იყო, იქიდან ჩანს, რომ კუნდუხოვი საიდუმლო მისიით იქნა გაგზავნილი სტამბოლში.[248] ადიღეური ტომების ძალდატანებით გასახლებისგან განსხვავებით, რასაც უდიდესი მსხვერპლი და ევროპის პროგრესულ წრეებში გულისწყრომა მოყვა, ეს პროცესი „ნებაყოფლობით“ ხასიათს ატარებდა და რუსეთის მხრივ ფინანსურადაც კი იყო უზრუნვე-ლყოფილი. თურქეთში ჩასულ ჩეჩნებს ისეთივე ბედი ეწიათ, როგორიც ჩერქეზებს, აფხაზებსა და სხვა ადიღეური ტომების წარმომადგენლებს. სულ მალე ჩეჩენთა უმეტესობას სამშობ-ლოში დაბრუნება მოუნდათ. ისინი თანახმანი იყვნენ, კავკას-იაში ნებისმიერ ადგილას ჩასახლებულიყვნენ და ქრისტიანობის მიღებაზეც კი არ ამბობდნენ უარს. თუმცა, რუსეთის მთავრობის მოთხოვნით, საზღვართან მოგროვილ ჩეჩნებს თურქებმა ზარ-ბაზნები დაუშინეს. გაჭირვება იმდენად დიდი იყო, რომ ჩეჩენ-თა მცირე ნაწილი სამშობლოში მაინც დაბრუნდა, რაც ჩეჩნეთში ზურგგამაგრებულ რუსეთს აღარ აღუკვეთია.[249]

ამრიგად, მე-19 საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს (ად-რიანოპოლის საზავო ხელშეკრულების მიხედვით), საქართვე-ლოს უძველესი კუთხე სამცხე-ჯავახეთი განთავისუფლდა რა ოსმალთა ბატონობისაგან, ქართველი ერის განვითარების ერ-თიან გარემოში აღმოჩნდა, რაც, თავის მხრივ, უაღრესად პროგ-რესული მოვლენა იყო. თუმცა, ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც,

[246] ЦГВИА, ф. 38, оп. 7, ед. хр. 64, л. 8-9, მითითებულია ი. დათუნაშვილი, მუჰაჯირობა ჩრდილო კავკასიელებში, გვ. 51.

[247] ი. დათუნაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 51-52 და იქ მით. ლიტ.

[248] ი. დათუნაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 53-54 და იქ მით. ლიტ.

[249] იქვე, გვ. 53-58; Ал. Берже, Выселение горцев с Кавказа, ст. 27.

რომ დადებით მომენტთან ერთად, აღნიშნულმა მოვლენამ უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებს, რაც უპირველესად აქაურ ქართველ მუსლიმანთა ოსმალეთის შიდა რაიონებში გადასახლებით და იქიდან სხვადასხვა ეროვნების ხალხის (ძირითადად, სომეხთა) ჩამოსახლებით იყო განპირობებული.

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომთან დაკავშირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მუჰაჯირობის პროცესი პირობითად შეიძლება გავყოთ ორ ძირითად ეტაპად. პირველი მოიცავს რუსთა ძალაუფლების დამყარებას აღნიშნულ რეგიონში და გრძელდება ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებამდე. მეორე ეტაპი მოიცავს მუჰაჯირობისათვის ოფიციალურად ნებადართულ ვადას, ანუ საზავო ხელშეკრულების შემდგომ პერიოდს, ვიდრე არ ამოიწურა გადასახლებისათვის განკუთვნილი დრო. პირველ ეტაპზე, ანუ სანამ გაფორმდებოდა სამშვიდობო ხელშეკრულება, მუჰაჯირობის გამომწვევ ძირითად მიზეზად ახლად დამყარებული რუსული სამხედრო ძალაუფლების მოქმედება უნდა ჩაითვალოს. მეორე ეტაპზე ქართველ მუსლიმანთა გადასახლების გამომწვევ მიზეზად მიჩნეული უნდა იქნას როგორც რუსეთის იმპერიის, ასევე ოსმალეთის საქმიანობა. საამისოდ თითოეულმა მათგანმა შესაბამისი პირობები შექმნა:

რუსეთმა: ა) ომგადახდილი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის აბსოლუტური იგნორირება და მისი შემდგომი გაუარესების მიზნით ხალხზე გადასახადების გაწერა.

ბ) აღა-ბეგების საკითხის მოუგვარებლობა (მუსლიმან დიდებულებს უარი ეთქვათ სათავადაზნაურო წოდებაში გაწევრიანებაზე), საარსებო წყაროს მოშლა.

გ) მიწისმფლობელობის ფორმებისა და საადგილმამულო ურთიერთობების საკითხის მოუგვარებლობა.

დ) მუსლიმან ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში უხეში ჩარევა.

ე) ჩინოვნიკური აპარატის თავნებობა.

ოსმალეთმა ანტირუსული აგიტაციითა და რეაქციულ წრეებზე დაყრდნობით მიიმხრო სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობა, რასაც მოჰყვა მათი ოსმალეთში გადასახლება.

ასე რომ, ქართველ მუსლიმანთა გადასახლება ჩვენთვის ეროვნული ტრაგედიად იქცა. ხალხი, რომელიც ოდითგანვე სახლობდა სამხრეთ საქართველოში, ორი იმპერიის ამბიციებს შეეწირა. რუსეთსაც და ოსმალეთსაც საკუთარი ზრახვები ამოძრავებდა, რომლის შედეგად ქართველობისაგან დაცლილი სამცხე-ჯავახეთი მივიღეთ.

თავი II
აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება. ადგილობრივი მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლების მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები

§1. აჭარა XIX საუკუნის რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში 1877-1878 წლების ომი

ოსმალეთის მიერ მიტაცებული საქართველოს სამხრეთი ტერიტორიებით რუსეთის იმპერია ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთებისთანავე დაინტერესდა. აჭარის, კერძოდ კი ბათუმის შემოერთება, რუსეთის იმპერიის სამხედრო გეგმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1806-1812 წლების ომის დაწყებამდე, ოსმალეთის ფარგლებში მოქცეული შავი ზღვის გამაგრებული პუნქტებისა და ნავსადგურების, კერძოდ, ბათუმის დაკავება ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იყო მიჩნეული. 1806 წლის 25 სექტემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალ გუდოვიჩს წერდა: „შავი ზღვის ნაპირებზე ოსმალეთთან ჩვენი საზღვრების მდგომარეობაში მოჩანს ის უხერხულობა, რომ ტამანის ნახევარკუნძულიდან დაწყებული, რუსეთის მფლობელობა წყვეტილი ხდება ანაპის, სუხუმ-კალეს, იზგაურის, ანაკლიის ციხესიმაგრეებით, შემდეგ იწყება სამეგრელოს სანაპირო, რომელიც ეკუთვნის რუსეთს რიონის შესართავამდე. მდინარის გაღმა კვლავ იწყება თურქეთის სანაპირო სამფლობელოები: ფოთი, ბათუმი, გონიო. ყველა ეს დასახლებული პუნქტი ძველთაგანვე ეკუთვნოდა საქართველოს სამეფოს. მაშასადამე, არ შეიძლება არ ვისურვოთ რუსეთის სახელმწიფოში ყველა ამ ადგილის გაერთიანება, რომ ამით უზრუნველვყოთ რუსეთის ბატონობა საქართველოში.“[250] მაგრამ, როგორც უკვე ცნობილია, 1807 წ. კამპანიამ, რომელსაც გენერალი გუდოვიჩი ხელმძღვანელობდა, კრახი განიცადა. ასევე უშედეგოდ დამთავრდა მომდევნო წლებში გენერალი ტორმასოვის მცდელობა ახალციხის საფაშოს, მათ შორის, აჭარის შემოერთებისა, როგორც დიპლომატიური გზით, ისე საომარი ოპერაციების საშუალებით.

1828-1829 წწ. ომის დროს ოსმალეთი ცდილობდა ბათუმი დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ საიერიშო ბაზად ექცია. აქ მათ 10 ათასი მებრძოლი ჰყავდათ სამხედრო მზადყოფნაში, გურია-იმერეთის მიმართულებით საბრძოლო ოპერაციების განსახორციელებლად.[251] ბათუმის მიმართულებით რუსთა შემტევი რაზმის სარდლად გენერალ-მაიორი ჰესე დაინიშნა.[252] 1828 წლის 15 ივლისს რუსებს ფოთი დანებდა.[253] ამავე წლის ოქტომბრისათვის რუსებმა შეძლეს, ოზურგეთი, ნაგომარი, ასკანა და ლიხაური დაეკავებინათ.[254] ამის შემდეგ გენერალ ჰესეს მთავარ ამოცანას ბათუმის აღება წარმოადგენდა. საამისოდ კი საჭირო იყო საგანგებოდ გამაგრებული ციხისძირის სიმაგრის გადალახვა. მაგრამ რუსული არმია ბათუმის მიმართულებით განსაკუთრებულ სიმცირეს განიცდიდა. გენერალ ჰესეს განკარგულებაში 6 ბატალიონი და 8 ქვემეხი იყო.[255] ამიტომ კავკასიის

[250] Акты, т. 3, стр. 525.
[251] Акты, т. 7, стр. 412. Ушаков, история военних действии в Азиатской Турции в 1828-1829 годах, ч. 1, 1843 г., стр. 151.
[252] ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ. 1958 წ. გვ. 27.
[253] ხ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ. 1973 წ. გვ. 127.
[254] ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, გვ. 27.
[255] „ტბილისის უწყებანი“, 1828 წ, N 12; Л. Потто, Батум и его окресности, Бат., 1906 г. стр. 117.

არმიის მთავარსარდალი, პასკევიჩი, ბათუმის მიმართულებით ბრძოლების აუჩქარებელ მოქმედებას მოითხოვდა. ის ბათუმზე პირდაპირი იერიშის მიტანას საერთოდ გამორიცხავდა. მისი აზრით, ქალაქის აღება შემოვლით, სამხედრო მანევრების საშუალებით უნდა მომხდარიყო.[256] თავის მხრივ, ფელდმარშალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბათუმს. მისი აზრით, ბათუმი საუკეთესო ნავსადგური იყო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. მისი აღება ადრე გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო. საამისოდ კი ის უმაღლესი ხელისუფლებისგან ორი ან სამი სამხედრო გემის გამოგზავნას ითხოვდა, რადგანაც ბათუმის აღება მხოლოდ სახმელეთო გზით, თურქთა მიერ ჩატარებული თავდაცვითი სამუშაოების გამო, შეუძლებელი გახდა.[257] 1829 წლის 5 მარტს გენერალი ჰესე, 44-ე ეგერთა და მეგრელთა ქვეითი პოლკით, რომელიც 1216 მეომარს ითვლიდა, აგრეთვე 1315 ჯარისკაცითა და 6 ქვემეხით, ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადავიდა.[258] რუსებმა მდ. ნატანების მიდამოებში შეტევისას რიგ წარმატებას მიაღწიეს. მათ შეძლეს თურქთა გამაგრებული სანგრების დაკავება, 1000-მდე მოწინააღმდეგის ჯარისკაცის განადგურება.[259] მაგრამ ბათუმი-ქობულეთის მიმართულებით შეტევის გაგრძელება ვერ შეძლეს. უფრო მეტიც, გენერალმა ჰესემ დატოვა დაკავებული ადგილები და უკან, ქუთაისისკენ დაიხია.[260]

1829 წლის ზაფხულში გენერალმა ჰესემ, კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის ბრძანებით, ქობულეთის ბეგებთან რუსეთის ქვეშევდომობის თაობაზე სცადა მოლაპარაკების წარმოება. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

[256] Акты, т. 7, стр. 773.
[257] Акты, т. 7, стр. 772.
[258] იქვე, გვ. 776-777.
[259] იქვე, გვ. 779.
[260] ვ. სიჭინავა, დას. ნაშ. გვ. 31.

ამიტომ რუსეთის ჯარი 4 აგვისტოს შეტევაზე გადავიდა.[261] შემტევი ჯარის ნაწილები ორ კოლონად გაიყო. პირველს პოლკოვნიკი პაცოვსკი ხელმძღვანელობდა. მის განკარგულებაში იყო 44-ე ეგერთა პოლკი, ორი ბატალიონი და 4 ქვემეხი. მეორე კოლონა, რომელსაც გენერალი ჰესე ხელმძღვანელობდა, შედგებოდა 6 ქვემეხისა და დაახლოებით 2500 მებრძოლისაგან.[262] 6 აგვისტოსათვის გენერალი ჰესე მუხაესტატეს მიუახლოვდა. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მან შეძლო ამ გამაგრებული სოფლის აღება.[263] პოლკოვნიკმა პოვოცკიმ 9 აგვისტოსათვის კინტრიშის გამაგრებული რედუტები დაიკავა.[264] ყოველივე ამის შემდეგ გზა ციხისძირის სიმაგრისაკენ ხსნილი იყო.

თავის მხრივ, ამ დროს ახალციხეში მდგარი ბარონი ოსტენ-საკენი ფელდმარშალ პასკევიჩის დავალებით აწარმოებდა მოლაპარაკებას ახმედ ხიმშიაშვილთან, რომ მას მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა. ქვეშევრდომობის მიღების შემთხვევაში, პასკევიჩი მას არსებული მდგომარეობის შენარჩუნებასა და გენერალის წოდებას ჰპირდებოდა.[265] მაგრამ ოსტენ-საკენმა მასზე დაკისრებულ დიპლომატის მოვალეობას თავი ვერ გაართვა. ის 13 აგვისტოს აჭარაში შეიჭრა, ხოლო 16 აგვისტოს უკვე ხულოში იმყოფებოდა.[266] რეიდის დროს ოსტენ-საკენმა ახმედ ხიმშიაშვილისაგან რუსეთის ქვეშევრდომობაზე დაუყოვნებლივი პასუხის მიღების მიზნით არა ერთი სოფელი გადაწვა და დააქცია.[267] რუსთა ასეთმა საქციელმა ახმედ-ბეგისა და საერთოდ აჭარის

[261] Акты, т. 7, стр. 815.
[262] იქვე, გვ 819.
[263] იქვე.
[264] Акты, т. 7, стр. 820.
[265] შ. ლომსაძე, დას. ნაშ. გვ. 185.
[266] В. Потто, Утверждение Русскаго Владычество на Кавказе, т. 4, стр. 396-397; ხ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, გვ. 130.
[267] შ. მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათ. 1963, გვ. 64; В. Потто, Утверждение… т. 4, ст. 397.

მთლიანი მოსახლეობის დიდი ზიზღი გამოიწვია. შედეგი ყოველივე ამისა იყო ის, რომ ახმედ-ბეგმა შეაიარაღა აჭარის მოსახლეობა და ოსტენ-საკენი 19 აგვისტოს საკმაოდ დიდი ზარალის მიყენებით, 160 დაჭრილი და მოკლული მეომრის სახით, აჭარიდან უკუაქცია.[268]

ბარონი ოსტენ-საკენის ამ ყოვლად უაზრო ლაშქრობას აჭარაში თვით პასკევიჩიც გმობდა. მაგრამ მთავარსარდლის გულისწყრომა გამოწვეული იყო არა ოსტენ-საკენის მიერ დანგრეული და გადამწვარი სოფლების გამო, არამედ იმით, რომ ის არ დაელოდა გენერალ ჰესეს და აჭარაში ნაადრევად შეიჭრა, რასაც, თავის მხრივ, პასკევიჩი ციხისძირთან დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს.[269]

15 სექტემბერს ჰესე ციხისძირს მიუახლოვდა. ამ დროისათვის მის განკარგულებაში 5500 მებრძოლი და 7 ზარბაზანი იყო. 17 სექტემბერს პირველად შეუტიეს გამაგრებულ სანგრებს. მაგრამ შეტევამ რუსთა რაზმს წარმატება ვერ მოუტანა. ოსმალებმა სცადეს ჰესეს რაზმი ალყაში მოექციათ, რამაც აიძულა ის უკან დახეულიყო.[270] თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როცა მიმდინარეობდა ციხისძირისათვის ბრძოლები, ადრიანოპოლში უკვე დადებული იყო საზავო ხელშეკრულება. ზავის მიხედვით კი აჭარა ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში რჩებოდა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფელდმარშალი პასკევიჩი ნესელროდესადმი, 1828 წლის 26 ივლისს გაგზავნილ პატაკში ლაპარაკობდა რა მომავალი საზავო ხელშეკრულების თაობაზე, აღნიშნავდა, საზღვარი თურქეთთან ისე უნდა გავიდეს, რომ ბათუმი ჩვენ დაგვრჩეს, რადგანაც ის შავ

[268] В. Потто, Утверждение… т. 4, ст. 399.
[269] Акты, т. 8, стр. 830; В. Потто, Утверждение… т. 4, ст. 127.
[270] Акты, т. 7, стр. 829.

ზღვაზე წარმოადგენს ისეთ ნავსადგურს, როგორიც ჩვენ ჯერ არ გაგვაჩნია.[271] პასკევიჩი ბათუმისა და ქობულეთის რუსთა მფლობელობაში გადასვლის აუცილებლობაზე მომდევნო წელსაც უსაბუთებდა უმაღლეს საიმპერატორო კარს,[272] მაგრამ მუდამ იღბლიან პასკევიჩს, აჭარის მოსახლეობის საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში არ გაუმართლა.

1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი რუსეთისათვის არ აღმოჩნდა ბოლომდე წარმატებული. აჭარის და, უპირველეს ყოვლისა, ბათუმის აღების მცდელობა კრახით დასრულდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე გასაგები ხდება, თუ რა სტრატეგიული პოზიცია ეჭირა ქალაქ ბათუმს და მის შემოგარენს. გადაუჭრელი რჩებოდა ბალკანეთის პრობლემათა კვანძიც. ასე რომ, ახალი ომი გარდაუვალი ხდებოდა.

ყირიმის ომმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ბათუმის, ყარსისა და არდაგანის უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. 1853-1856 წწ. ომში რუსეთის სამხედრო გეგმის ერთ-ერთი მიზანი აჭარის დაპყრობა იყო. მეფისნაცვალი ვორონცოვი წერდა: ბათუმზე შეტევა აუცილებლად ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს, ზღვიდან და ხმელეთიდან. ამ შემთხვევაში ჩვენი წარმატება გარდუვალია.[273] მაგრამ რუსთა შეტევითი ოპერაციები ომის მსვლელობისას მხოლოდ ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. 1854 წლის 29 მაისს კოვალევსკი თავისი რაზმით შეიჭრა ზემო აჭარაში და გადაწვა რამდენიმე სოფელი, მათ შორის ბაკო და თხილვანა.[274] მაგრამ ამ შეტევას რაიმე სერიოზული წარმატება არ მოჰყოლია. შედარებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქართულმა მილიციამ ქობულეთის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში. 1855 წლის 24 მაისს გურიის რაზმმა, ბაგ-

[271] Акты, т. 7, стр. 758.
[272] იქვე, გვ. 784.
[273] Акты, т. 10, стр. 757.
[274] Акты, т. 10, стр. 802-803.

რატიონ-მუხრანსკის მეთაურობით, შეძლო დაეჭირა ქობულეთი და საერთოდ მთელი სანჯაყი,[275] მაგრამ, როგორც ვიცით, ყირიმის ომი რუსთა მარცხით დამთავრდა, რამაც რუსეთის იმპერია კინაღამ კავკასიისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის დაკარგვის ფაქტის წინაშე დააყენა.[276]

70-იან წლებში აღმოსავლეთის საკითხი კვლავ მწვავედ დაისვა. ყირიმის ომის შედეგად რუსეთისთვის ძალით თავსმოხვეული ტრაქტატი (1856) მხოლოდ მისი მოწინააღმდეგეებისთვის იყო სასარგებლო. სწორედ ამიტომ რუსეთი შესაბამის მომენტს ელოდებოდა, რომ მისთვის არახელსაყრელი საზავო პირობები გაეუქმებინა.

1870-1871 წწ. ომში პრუსიასთან რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მეტოქის, საფრანგეთის დამარცხებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ცარიზმს პარიზის ხელშეკრულების წამგებიანი პუნქტების გასაუქმებლად. სანკტ-პეტერბურგმა ოფიციალურად გამოაქვეყნა ცნობა, რომლითაც რუსეთი სავალდებულოდ არ თვლიდა შავ ზღვაზე მისი სუვერენული უფლებების შემზღუდავი მუხლების შესრულებას. ამის საპასუხოდ ინგლისმა ახალი ომისთვის თურქეთის მზადება დაიწყო.[277]

1875-1876 წწ. ოსმალეთს ბალკანეთში დიდი პრობლემები შეექმნა. აჯანყდა ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, სერბია და ჩერნოგორია. სამხრეთ სლავების ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას მტრულად შეხვდნენ ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი, რომლებსაც რეგიონში რუსეთის გავლენის ზრდა აშინებდათ.

[275] შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ. 1956 წ., გვ. 45; Акти, т. 11, стр. 720.
[276] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო მე-19 ს. პირველ ნახევარში, თბ. 1957 წ. გვ. 309.
[277] ვ. სიჭინავა, დას. ნაშ. გვ. 48.

უნდა ითქვას, რომ ოსმალოს საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობა ასევე უკმაყოფილო იყო თურქთა ბატონობით. ოსმალეთის იმპერიის მოდერნიზაციის (თანზიმათი) ცდამ, რასაც გადასახადების მკვეთრი ზრდა მოყვა, გაუგებრობის კიდევ უფრო მაღალი კედელი აღმართა უბრალო მოსახლეობასა და დამპყრობელს შორის.

სხვათა შორის, მძიმე გადასახადებით ისედაც გაღიზიანებულმა აჭარლებმა აჯანყებით უპასუხეს ჰერცეგოვინაში ამბოხების ჩახშობის მიზნით ორგანიზებულ სამხედრო გაწვევებს.[278]

კონსული პალგრევი ოსმალთა ბატონობის ბოლო პერიოდის ვითარებას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ოსმალეთის ხელისუფლება არ უყვართ აქ (იგულისხმება აჭარა) კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ფოცხოვსა და ჩილდირში, რაც ხშირად აჯანყების საბაბად გვევლინება.“[279]

„ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, - აღნიშნავდა შერიფ-ბეგი ივ. კერესელიძესთან საუბარში, - მე მზად ვარ, რომ მაშინათვე ჩემი ქვეყანა ქართველთ შვილებს შევუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს.“[280]

ასევე მოუთმენლად ელოდნენ ბათუმის დაბრუნებას იმდროინდელი ქართული საზოგადოების წარმომადგენლები. აი, რას წერს ნიკო ნიკოლაძე: „სტამბოლის და სებასტოპოლის გარდა, შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არ ჰქონდა და არ აქვს, და ეს ძვირფასი თვალი, რომელიც ჩვენი იყო, რომლის გარშემო დღესაც ჩვენი ქართველი ხალხი ცხოვრობს, - დაკ-

[278] ხ. ახვლედიანი, სახალხო-გამანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956, გვ. 110.
[279] Отчет консула Пальгрева за лето 1872 г .-Известия Кавк. Отд. Рус. Геогр. Общ., т. VII, 1882 г.
[280] ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილი მუსლიმან-ქართველებისა, ბათ., 1911, გვ. 229-230.

არგული და მივარდნილია.[281] მომავალ ომზე ქართული საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებდა, ვინაიდან თურქთა მიერ ძალით მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დაბრუნების იმედი ჩნდებოდა.[282]

ცარიზმი დიდ იმედებს ამყარებდა თავის ქართველ ქვეშევრდომებზეც. რეგულარულ არმიასთან ერთად ომისთვის მოხალისეებიც ემზადებოდნენ.[283] სულ 30 ათასი ქართველი მოლაშქრე იქნა მობილიზებული.[284]

ამრიგად, საშინაო თუ საგარეო (ოსმალეთის სახელმწიფოს დაუძლურება, რუსეთის სწრაფვა ბალკანეთსა და კავკასიაში ახალი მიწების დაპყრობისკენ) ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა სამხრეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება. ამ პრობლემის გადაწყვეტით რამდენიმე მხარე (რუსეთი, საქართველო, ადგილობრივი ელიტა) იყო დაინტერესებული. თითოეულ მათგანს საკუთარი მიზნები ამოძრავებდა.

1877 წ. 12 აპრილს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის გამოცხადების შესახებ.[285] ომი ძირითადად ორ მთავარ ფრონტზე წარიმართა, ევროპასა და აზიაში.

ევროპის საომარ ასპარეზზე რუსეთს მობილიზირებული ჰყავდა 7 საარმიო შენაერთი, რომელსაც ემატებოდა ბულგარეთისა და რუმინეთის რაზმები. რუსთა არმიის საერთო რაოდენობა

[281] ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე), სხვათა შორის ნაგრძნობი და განაგონი, 1873 წ. გვ. 13.
[282] ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ. 1956, გვ. 108.
[283] ალ. ბენდიაშვილი, რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წწ.) ომი და საქართველო.-საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 56.
[284] Ш. Мегрелидзе, Грузия в Русско-турецкой войне 1877-1878 гг., Тб., 1955, ст. 47.
[285] История дипломатии, т. II, под ред. В. П. Потемкина, М., 1945, ст. 36-40.

ევროპაში 300 ათას მეომარს შეადგენდა. ევროპაში მოქმედი არმიის მთავარსარდალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე იყო.[286] ოსმალეთის ძალები გაცილებით ნაკლები იყო. მათ დაახლოებით 186 ათასი მეომარი ჰყავდათ, მაგრამ სახმელეთო ჯარს შავ ზღვაზე და მდ. დუნაიზე გაბატონებული ფლოტი უჭერდა მხარს.[287]

1877 წ. ზაფხულისათვის რუსებმა ევროპაში საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეს. მათ შეძლეს დუნაის მარჯვენა ნაპირას გამაგრებულიყვნენ და დაიწყეს ბრძოლები ქ. პლევნისათვის. პლევნა 1877 წლის 28 ნოემბერს დაეცა.[288] 1878 წლის 8 იანვარს რუსებმა შეძლეს ადრიანოპოლის აღება, რამაც, ფაქტიურად, სტამბოლისაკენ გზა გახსნა.

საომარი მოქმედებანი ომის აზიის ასპარეზზეც მიმდინარეობდა. აზიაში კავკასიის მოქმედი კორპუსის შეტევის განხორციელება, სამხედრო გეგმის შესაბამისად, ოთხი მიმართულებით უნდა წარმართულიყო, კერძოდ, ოზურგეთიდან ბათუმისკენ, ახალციხიდან არტაანისკენ, ალექსანდროპოლიდან (თანამედროვე გიუმრი) ყარსისკენ და ერევნიდან ბაიაზეთისკენ.[289] ოზურგეთის რაზმს სათავეში გენერალი ოკლობჟიო ედგა, ახალციხისას გენ. დეველი, ალექსანდროპოლისას გენ. გეიმანი და ერევნისას გენ. ტერ-გუკასოვი. მოქმედი კორპუსის სარ-

[286] იხ. ივანე ურუშაძე, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლის ომი და საქართველო (საკან. დის.), გვ. 18-19 (ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).
[287] ივ. ურუშაძე, დას. ნას. გვ. 19.
[288] История внешней политики России, М., 1997 г., стр. 205.
[289] Б. Колюбакин, Русско-Турецкая война в 1877-1878 г.г. На Кавказк и Малой Азии, ч. 1, СПБ, 1906 г., ст. 144-145.

დლად გენერალი ლორის-მელიქოვი დაინიშნა. აზიის ფრონტის მთავარსარდალი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე იყო.[290]

ოსმალეთი ომისთვის საკმაოდ კარგად იყო მომზადებული. აქ მას განლაგებული ჰყავდა, ბათუმის გარნიზონის ჩათვლით, დაახლოებით 50 ათასი ჯარისკაცი. თურქთა ძალებს მუხთარ-ფაშა ხელმძღვანელობდა. მას ენერგიულად ეხმარებოდნენ ინგლისი, საფრანგეთი და ავსტრია-უნგრეთი.

რუსეთის ჯარების მთავარმა ძალებმა შეტევა ყარსის მიმართულებით განავითარა. 1877 წელს აღებული იქნა არტაანი. ამის შემდეგ იერიში ყარსზე მიიტანეს, მაგრამ ყარსის ძლიერი ციხე-სიმაგრის აღება მხოლოდ 1877 წლის 6 ნოემბერს გახდა შესაძ-ლებელი.

საერთო წარმატების ამ ფონზე ბათუმი-ციხისძირის მიმარ-თულებით მოქმედი რაზმის წინსვლა არცთუ ისე დიდი იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სარდლობა კავკასიის ფრონტზე ყველაზე მეტ დაინტერესებას ბათუმის მიმართ იჩენ-და: „ჩვენს საზღვრებთან ბათუმისადმი სიახლოვე, მისი საშუა-ლებით კონსტანტინეპოლთან ადვილად დაკავშირების შესაძ-ლებლობა, გვავალებს, რომ ის საუკეთესო ბაზად მივიჩნიოთ... ამიტომ, მტრისთვის ამ ბაზის წართმევა ჩვენი პირველი და მთა-ვარი საზრუნავი უნდა გამხდარიყო.“[291] ომის დაწყებისთანვე რუსეთის ჯარებმა, ამ მიმართულებით სამხრეთ კავკასიელ მილიციელებთან ერთად საზღვარი გადალახეს და საომარი ოპერაციები მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გააჩაღეს.

რუსეთის ჯარის სარდლობა ყოველნაირად ცდილობდა ოსმალეთის საზღვრებში მცხოვრები ქართველებისა და სომ-ხების კეთილგანწყობის მოპოვებას: „სიძნელე თუ სიადვილე

[290] Война в Азиатской Турции.- Война 1877 и 1878 гг., т. III, под ред. Зикова, СПб, 1882, ст. 9-10.
[291] Л. Потто, Батум и его окрестности, Батум, 1906, ст. 153.

ჩვენი ოპერაციებისა, - წერდა გენ. კომაროვი გენ. სვიატოპოლკ--მირსკის, - დიდადაა დამოკიდებული ჩვენს მიმართ აჭარის მოსახლეობის მიერ დაკავებულ პოზიციაზე. შეიძლება დარ-წმუნებული ვიყოთ, რომ თუ რუსთა ჯარი ბათუმს დაიკავებს და სათანადო ღონისძიებებს ჩაატარებს, აჭარლები ჩვენს წინააღ-მდეგ არ იმოქმედებენ.“[292]

აჭარაში შემოსულ მებრძოლებს გენ. ოკლობჟიო მოუწოდებ-და, რომ არ დაერღვიათ მოსახლეობის ტრადიციული ზნე-ჩვეუ-ლებანი და პატივისცემით მოპყრობოდნენ ხალხს.[293]

12 აპრილს, პირობითად წოდებული ქობულეთის რაზმი, რომელსაც გენ. ოკლობჟიო მეთაურობდა, ბათუმის მიმარ-თულებით შეტევაზე გადავიდა ფეხოსანთა 15 ბატალიონით, 48 ზარბაზნით და კავალერიის 7 ასეულით. ჯარი ორ კოლონად იყოფოდა. მარჯვენა ფლანგს - გენერალი დენიბეკოვი, მარცხე-ნას კი გენერალი შერემეტევი ხელმძღვანელობდა.[294]

გენერალი დენიბეკოვის რაზმის ამოცანას საზღვრის გადა-ლახვა და ხუცუბნის აღება წარმოადგენდა. მარჯვენა ფლანგის ამოცანა იყო მიეზიდა მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგის ძა-ლები, ხოლო შემდეგ შეხედულისამებრ ემოქმედა.

გენერალი დენიბეკოვის რაზმის პირველმა შეტევამ, რომე-ლიც 13 აპრილს დაიწყო, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მომდევნო იერიში 29 აპრილს განხორციელდა. ამ შეტევისას რუსთა ძალებმა შეძლეს ხუცუბნის აღება. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ციხისძირის სიმაგრეებზე იერიშის მიტანისათვის აუ-ცილებელი იყო რიგი გამაგრებული პუნქტებისა და სიმაღლე-ების დაკავება. ყოველივე ამისათვის რუს-ქართველთა გაერთია-

[292] შ. მეგრელიძე, სამხგეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ. 1963 წ. გვ. 79.
[293] სცსსა, ფ. 521, აღწ. 9, საქ. 119, ფურც. 3.
[294] Ф. Арутинов, История 1-го Кавказского стрелкового батальона, СПБ, 1898 г. Стр. 347-348.

ნებულმა რაზმმა 16 მაისს ახალი შეტევა განახორციელა. აღნიშნული ოპერაციისას აიღეს სოფ. ზენითი და რიგი სხვა სიმაღლეები, გარდა ჭახათის გამაგრებული პუნქტისა.[295]

ციხისძირზე შეტევა 11 ივნისს დაიწყო. შემტევი რაზმი ორ კოლონად გაიყო. მარჯვენა ფლანგს ხელმძღვანელობდა გენერალი შერემეტევი, მარცხენას - პოლკოვნიკი გურჩინი. საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა გენ. დენიბეგოვს. შეტევაში მონაწილეობას იღებდა 25 ათასი მეომარი.[296] რამდენიმე საათის სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ გენერალი ოკლობჟიო დარწმუნდა იმაში, რომ პირდაპირი შეტევით ციხისძირის აღება ფაქტობრივად შეუძლებელია. 12 ივნისს რუსეთის ნაწილები თავის ძველ პოზიციებზე იყვნენ. ბრძოლამ ბათუმი მიმართულებით გაჭიანურებული ხასიათი მიიღო.[297] ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რთული ბუნებრივი პირობები, ხანგრძლივი წვიმები, ჭაობიანი ნიადაგი, მთა-გორიანი რელიეფი,[298] და, რაც მთავარია, გენერალიტეტის მიერ დაშვებული უხეში შეცდომა (კერძოდ, სახმელეთო ძალებს ზურგს არ უმაგრებდა სამხედრო ფლოტი) იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსებმა ომის დასაწყისში მიღწეული მცირე წარმატებები ვერ განავითარეს. უფრო მეტიც, მტრის სახმელეთო და საზღვაო კომბინირებული დარტყმის შემდეგ ისინი იძულებულნი გახდნენ მუხაესტატეს გამაგრებებთან დახეულიყვნენ. არადა, ციხისძირის აღების გარეშე ბათუმზე პირდაპირი იერიში გამორიცხული იყო.

1878 წ. 16 იანვარს ქობულეთის რაზმის ახლად დანიშნულმა მეთაურმა, გენერალმა კომაროვმა თბილისიდან შეტევის ბრძანება მიიღო. კომაროვი შეეცადა შეწინააღმდეგებოდა უმაღლესი სარდლობის ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ უშედეგოდ. შეტევის დღედ 18 იანვარი დაინიშნა. შემტევი რაზმი სამ კოლონად გაიყო. მარცხენა კოლონას ხელმძღვანელობდა გენერალი შერემეტევი. მის განკარგულებაში 6 ბატალიონი იყო. ცენტრს, მართავდა 5 ბატალიონითა და 20 ქვემეხით, - გენერალი დენიბეკოვი. მარჯვენა ფლანგს კი, 3 ბატალიონითა და 8 საველე ზარბაზნით - გენერალი შალიკაშვილი.[299]

შეტევა დღის 3 საათზე დაიწყო. რამდენიმე საათის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, რუსები იძულებული გახდნენ უკან დახეულიყვნენ. დაწყებული კამპანია კვლავ ციხისძირთან შეფერხდა. რუსთა დანაკარგი ძალზე დიდი იყო. მათ, მოკლულთა სახით, 1 გენერალი (შერემეტევი), 44 ოფიცერი და 1260 რიგითი დაკარგეს.[300]

ბათუმისთვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილობრივი ბეგების პოზიციას. რუსეთის ხელისუფლებამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა იმ დროისათვის აჭარის ყველაზე გავლენიან პირთან - შერიფ ხიმშიაშვილთან. შერიფ ხიმშიაშვილმა რუსეთის ხელისუფლებას არაერთხელ მისცა წინადადება, რომ ისინი ზემო აჭარაში შესულიყვნენ. თავის მხრივ კი შერიფ ბეგმა ყველა ხერხი იხმარა, რომ თავიდან აეცილებინა რუსთა წინააღმდეგ ახალციხის მიმართულებით შეტევის განხორციელება. შერიფ ხიმშიაშვილის ასეთმა საქციელმა ოსმალეთის ხელისუფლებაში ეჭვი გამოიწვია, იგი ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. ამის გამო პირადად ვერ ინახულა გენერალი კომაროვი, მაგრამ სიტყვიერი შეთანხმების თანახმად, რუსების სამხედრო ნაწილებს შეტევის ნებისმიერი მიმართულების წარმართვის შემთხვევაში, აჭარის

[295] Ген. Макаев, Историческая записка 1-ой пешей Гурииской дружины в войну 1877-1878 г.г. стр 35-48.
[296] ივ. ურუშაძე, დას. ნაშ. გვ. 36.
[297] ვ. სიჭინავა, დას. ნაშ. გვ. 60.
[298] Б. Колюбакин, ბ. კოლიუბიაკინი, დას. ნაშ. გვ. 38-39.

[299] ვ. სიჭინავა, დას. ნას. გვ. 62.
[300] Л. Потто, დას. ნას., გვ. 168-171.

მხრიდან არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა.[301] საბოლოოდ, სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ შერიფ ხიმშიაშვილი იძულებული გახდა ახალციხეში გაქცეულიყო.[302]

რუსეთის მიერ ევროპისა და აზიის საომარ ასპარეზე მიღწეულმა წარმატებებმა აიძულა ოსმალეთის მთავრობა საომარ მოქმედებათა დროებით შეწყვეტაზე დათანხმებულიყო. 19 (31) იანვარს ადრიანოპოლში ხელი მოეწერა ომის დროებით შეჩერებას და მომავალი საზავო ხელშეკრულების საფუძვლებს.[303] წინასწარი შეთანხმების თანახმად, სერბია, ჩერნოგორია და რუმინეთი ღებულობდა დამოუკიდებლობას, ხოლო ბულგარეთის სამთავრო - ავტონომიას.[304] ამავე შეთანხმების მიხედვით, კავკასიაში რუსეთის მფლობელობაში გადმოდიოდა ერზრუმი. ხოლო, ზედა და ქვედა აჭარა, ბათუმისა და ქობულეთის ჩათვლით, შავშეთი, ლაზისტანი და ბაიაზეთი უნდა დაეტოვებინათ ოსმალთა სამხედრო შენაერთებს.[305]

როგორც ვხედავთ, მომავალი საზავო ხელშეკრულების საფუძველში გათვალისწინებული იქნა რუსეთის მხარის მოთხოვნათა მაქსიმუმი. ყოველივე ამან გამოიწვია ევროპის სახელმწიფოთა უკმაყოფილება, რომლებიც, თავის მხრივ, დაჟინებით მოითხოვდნენ ევროპის სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევას. კონფერენციის ჩატარება, რუსეთის სახელმწიფო კანცლერის გორჩაკოვის ძალისხმევით, ბერლინში გადაწყდა.[306] ასეთ რთულ და დაძაბულ ვითარებაში ორივე მხარე, რუსეთი

[301] ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან... გვ. 125-131.
[302] Тюмкеев, Материалы для описания русско-турецкой войны, 1877-1878 г.г. 1908. стр. 187-189.
[303] История внешней политики России, Мос. 1997 г. Стр. 208.
[304] Освобождение Болгарии от турецкого ига, т. 2, М. 1964 г. стр. 441.
[305] Ш. Мегреладе, Грузия в Русско-Турецкой войне 1877-1878 гг. Бат. 1955 г. стр. 89.
[306] История внешней политики России, М. 1997 г. стр. 209.

და ოსმალეთი, საზავო ხელშეკრულების გასაფორმებლად სან-სტეფანოში შეიკრიბა.

სან-სტეფანოში რუსეთს ნ. იგნატიევი და პ. ნელიდოვი წარმოადგენდნენ. ოსმალეთის ინტერესებს საფეტ-ფაშა და სადულაჰ-ბეგი იცავდნენ. დაიწყო დიპლომატიური დუელი. ოსმალეთის მხარემ რუსეთის მოთხოვნა გადამეტებულად ჩათვალა. ოსმალო დიპლომატები ცდილობდნენ, რაც შეიძლება გაეჭიანურებინათ მოლაპარაკება. დროის მოგებით ისინი ვარაუდობდნენ, რომ ევროპის სახელმწიფოთა დახმარებით „წინასწარი შეთანხმების“ პირობების გადასინჯვა მოხდებოდა.[307] რუსეთი, პირიქით, ჩქარობდა. იგნატიევი იმედოვნებდა, რომ ოსმალეთის მიერ საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ევროპას გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ამიტომ ის ვარაუდობდა, ზავის გაფორმების შემდეგ ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი აღარ დაარღვევნენ გამარჯვებულთა ნებას და დამარცხებულთა თანხმობას.[308] რამდენიმე დღის დაძაბული და წინააღმდეგობით აღსავსე მუშაობის შემდეგ, ორივე მხარემ საბოლოო კონსენსუსს მიაღწია. 1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) საზავო ხელშეკრულება დაიდო, რომლის მე-19 პუნქტის „დ“ პარაგრაფის თანახმად, რუსეთს აზიაში გადაეცა არტაანი, ყარსი, ბათუმი, ბაიაზეთი და ტერიტორია სოღანლუღამდე.[309] ასევე, არსებითად შეიცვალა ბალკანეთის რუკაც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების 21-ე მუხლის თანახმად, ოსმალეთის მიერ რუსეთისათვის დათმობილი ტერიტორიის მოსახლეობას სამი წლის ვადაში თავისუფალი გადასახლება-გადმოსახლების უფლება ეძლეოდა.

[307] Н. Игнатьев, Сан-Стефано, Пг. 1916 г. стр. 97.
[308] იქვე, გვ. 116.
[309] Сборник договоров России с другими государствами, М. 1952 г. стр. 170.

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების გადაწყვეტილებას ფაქტიურად ღია პროტესტით შეხვდნენ ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი. შემდეგ მათ საფრანგეთიც შეუერთდა. აღნიშნულ სახელმწიფოთა უკმაყოფილება გამოწვეული იყო რუსეთის გაძლიერებით ბალკანეთსა და აზიაში. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას აზიაში რუსეთის ტერიტორიული შენაძენიდან განსაკუთრებით ყარსი და ბათუმი აწუხებდა.[310] ევროპის სახელმწიფოთა უკმაყოფილება მხოლოდ პროტესტით არ შემოიფარგლებოდა. რუსეთზე ზეწოლის მიზნით, მათ ომისათვის მზადება დაიწყეს.[311] რუსეთისათვის, მოცემულ პერიოდში, ახალი ომის დაწყება ფაქტობრივად დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ რუსეთის დიპლომატიურმა წრეებმა მიღეს გადაწყვეტილება, დაეწყოთ მოლაპარაკება თითოეულ მოწინააღმდეგესთან ცალ-ცალკე.

1878 წლის მარტში რუსეთის დიპლომატიამ ბედი ავსტრია-უნგრეთთან სცადა, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია.[312] 1878 წლის აპრილში რუსეთმა მოლაპარაკება ინგლისთან დაიწყო. ოფიციალურ პეტერბურგსა და ლონდონს შორის 1878 წლის 18 (30) მარტს დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთი ღებულობდა ვალდებულებას, რომ არ გაავრცობდა თავის საზღვრებს აზიაში ყარსსა და ბათუმის იქით.[313] ესე იგი, რუსეთი თანახმა გახდა, დაებრუნებინა ოსმალეთისათვის ბაიაზეთი.[314] თუმცა აქვე უნდა აღი-

[310] История внешней политики России, стр. 212. Т. Стефанов, исторический очерк вступления русских воиск в гор. Батумь 25 августа 1878 года, Батум, 1906 г. стр. 92-93.
[311] С. Чернов, Россия на завершающем этапе Восточного кризиса 1875-1878 гг. М. 1984 г. стр. 59.
[312] Освобождение Болгарии, т.3, М. 1967 г. стр. 64.
[313] С. Чернов, დას. ნაშ. გვ. 88-96.
[314] Сборник договоров России с другими государствами, Мос. 1952 г. Стр. 178-179.

ნიშნოს, რომ მიუხედავად ინგლისის თანხმობისა რუსეთისათვის ყარსის, ბათუმის და არდაგანის გადაცემის თაობაზე, ბიკონსფილდის მთავრობას მტიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ბერლინის კონგრესზე ხელი აეღო ამ ვალდებულებაზე, კერძოდ, ბათუმის საკითხში.[315] ხელშეკრულება ბალკანეთსაც ეხებოდა.

როგორც ვხედავთ, რუსეთის დიპლომატიის იმედი იმის თაობაზე, რომ ევროპის სახელმწიფოები არ ჩაერეოდნენ რუსეთ-ოსმალეთის საქმეებში, არ გამართლდა. რუსეთი ბერლინის კონგრესზე ფაქტის წინაშე დადგა.

კონგრესი 1878 წლის 1 (13) ივნისს ბერლინში გაიხსნა. მის მუშაობაში მონაწილეობას, თურქეთის ჩათვლით, შვიდი სახელმწიფო იღებდა. გადამწყვეტი ხმის უფლება 20 დელეგატს ჰქონდა.[316] რუსეთის დელეგაცია კონგრესზე სამი კაცით იყო წარმოდგენილი - ა.მ. გორჩაკოვი, პ.ა. შუვალოვი და პ.პ. უბრი. რუსეთის დიპლომატიას იმდროინდელი ევროპის ისეთ ძლიერ პოლიტიკოსებთან მოუხდა პაექრობა, როგორებიც იყვნენ ბ. დიზრაელი და რ. სოლსბერი, დ. ანდრაში და ო. ბისმარკი. კონგრესზე ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა მოითხოვეს სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების რიგი მნიშვნელოვანი პუნქტების გადასინჯვა. აქ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია შევეხოთ ყველა იმ საკითხს, რომლებიც კონგრესმა განიხილა. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მათგანით, კერძოდ კი ბათუმის გარშემო გამართული პოლემიკით შემოვიფარგლებით.

ბათუმის და, საერთოდ, აჭარის საკითხი კონგრესზე ერთ-ერთი ცენტრალური პროგრამა იყო. ჯერ კიდევ კონგრესის მუშაობის დაწყებამდე ბიკონსფილდს განუცხადებია, რომ ბერლინში მიდის, რათა ხელი შეუშალოს სოლსბერს ბათუმის

[315] ა. ჩხეიძე, ბათუმი ინგლისის აღმოსავლურ პოლიტიკაში (1875-1878), თბ. 1974 წ. გვ. 49.
[316] История внешней политики России, стр. 215.

დათმობაში, რადგანაც არასოდეს არ დათანხმდება რუსეთისათვის ბათუმისა და ყარსის გადაცემას.[317] საამისოდ ინგლისელმა დიპლომატებმა დიდი სამუშაო ჩაატარეს. კონგრესის დაწყებისთანავე, 1878 წლის 4 ივნისს, მათ ოსმალეთთან დადეს ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობდა ინგლისის მხარდაჭერას თურქებისათვის ბათუმის, არდაგანის, ყარსის დაბრუნების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი კონგრესზე, ინგლისთან 18 მაისის ხელშეკრულების მიუხედავად, მოელოდა ბათუმის საკითხის გარშემო გართულებას. ეს კარგად ჩანს კონგრესის ერთ-ერთი მონაწილის, შუვალოვის მოგონებიდან. ის წერს: ბისმარკი და ვილჰელმ პირველი გაოცებული არიან ინგლისის მიერ ბათუმის დათმობით.[318] როგორც ჩანდა, კონგრესზე ინგლისოსმალეთსა და რუსეთს შორის ბათუმის გარშემო ატეხილი დიპლომატიური დუელი მწვავე უნდა ყოფილიყო. მართლაც, მოლოდინმა გაამართლა.

ბერლინის კონგრესზე ინგლისელთა პოლიტიკა ბათუმის საკითხებში პირობითად შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ. პირველი, ყოველივე ღონისა და ხერხის გამოყენება, რომ ბათუმი დარჩეს ოსმალთა მფლობელობაში. მეორე, მისი დათმობა, მაგრამ ინგლისისათვის მაქსიმალური მოგების მოტანით.

თავდაპირველად, ინგლისის დიპლომატიამ რუსეთის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ბათუმის დათმობამ ინგლისში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამიტომ ეს საკითხი, მიუხედავად 18 მაისის ხელშეკრულებისა, ახლებურად უნდა გადაწყდეს. გარდა ამისა, სოლსბერმა რუსეთის წარმომადგენელს განუცხადა, რომ მათგან ლაზები დახმარებას მოითხოვენ, რათა არ მოექ-

[317] ა. ჩხეიძე, დას. ნაშ. გვ. 49.
[318] იქვე, გვ. 50.

ცნენ რუსეთის მმართველობაში.[319] აქედან გამომდინარე, სოლსბერმა რუსეთს ლაზების საკითხის მოგვარების პრინციპული ახალი სქემა შესთავაზა. საკითხის მოგვარება ლაზეთის დამოუკიდებელი სახანოს ჩამოყალიბებით უნდა დაგვირგვინებულიყო.[320] ლაზების საკითხის ამ სახით მოგვარებას რუსეთის დიპლომატია აშკარა პროტესტით შეხვდა. რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ უარყო ინგლისელთა წინადადება. აღნიშნული პროექტი არც ოსმალეთის მხარემ მოიწონა. აშკარა იყო, რომ ინგლისი კავკასიაში შემოსვლას ფიქრობდა.

რუსეთის მხრიდან ლაზების საკითხისა და, კერძოდ, ბათუმთან დაკავშირებით გაწეული წინააღმდეგობის გამო, ინგლისმა შეცვალა თავისი პოლიტიკა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ბიკონსფილდის მოსაზრება. ის აღნიშნავდა: უკიდურეს შემთხვევაში, თუ რუსეთს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ ბათუმის გადაცემის საქმეში, მაშინ მასზე შეზღუდული სტატუსი უნდა დაეწესებინათ. რასაც, თავის მხრივ, მაქსიმალური შესაძლებლობა უნდა მიეცა ინგლისისათვის,რომ ეს ქალაქი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

კონგრესის მუშაობის პირველი თვის ბოლოსათვის ინგლისელები, ფაქტობრივად თანახმა იყვნენ, ბათუმი თავისუფალ პორტად გამოეცხადებინათ. მაგრამ მოწინააღმდეგე მხარეებს სხვადასხვანაირად ესმოდათ თავისუფალი პორტის მნიშვნელობა. რუსეთი კატეგორიულ უარს აცხადებდა რაიმე ვალდებულებების აღებაზე. ამან კი, თავის მხრივ, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისელებში. სოლსბერი კონგრესის დატოვებით იმუქრებოდა.[321] რუსეთის მხრიდან პასუხის დაყოვნება, ბათუ-

[319] „დროება,“ 1878 წ. N 111.
[320] ა. ჩხეიძე, დას. ნაშ. გვ. 68-70.
[321] Д. Анучин, Берлинский конгресс 1878 г.-Русская старина, N 11, СПБ, 1912 г. стр.234. დროება, 1878 წ. N 130.

მის თავისუფალი პორტის გამოცხადების თაობაზე და საერთოდ აზიის საკითხებთან დაკავშირებით, უკმაყოფილებას კონგრესის სხვა წევრებშიც იწვევდა.[322]

ყოველივე ამან აიძულა რუსეთის ხელისუფლება დაეჩქარებინა პასუხის გაცემა აზიის საკითხთან დაკავშირებით. 6 ივლისის სხდომაზე გორჩაკოვმა გააკეთა განცხადება, რომ რუსეთი თმობს არზრუმს, ბაიაზეთს, ალაშკერტის ხეობას. ხოლო ბათუმი ცხადდება თავისუფალ ქალაქად. აქვე მას უთქვამს, რომ ყოველივე ეს პასუხობს ყველა მოვაჭრე ქვეყნის ინტერესებს, უპირველესად კი - ინგლისისას.[323] მიუხედავად რუსეთის მხრიდან დათმობებისა, ინგლისის დიპლომატიამ ამავე სხდომაზე ეგრეთ წოდებული „ლაზების საკითხი“ წამოჭრა. ინგლისელები უსამართლოდ მიიჩნევდნენ ლაზებით დასახლებული ტერიტორიების რუსეთისათვის გადაცემას. ისინი ამ საკითხს მოტივირებას ასე უკეთებდნენ: თუ კონგრესმა გაითვალისწინა ევროპული თურქეთის ეროვნებათა ინტერესი, მაშინ ამ ხალხის ინტერესიც უნდა იქნას გათვალისწინებულიო. მათ არ სურთ შევიდნენ რუსთა მფლობელობაში, ხოლო კონგრესი ფაქტობრივად ძალით ახვევს თავს მათთვის არასასურველ გადაწყვეტილებას.[324] ამ საკითხის გარშემო კამათმა რამდენიმე დღე გასტანა. საბოლოო გადაწყვეტილება ისტორიისთვის ცნობილია. აჭარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საკითხის წამოჭრით ინგლისმა ბათუმის საკითხთან მიმართებაში, უპირატესად, „თავისუფალი პორტის“ სტატუსს მიაღწია. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენთვის საინტერესო

[322] Д. Анучин, დას. ნაშ., გვ. 238-239.
[323] Голос, 1878/7 г. , N 5-6; დროება, 1878 წ. N 130; Д. Анучин, დას. ნაშ. გვ. 286-287.
[324] ა. ჩხეიძე, დას. ნაშ. გვ. 92.

არეალს ეხებოდა, შემდეგია: 58-ე მუხლის თანახმად - ბრწყინვალე პორტა რუსეთის იმპერიას აზიაში უთმობდა არდაგანს, ყარსს და ბათუმს. მუხლი 59 - რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილების თანახმად, ბათუმი ცხადდებოდა პორტო-ფრანკოდ, უპირატესად, კომერციული თვალსაზრისით. მუხლი მე-60 - ალაშკერტის ტერიტორიები და ქალაქი ბაიაზეთი უბრუნდება თურქეთს.[325]

ამრიგად, ბერლინის კონგრესმა ადრე დადებულ ხელშეკრულებათა რევიზია მოახდინა. კონგრესმა საგრძნობლად შეამცირა რუსეთის ძალაუფლება იმ ტერიტორიებზე, რომელიც მან სამხედრო ძალის საშუალებით მოიპოვა.[326]

მიუხედავად იმისა, რომ კონგრესის გადაწყვეტილებით რუსეთის გავლენის სფერო საგრძნობლად შემცირდა, პოლიტიკოსები კმაყოფილი იყვნენ მიღწეული შედეგით. მართლაც, რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა 461,4 კვადრატული მილი ტერიტორია[327] და, რაც მთავარია, ბათუმი. რუსეთისათვის მისი მნიშვნელობის დასტურად იმპერატორ ალექსანდრე მეორის სიტყვები კმარა - მარტო ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ რუსეთმა მათთვის რამდენიმე ათეული მილიონი გასწიროს.[328]

სპეციალურმა კომისიამ გადაწყვიტა, თურქებს ქობულეთ-ჩაქვის მხარე 17-24, ხოლო აჭარა (ბათუმითურთ) 23-25 აგვისტოსათვის უნდა დაეცალათ.[329]

ოსმალები ცდილობდნენ, აჭარიდან გასვლა გაეჭიანურებინათ. ისინი ინგლისელებთან ერთად აშკარა პროვოკაციებსაც

[325] Сборник договоров России с другими государствоми, стр. 204-205.
[326] Русский вестник, т. 205, СПб, 1889 г. N 12, стр. 2-6.
[327] С. Эсадзе, Исторический очерк распростанения русской власти на Кавказе, Тиф. 1913 г. стр. 58.
[328] В. Потто, Утверждение русского владичество… т. 4, ч. 2, Тиф. 1908 г. стр. 445.
[329] სცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქ. 819, ფურც. 1-3.

არ ერიდებოდნენ. გენ. კომაროვმა ყოველ შემთხვევისთვის ადრევე მოამზადა ბათუმის აღების გეგმა. საბედნიეროდ, პრობლემა ყოველგვარი ინციდენტის გარეშე გადაწყდა და რუსები დათქმულ დროს მარშით შევიდნენ ბათუმში.[330]

1878 წ. 20 სექტემბერს კავკასიის არმიის მთავარმართებელმა, გენერალ-ფელდმარშალმა, დიდმა მთავარმა მიხეილმა დაამტკიცა ბათუმის ოლქის მმართველობის დროებითი დებულება.

მე-2 პუნქტის თანახმად, ახლად შექმნილი ადმინისტრაციული ერთეული ირიცხებოდა კავკასიის სამხედრო ოკრუგში და ემორჩილებოდა კავკასიის არმიის მთავარსარდალს, როგორც სამხედრო, ისე ადმინისტრაციულ საქმეებში.

ოლქი ერთ სანავსადგურო ქალაქად (ბათუმი) და სამ ოკრუგად (ბათუმის, ართვინისა და აჭარის) დაიყო. 1) ბათუმის ოკრუგი შედგებოდა - ბათუმის, კინტრიშისა და გონიოს უბნებისაგან. 2) აჭარის ოკრუგში - ზემო და ქვემო აჭარა, ასევე, მაჭახლის უბნები შედიოდა. 3) ართვინის ოკრუგი შედგებოდა - ართვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერხევის უბნებისაგან.[331]

აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში სამხედრო გუბერნატორი გენერალი კომაროვი ჩაუდგა. მან 1878 წ. 20 ოქტომბრის ბრძანებით სამხედრო ჩინოსნებისაგან დააკომპლექტა ოკრუგებისა და უბნების უფროსები, რომლებიც ფორმალურად სამოქალაქო საშტატო ერთეულებად ითვლებოდნენ.[332]

აღსანიშნავია, რომ ეს თანამდებობები, ისევე, როგორც გუბერნატორის მოადგილეობა, ქართველებს ერგოთ. როგორც

[330] Материалы для описания русско-турецкой войны, т. 3, ст. 193-257; Ш. Мегрелидзе, Закавказие в русско-турецкой войне 1877-1878 гг. Тб. 1972, стр. 211-212.

[331] სსცსა, ფ. 229, აღწ. 1, საქ. 48, ფურც. 1; ი. ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ. 1999 წ. გვ. 45.

[332] აჭარის სახ. არქივი, ფ. 1, საქ. 4, ფურც. 1.

ჩანს, ქართულმა საზოგადოებრიობამ სათანადო დასკვნები გამოიტანა მესხეთის გამოცდილებიდან და უფრო მეტი ენერგიით ჩაება თანამემამულეებიის ბედის გადაწყვეტის საქმეში.

ამოქმედდა ორი ტიპის - საერთო-იმპერიული და ადგილობრივი (მეჯლისი)* სასამართლო. სვიატოპოლკ-მირსკის 1878 წ. 11 დეკემბრის განკარგულების თანახმად, ბათუმის სასამართლო ორგანოები თბილისის სასამართლო პალატის შემადგენლობაში შევიდა.[333]

ბუნებრივია, სერიოზული სასამართლო საქმეების წარმოება რუსულ ენაზე მიდიოდა, რაც დიდ პრობლემებს უქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობას.

პირველ პერიოდში გადასახადების გადახდის ძველი (ოსმალური) წესი მოქმედებდა. სამხედრო გუბერნატორს გარკვეული პროცედურის დაცვით შეეძლო ამ გადასახადების შერბილება ან ჯარიმის დაწესება.[334]

* ეს დაწესებულება დანაშაულის შემთხვევაში შარიათისა და ადათის მიხედვით მოქმედებდა, თუმცა, სერიოზული ინციდენტის შემთხვევაში განაჩენი დასამტკიცებლად ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს ეგზავნებოდა.

[333] სსცსა, ფ. 545, საქ. 1677, ფურც. 1-3.

[334] ხ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ. 1978, გვ. 166.

§2. მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზები აჭარაში

რუსული მმართველობის დამყარებით ახალი ერა დაიწყო აჭარის ისტორიაში. უდიდესი ცვლილებები განხორციელდა სოციალურ და ეკონომიკურ სფერობში. სულ სხვა სახე მიიღო კუთხის პოლიტიკურმა ყოფამ. უცვლელი მხოლოდ მისი დანიშნულება დარჩა. როგორც ოსმალთა ბატონობისას, ასევე რუსთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ, აჭარა მოწინააღმდეგის მოსაზღვრე ტერიტორიად რჩებოდა. ამიტომ ამ მიწის მფლობელისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქ დასახლებული ხალხის განწყობას. ოსმალეთის მმართველობასთან შედარებით, რუსეთის უფრო მაღალორგანიზებული ადმინისტრაციისათვის ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი გახდა იმპერიის ფარგლებში იმ ხალხის დატოვება რომელიც, მათი აზრით, შენელებული მოქმედების ნაღმი იქნებოდა. დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბათუმის ოლქში მცხოვრები ხალხის მიმართ სანამ არ მოხდება ჩვეული კოლონიზატორული პოლიტიკის გატარება, მანამ ამ ტერიტორიის შეძენა გაძლიერების ნაცვლად რუსეთის დასუსტების ტოლფასი იქნება.[335]

სანამ მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზების კვლევაზე გადავიდოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დავადგინოთ გადასახლებისათვის რუსეთ-ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ოფიციალურად ნებადართული ვადა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების მიხედვით, მოსაზღვრე ტერიტორიის მოსახლეობას სამი წლის ვადაში უფლება მიეცა თავისუფალი გადასახლება-გადმოსახლებისა. თუმცა, როგორც ცნობილია, აღნიშნული საზავო ხელშეკრულების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება შეჩერებული იქნა ევროპის სახელმწიფოთა პროტესტის გამო. მოწვეული იქნა ბერლინის კონგრესი, რომელმაც, თავის მხრივ, არსებითად შეცვალა სან-სტეფანოს ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მუჰაჯირობის დაწყების ოფიციალურ ვადად სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქრონოლოგიური ჩარჩო არ შეიძლება ჩაითვალოს.

1879 წლის 27 იანვარს (8 თებერვალს), კონსტანტინეპოლში, რუსეთ-ოსმალეთს შორის გაფორმდა საზავო ხელშეკრულება. ამ დოკუმენტის მესამე მუხლი აკანონებდა სან-სტეფანოს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ბერლინის კონგრესს არც გაუუქმებია და არც შესწორება შეუტანია. კონსტანტინეპოლის ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, რუსეთის ახალ ქვეშევრდომებს ეძლეოდათ ნება სამი წლის მანძილზე გაეყიდათ თავიანთი ქონება და გადასახლებულიყვნენ საცხოვრებლად სხვა ტერიტორიაზე. ხელშეკრულება ძალაში შედიოდა მისი რატიფიკაციის შემდეგ, რომელიც მაქსიმუმ ორი კვირის ვადაში უნდა მომხდარიყო.[336] კონსტანტინეპოლის ხელშეკრულების რატიფიკაცია 3 თებერვალს განხორციელდა. შესაბამისად, დადგინდა გადასახლების ოფიციალური ვადა, 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე. მიუხედავად ზემოთქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის მკვიდრი მოსახლეობის მშობლიური ადგილებიდან აყრა-გადასახლება 1878 წლიდან იწყება და ფაქტიურად მოიცავს როგორც სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების ასევე კონსტანტინეპოლის ხელშეკრულების მიხედვით დადგენილ ვადებს. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მართებული იქნებოდა პირობითად გამოგვეყო მუჰაჯირობის ორი ძირითადი ეტაპი: 1) მუჰაჯირობის სან-სტეფანოს

[335] Ш. Мегрелидзе, Закавказье в русско-турецкой войне 1877-1878 гг., стр. 265.

[336] Сборник договоров России с другими государствами, стр. 210; Сборник деиствуюших трактатов, конвенъий и соглашений, заключених Россией с другими государствами, т. 4, СПб. 1896, стр. 218.

საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდი და 2) კონსტანტინეპოლის საზავო ხელშეკრულების მიხედვით დადგენილი ვადები. მოყვანილი პირობითი პერიოდიზაცია, ჩვენი აზრით, მართებულია იმ მოსაზრებითაც, რომ აჭარის მკვიდრი მოსახლეობის სამშობლოდან აყრა-გადასახლების საქმეში წვლილი ორივე სახელმწიფოს მიუძღვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელი იმპერიის გავლენის სფეროში შედიოდა აღნიშნული რეგიონი.

ბერლინის კონგრესის დადგენილებამდე, სანამ გადაწყდებოდა აჭარის რუსეთის იმპერიისათვის გადაცემა, ოსმალეთის ხელისუფლება მოსახლეობას იარაღით ამარაგებდა და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად აქეზებდა. ამ საქმეში თავისი წვლილი ინგლისმაც შეიტანა. ამასთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო და საინტერესო ცნობა აქვს მოცემული ივანე ურუშაძეს. ის წერს: 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს გ. წერეთელი მივლინებული იყო ომის აზიის ასპარეზზე. აქ მან გაიცნო ინგლისელი კორესპონდენტები, რომელთა საშუალებით გაიგო, რომ ინგლისელთა მისია ამ ომში სხვა ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებდა ქართველთა აჯანყების მოწყობასაც, რაც, თავის მხრივ, გაართულებდა რუსთა ჯარის პოზიციებს აზიაში და ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა ოსმალეთს პროდუქტიული მოქმედებისათვის. რუსეთის ჯარის ზურგში აჯანყების მოწყობას ინგლისელები დერვიშ-ფაშას საშუალებით აპირებდნენ, რომელმაც კარგად იცოდა, რომ მაშინდელი ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი მხარს არ უჭერდა რუსეთს და ცდილობდა საქართველოს სრულიად განთავისუფლებას იმპერიის მარწუხებისგან. გ. წერეთელმა თანამოაზრის, კაკაბა ლომჟარიას დახმარებით მოახერხა ფრონტის ხაზის ფარულად გადასვლა და დერვიშ-ფაშას თანდასწრებით ინგლისელებთან მოლაპარაკების გამართვა. მოლაპარაკების დროს გიორგი წერეთელს აღუთქვამს საქართველოში აჯანყების

მოწყობა იმ შემთხვევაში, თუ იგი ინგლისის მთავრობისაგან მიიღებდა დაპირებას, რომ ომის დამთავრების შემდეგ საქართველოს მიეცემოდა ეროვნული დამოუკიდებლობა. ამის თაობაზე ინგლისელები აჭარაში ხმას ავრცელებდნენ, რომ რუსების განდევნა საქართველოდან აჭარლებისა და ქრისტიან ქართველთა გაერთიანებული ძალით უნდა მოხდესო.[337] მოყვანილი მასალა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რაოდენ დიდი ენერგიით ეწეოდა თავის საქმიანობას ოსმალეთის ხელიუფლება (რა თქმა უნდა, ინგლისის დახმარებითა და უშუალო მითითებებით) მკვიდრი მოსახლეობის საომარ ოპერაციაში ჩასაბმელად.

ვითარება არსებითად შეიცვალა მას შემდეგ, რაც გარკვეული იქნა აჭარისა და ბათუმის რუსეთის იმპერიისათვის გადაცემის საკითხი. ოსმალეთის ხელისუფლებამ დაიწყო მოსახლეობის ძალდატანებით გასახლება. ამ მიზნით დერვიშ-ფაშას განკარგულებით 160 ცხენოსანი მოქმედებდა მხოლოდ ქობულეთში. ისინი ძალად მიერეკებოდნენ ხალხს ოსმალეთში.[338] იცოდენ რა ქართველ მუსლიმანებს დამოკიდებულება საკუთარი ოჯახისადმი, პირველად ბავშვებსა და ქალებს აგზავნიდნენ უცხოეთში, რომლებსაც შემდეგ მამაკაცებიც მიჰყვებოდნენ.[339] ოსმალეთის მიერ მოსახლეობის ძალით წაყვანის ფაქტებს აშუქებდა იმდროინდელი პრესა. ასე მაგალითად: ნურიბეგ თავდგირიძეს უცნობებია გრიგოლ გურიელისათვის, რომ ოსმალები ძალად მიერეკებიან ხალხსო და დახმარება უთხოვია. გრიგოლ გურიელმა საამისოდ სასწრაფო ზომები მიიღო. შეია-

[337] ივ. ურუშაძე, დას. ნაშ. გვ. 95-97. ეს ამბავი მკვლევრისათვის ექვთიმე თაყაიშვილს მიუწოდებია, რომლის ნათესავი, იოსებ თაყაიშვილი, გიორგი წერეთელის ახლო მეგობარი იყო.
[338] გაზ. „დროება“, 1878 წ. N 190.
[339] გაზ. „Обзор“, 1878 წ. N 231, А. Френкель, очерки Чурук-су и Батума, Тиф. 1879 г. Стр 39.

რაღებული რაზმი გააგზავნა, რომელმაც ოსმალებს გზა გადაუღობა და გასაგზავნად გამზადებული ხალხი უკან, სახლებში დააბრუნა.[340]

ამ მოვლენაზე ყურადღება რუს მოგზაურებსაც მიუქცევიათ. ა. ფრენკელი, მოგვითხრობს რა ქობულეთელთა გადასახლების ამბავს, წერს: ბათუმში ოსმალებმა დაძალებით საკმაოდ დიდი რაოდენობის ხალხს მოუყარა თავი, რომელიც თურქეთში გასამგზავრებლად იყო გამზადებული. მათში მიდიოდა ერთგვარი ბრძოლა, რაც სამშობლოს სიყვარულითა და მოლების აგიტაციით იყო გამოწვეული. თუ ისინი დარჩებოდნენ, მაშინ რწმენას უღალატებდნენ, მაგრამ თუ წავიდოდნენ, სამშობლოს დაკარგავდნენ. ბოლოს, უმეტეს შემთხვევაში, სამშობლოს სიყვარული იმარჯვებდა. მიუხედავად ამისა, მრავალი სოფელი ქობულეთში დაცარიელებული იყო ხალხისგან.[341]

ოსმალთა ასეთი საქმიანობისაგან თავდაცვის მიზნით, აჭარის მკვიდრნი რუსეთის ხელისუფლებას მიმართავდნენ. ქვედა აჭარის მოსახლეობის დელეგაციამ სვიატოპოლკ-მირსკის მფარველობა სთხოვა თურქთა ძალადობისაგან. უფრო მეტიც, ბათუმისა და ქობულეთის მოსახლეობის წარმომადგენლობამ მსგავსი თხოვნით დიდ მთავარს, მიხეილს მიმართეს.[342] რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში დახმარების გაწევა აღთქმული იყო, მაგრამ ცალკეული გამონაკლისების გარდა, რომელთაც ქართველ პატრიოტებს უნდა ვუმადლოდეთ, სერიოზული დახმარება არ გაწეულა.

მოსახლეობა ოსმალთა ძალადობის მოგერიებას საკუთარი საშუალებებით ცდილობდა, რაც მკვიდრთა და ოსმალთა ჯარისკაცებს შორის შეტაკებებში გამოიხატებოდა. ასე მაგალითად, 1878 წლის 14-15 აგვისტოს ქობულეთლებსა და ოსმალთა შორის

[340] გაზ. „დროება“, 1878 წ. N 190.
[341] А. Френкель, დას. ნაშრ., გვ. 33, 107-108.
[342] სცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქ. 164, ფურც. 1.

ნამდვილი ბრძოლა გამართულა.[343] ძალადობასთან ერთად, ოსმალეთმა, ადგილობრივთა გადაბირების მიზნით, ფართო მასშტაბით სააგიტაციო პროპაგანდა გაშალა. ის საამისოდ სასულიერო პირებსა და ემისრებს იყენებდა. ზაქარია ჭიჭინაძე შემდეგნაირად აფასებს ოსმალეთის ამგვარ საქმიანობას: „ქართველ მაჰმადიანებს წამქეზებლები რომ არ ჰყოლოდათ, ისინი თავიანთი მამულიდან ფეხსაც არ მოიცვლიდნენ“.[344] 1878 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩვენ შევიტყეთ, რომ ოსმალეთის მთავრობა ჰგზავნის ბათუმში კამისიას თუ ერთს აგენტს, რომელსაც მინდობილი ექნება, რომ ფულით და სხვა სახსარით გაუადვილოს გადასახლება ახალშემენილ ოსმალოს საქართველოს მაზრიდან იმ მცხოვრებელთ, რომელნიც ამ ქვეყნიდან ოსმალეთში გადასახლებას მოინდომებენ... ოსმალოს კომისია, ანუ აგენტი, რომელიც ბათუმში იქნება, უეჭველია, ყოველ საშუალებას მოიხმარს, რომ რაც შეიძლება მომეტებული ხალხი გადაასახლოს იქიდან ოსმალეთში.“[345]

ოსმალეთი მსგავს საქმიანობას მომდევნო წლებში, აჭარაში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგაც განაგრძობდა. ასე მაგალითად, 1880 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: „წლევანდელი მკაცრი ზამთრისა და სიძვირისაგან ყველაზე უფრო მომეტებული ზარალი ამ ახლად შეძენილ მაჰმადიან საქართველოს მიეცა, რომელსაც ჯერ ვერ წამოეწია წელი განვლილ ომის შემდეგ. ხალხი დიდ გაჭირვებაშია და ამით ყველაზე უფრო ოსმალოს აგენტები სარგებლობენ: ისინი ავრცელებენ ხალხში აზრს, რომ ღმერთი ჰსჯის იმათ ქრისტიან ქვეშევრდომად დარჩენისათვის, რომ ოსმალეთში ისინი ერთი ათად უკეთესად იცხოვრებენ... ამგვარმა აგიტაციამ თავისი გააკეთა

[343] გაზ. „Обзор“, 1878 წ. N 231; შ. მეგრელიძე, დას. ნაშ. გვ. 46.
[344] ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, გვ. 42.
[345] გაზ. „დროება“, 1878 წ. N 189.

ქვემო აჭარა მთლიანად გადასახლდა და ბევრი კიდევ აპირებს წასვლას".[346] ან კიდევ, „...სტამბოლიდან მოსული მოლები და საზოგადოდ ოსმალოს მქადაგებლები, რომელნიც ეუბნებიან - წავიდეთ ოსმალეთში, აქ თქვენ დასადგომი პირი არა გაქვთ. რუსის ხელში თქვენ ვერ გაძლებთ. გიაური მართლმსაჯული მაჰმადიანს არასოდეს არ შეიწყნარებს".[347] მსგავს ფაქტებს იმ მართლაც არეულ დროში მრავლად ჰქონდა ადგილი. ოსმალეთი ყოველივე არსებული ხერხით თავისას ეცდებოდა. მოვლენებს წინ გავასწრებთ და ვიტყვით, რომ მოსახლეობის სამკვიდროზე დარჩენისათვის სწორედაც ახლად გაბატონებულ ხელისუფლებას უნდა ეზრუნა, რაც, სამწუხაროდ, მის პოლიტიკურ გეგმებში სრულებითაც არ შედიოდა.

ოსმალეთის ხელისუფლების ამგვარმა საქმიანობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ამ პერიოდისათვის მრავალი ჩვენი თანამემამულე უცხოეთში იქნა გადაკარგული. ეს ორივე იმპერიისათვის სარფიანი იყო. ალბათ, ამიტომაც ოსმალეთის ხელისუფლება არ ჩქარობდა აჭარის დროულად დატოვებას და, თავის მხრივ, სავარაუდოა ისიც, რომ კუთხის მკვიდრთაგან მაქსიმალურად დაცარიელების იმედით, არც რუსეთი მიისწრაფოდა მისი კუთვნილი ტერიტორიების დაკავებისაკენ.

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმი ოფიციალურად რუსეთის იმპერიას გადაეცა. დერვიშ-ფაშამ რუსეთის წარმომადგენელს გადასცა ქალაქის კლიტეები. აჭარაში რუსეთის არმიის შემოსვლას რაიმე ინციდენტი არ მოჰყოლია. რეგიონში რუსული მმართველობის დრო დაიწყო. აჭარის მოსახლეობას დ. სვიატოპოლკ-მირსკიმ იმპერიის ნება გამოუცხადა - მასში ნათქვამია: 1) ადგილობრივთა ოჯახები, რელიგია და ქონება ხელუხლებელი რჩება. 2) რუსეთის მთავრობის მიმართ მოვალეობა იგივე

[346] გაზ. „დროება", 1880 წ. N 95.
[347] იქვე, 1880 წ. N 118.

იქნება, როგორიც ოსმალთა ბატონობის პერიოდში. 3) მხარის ადგილობრივი მმართველობა უცვლელი რჩება. 4) გასახლების მსურველებს მიეცემათ ქონების გაყიდვის დრო და საშუალება.[348] სამწუხაროდ, აღნიშნული განცხადება ცხოვრებაში არ განხორციელებულა. რუსეთი აქ, ისევე როგორც სხვაგან, მკვიდრთა ინტერესების დაცვის საბაბით საკუთარი დაპყრობითი პოლიტიკის გატარებას აპირებდა.

იმპერიის ნამდვილი სახე სვიატოპოლკ-მირსკის მიერ რუსეთის საიმპერატორო კარისადმი გაგზავნილი პატაკებიდან ნათლად ჩანს. ეხება რა ბათუმის ოლქში რუსეთის ჯარის ნაწილების დისლოკაციის საკითხს, 1878 წელს 15 ოქტომბერს ის წერს: „თავდაპირველად ამ საკითხის განხილვისას გენ. კომაროვი საკმარისად თვლიდა ახალციხის პოლკის ორი ასეულის ხულოში ზამთრისათვის დატოვებას. გენერალი გრეიმერისა და შერიფ-ბეგის აზრის თანახმად ხულოში საჭიროა კიდევ ორი ასეული ქვეითი ჯარისა. თავის მხრივ ამ მოსაზრებას ახლა უკვე გენერალი კომაროვიც ეთანხმება. მე მიმაჩნია, რომ საჭიროა ჯარის ნაწილების ხულოში მხოლოდ გვიან შემოდგომამდე ყოლა. ხოლო გამოსაზამთრებლად ახალციხეში გაგზავნა. კომაროვმა ამ ბოლო დროს, აჭარაში სიმშვიდის შენარჩუნების მიზნით, მოითხოვა მთლიანი ბატალიონის ჩაყენება. აქედან გამომდინარე, მე მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ გენერალი კომაროვი, მოხდა რა ჩვენ მიერ მხარის დაკავებისას თავდაპირველად გატარებული პოლიტიკის ზეგავლენის ქვეშ, მცდარად აღიქვა იმპერიის საბოლო მიზანი აღნიშნულ რეგიონში. როცა ჩვენ ვიკავებდით ბათუმის ოლქს, პოლიტიკური ხასიათის გარემოებანი მოითხოვდნენ, რომ მხარის დაკავება მომხდარიყო ყოველგვარი გართულების გარეშე. ამიტომ იძულებული შევიქმენით დროებით უარი გვეთქვა მომავალ მიზნებზე. როგორც

[348] სცსსა, ფ. 416 აღ. 3 საქ. 163, ფურ. 11.

ვიცით, უპირველესი და ამავე დროს დროებითი მიზანი, ბათუმის ოლქის მშვიდობიანად დაკავება, მიღწეულია. ეხლა უნდა დავიწყოთ ზრუნვა სამომავლო მიზნებისათვის, ანუ მუდმივი მიზნის აღსრულება. ეს უკანასკნელი კი (ასე ვთქვათ, მუდმივი მიზანი), ძირითადად განპირობებულია სამხედრო მოსაზრებით, რომელზეც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ჩვენი მდგომარეობა მომავალ ომებში. ბათუმის შემოერთებით ჩვენ შევიძინეთ ბუნებრივი სიმაგრე იმპერიის კავკასიის სამფლობელოების ყველა სუსტ კუთხეში. სამწუხაროდ, ეს სიმაგრე დასახლებულია დაუმორჩილებელი და ძალზედ მეომარი ხალხით. გარდა ამისა, ისინი რელიგიურად არიან დაკავშირებული თურქეთთან, რაც მათ უფრო მეტად საშიშს ხდის ჩვენთვის. ამიტომ მათი იმპერიის ფარგლებში, და მით უმეტეს, საზღვრისპირა ზოლში, დატოვება ყოვლად მიუღებელია. საჭიროა ამ მოსახლეობის ასიმილაცია ან გადასახლება. სანამ ეს არ მოხდება მანამ ჩვენი შენაძენი გაძლიერების ნაცვლად დასუსტების მომტანი იქნება. ასეთ პირობებში ჩვენი ყველა ნაბიჯი მიმართული უნდა იყოს ბათუმის ოლქში არა დროებითი სიმშვიდის შესანარჩუნებლად, არამედ ისეთი ვითარების შესაქმნელად, რომელიც უზრუნველყოფს იმპერიის მდგომარეობას მომავალში. თუ ჩვენ დავიწყებთ მხარეში დროებითი სიმშვიდისათვის ანუ დროებითი მიზნისათვის ზრუნვას, მაშინ დავუშვებთ გამოუსწორებელ შეცდომას. რადგანაც ამ დროს მომოვალს აწმყოსათვის გავწირავთ, როცა საჭიროება მოითხოვს იმას, რომ ვიმოქმედოთ პირიქით, ე.ი. იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, ჯობს ეხლა გავიღოთ მსხვერპლი, რომ უზრუნველვყოთ მომავალი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია გატარდეს რიგი ღონისძიებებისა, რომელთა შორის უმთავრესი ბათუმის ოლქის მოსახლეობის თავიდან მოცილებაა. მით უმეტეს, რომ ამის საშუალებას გვაძლევს სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების 21-ე მუხლი. მოსახლეობის მიმართ გატარებული უნდა იქნას რაც

შეიძლება მკაცრი ზომები, იარაღის გამოყენებაც კი, მათი აბსოლუტურ მორჩილებაში მოყვანის მიზნით. მსგავსი ღონისძიება მოგვცემს საშუალებას, გავწმინდოთ მხარე ჩვენთვის მიუღებელი ელემენტებისგან. ასეთი მოქმედების შემდეგ თუ დარჩება ვინმე, ის გაცილებით ნაკლებსაშიში იქნება ჩვენთვის და მაქსიმალურად მორჩილი.“[349]

კავკასიის არმიის მთავარსარდლის სვიატოპოლკ-მირსკის ამ სიტყვებს ვფიქრობთ, კომენტარი არ სჭირდება. მასში ნათლადაა წარმოდგენილი იმპერიის პოლიტიკის მაგისტრალური ხაზი. მოცემულია განსახორციელებელი პროგრამის საბოლოო მიზანი. ამავე დროს ის ცალკე აღებული, მაღალჩინოსნის შეხედულება კი არაა, არამედ მკვიდრი მოსახლეობისადმი რუსული სახელმწიფოს ტრადიციული დამოკიდებულების ძირითადი დოქტრინაა.

რუსული მმართველობა დაუპირისპირდა ხალხში საუკუნეებით დამკვიდრებული ცხოვრების ნორმებს, რითაც მკვიდრი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.[350] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივთა ბედი და, მით უმეტეს, უკმაყოფილება იმპერიული მიზნების და ინტერესების საგანი არ იყო. პროფესორ მიხეილ სვანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეფის რუსეთის მთავრობა არ იყო დაინტერესებული ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებული ქართველებისათვის შეექმნა ცხოვრების ნორმალური პირობები, პირიქით, იგი ყოველმხრივ ცდილობდა, ეიძულებინა ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალეთში გადახვეწილიყო და განთავისუფლებულ ადგილებზე რუსი კოლონისტები დაესახლებინა და საზღვრის დასაცავად საიმედო დასაყრდენი შეექმნა.[351] სწორედ ამ პოლიტიკის ნამდვილად შესაშური ენერგიით ცხოვრებაში გატარებამ გამ-

[349] სცსსა, ფ. 416 აღ. 3 საქ. 1172, ფურ. 2-4.
[350] შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან, გვ. 13.
[351] მ. სვანიძე, დას. ნაშ. გვ. 7.

ოიწვია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველ მუსლიმანთაგან დაცარიელება, ხოლო მათ ნაცვლად, ძირძველ ქართულ მიწაზე, იმპერიის ერთგულ მსახურთა მომრავლება.

ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთის იმპერიის შიდა რაიონებში გადასახლების მიზეზი რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკა იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ემიგრაციის პროცესის დაჩქარებისა და ამავე დროს, გადასახლებულთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, იმპერია შესაბამის პირობებს ქმნიდა, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი მხარეში ომისშემდგომ შექმნილი გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობაა.

ცნობილია, რომ 1876 წელს აჭარის მოსახლეობას ოსმალეთის მთავრობამ ორი წლის გადასახადი გადაახდევინა. ამას ომის დამანგრეველი მოქმედებაც დაემატა. განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც საომარი მოქმედებანი მიმდინარეობდა. ასე მაგალითად, ქობულეთის უბნის 20 სოფლიდან დარბეული და გადამწვარი იყო: ხუცუბანი, ქაქუთი, სოფ. ქობულეთი, ციხისძირი, მუხაესტატე, ლეღვა, სამება, კვირიკე, სოფელი გვარა კი საერთოდ აღარ არსებობდა. საცხოვრებელი ბინების გარდა, ჩანაგდებოდა ბაღები და სახნავ-სათესი ნადელები,[352] რაც გლეხის მატერიალური კეთილდღეობის საწინდარი იყო. აქედან გამომდინარე, იოლი წარმოსადგენია, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდებოდა მოსახლეობა. შექმნილ ვითარებას ძალზედ ამაღელვებლად აგვიწერს გ. წერეთელი. ის წერს, - „კინტრიშის გადმოღმა ქობულეთის მხარე სულ გავერანებული იყო, მდიდარი სოფლების მაგივრად აქა-იქ ტიტველა ბუხრის მილებს ამოეყოთ თავი... ხუცუბანში ყოფნა შეუძლებელი იყო... ერთ ნაჭერ პურში

[352] გაზ. „Голос“, 1879 წ. N102, 158.

ექვს შაურს ვაძლევდით, ვისაც შიმშილით სიკვდილი არ უნდოდა ის უნდა, გაქცეულიყო ამ უბედური ადგილებიდან“.[353]

აჭარის მკვიდრთა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას შემდეგნაირად გადმოგვცემს ილია ჭავჭავაძე: „წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მოუტანა უბედურება, მაგრამ აჭარა და ქობულეთი ყოველივეზე მომეტებულად დასაჯა. ჩვენ არ შეგვიძლია, გულგრილად ვუყურებდეთ ჩვენი ძმების უბედურებას, გულგრილად და თუნდაც ცარიელის გულის ტკივილითაც შევყურებდეთ როგორ თრთის და იკრუნჩხება შიშველი ბავშვი სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი შიმშილისაგან ძუძუგამშრალ დედას, როგორ ტყის ნადირივით დაძრწის ღონემიხდილი დამშეული მამა იმედ-დანთებული, რომ რითიმე მიეშველოს სულთმობრძავ ოჯახს“.[354]

სწორედ ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ მოსახლეობას დააკისრა ახალმა ხელისუფლებამ იმპერიისათვის ხარკის გადახდა. ყოველივე ეს მაშინ ხდებოდა, როცა ოსმალეთის ხელისუფლება აჭარის მკვიდრთ გადასახლების შემთხვევაში, სხვადასხვა მოვალობათა მოხდისას რიგ შეღავათებს ჰპირდებოდა. ცდუნება მართლაც დიდი იყო. აქ ხელისუფლების მხრიდან ცოტაოდენი დახმარების შემდეგ, გლეხკაცს სრულად უნდა მოეხადა ვალდებულება, ხოლო იქ, ოსმალეთში, შეღავათებს ჰპირდებოდნენ. ასეთ გაუგებარ მდგომარეობაში აღმოჩენილ მოსახლეობას ცარიზმმა, მათი ოსმალეთში გახიზვნის მიზნით, ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა საერთოდ აუტანელი გაუხადა. გადასახადის ნაადრევად გაწერის უარყოფით ზეგავლენაზე ნიკო ნიკოლაძე წერს: „ხალხმა ვერც კი მოასწრო ომის უბედურებისა და დარბევისაგან თავის დაღწევა, რომ მათგან გასულ წელს გადასახადი აიღეს 6-დან 10 მანე-

[353] გაზ. „დროება“, 1879 წ. N 32.
[354] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 28.

თამდე და ამავე დროს მისი აკრეფისათვის ყველაზე უხეშ მეთოდებს იყენებდნენ. აუცილებელი იყო ხალხისათვის შეღავათების მიცემა რამდენიმე წლით... ყოველ შემთხვევაში, ბერლინის კონგრესის მიერ დადგენილ გასახლების სამი წლის განმავლობაში“.[355]

ხელისუფლების ამგვარ საქმიანობას აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილი ღია პროტესტით შეხვდა. გაზეთი „დროება“, გადმოგვცემს რა ზემო აჭარის 1878 წლის ამბებ, სწერს: ზემო აჭარაში აღწერა ჩატარდა, რომელმაც მშვიდობიანად ჩაიარა. აღწერილ სოფელთა მოსახლეობამ მეჯლისის წევრებს თხოვნით მიმართა, რომ ისინი ფიქრობენ ოსმალეთში გადასვლას და ამიტომ ხელისუფლებამ გადასახადი არ გადაახდევინოს, რადგანაც ამ უკანასკნელი ომისგან ისედაც გაღარიბებული და შეწუხებულები ვართო. მეჯლისის წევრებმა განუმარტეს, რომ ეს საქმე ბათუმის უფროსს უკვე გადაუწყვეტია და მისი შეცვლა არ მოხდებაო. განრისხებულმა ხალხმა აღწერის შედეგები გაანადგურა.[356]

ახალმა ხელისუფლებამ, გარდა იმისა, რომ დამკვიდრებისთანავე ომისგან შევიწროებულ მოსახლეობას გადასახადები დააწერა, ასევე დაიწყო ვაჭრობაზე ადრე დაწესებული საგადასახადო სისტემისა და მოვალეობათა შეცვლა, მისგან შემოსავლის გაზრდის მიზნით. ასე მაგალითად, 1879 წლის 27 ოქტომბერს, იმპერატორის უმაღლესი ბრძანების თანახმად, ყარსსა და ბათუმში შემოიღეს ახალი საგადასახადო სისტემა, რომელიც სასმელით, მარილითა და თამბაქოთი ვაჭრობას ეხებოდა.[357] რუსულმა მმართველობამ შეცვალა მდ. ჭოროხზე ნაოსნობისათვის დაწესებული ტარიფები. თუ ოსმალთა მმართველობისას მდინარეზე ნაოსნობისათვის ნავების მეპატრონეები გადასახადს ყველა გაკეთებული რეისისთვის იხდიდნენ, ახლა მათ დაეკისრათ წლიური გადასახადი, რაც, გუბერნატორის მოსაზრებით, გაზრდიდა ოლქის შემოსავალს.[358]

[355] გაზ.„დროება“, 1879 წ. N 14.
[356] გაზ.„დროება“, 1878 წ. N 267.
[357] სცსსა, ფ. 416, აღ. 3, საქ. 849, ფურც. 2.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის ხელისუფლებამ ბათუმის ოლქის შემოერთებისას მოსახლეობას აღუთქვა, რომ გადასახადები და ვალდებულებანი ძველი დარჩებოდა, მაგრამ როგორც ყოველთვის, დანაპირები მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. 1879 წლის დასაწყისისათვის კავკასიის არმიის უფროსის განკარგულებით, ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე ნატურალური გადასახადის მეათედის ნაცვლად, ფულადი გადასახადი დაწესდა.[359] უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ბჭობა ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა ჯერ კიდევ 1878 წელს დაიწყო. მოტივი კვლავინდებურად იგივე იყო - ხაზინის შემოსავლის გაზრდა.[360]

საინტერესოა, თუ რა მიზნისათვის იყენებდა მმართველობა მოსახლეობისაგან აკრეფილ თანხას. გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი მართლაც „დანიშნულებისამებრ“ ნაწილდებოდა. ასე მაგალითად, 1880 წლის დასაწყისისათვის მმართველობამ გამოყო რამდენიმე ათასი მანეთი ბათუმის ოლქში ჩამოსახლებული რუსი და გერმანელი კოლონისტების ყოფის მოსაწყობად, რადგანაც ისინი სახლდებოდნენ იქ, სადაც ადრე მუსლიმანები ცხოვრობდნენ.[361]

გადასახადთა აკრეფის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება მხარის ადმინისტრაციის მოწყობა და მისი შენახვა იყო. კავკასიის არმიის მთავარსარდალი, მიმართავდა რა ყარსისა და ბათუმის ოლქის გუბერნატორს, 1879 წლის 16 მაისს წერდა: „მოსახლეობისგან გადასახადი ამოღებული უნდა იქნას ამ

[358] სცსსა, ფ. 7, აღ. 1, საქ. 2126, ფურც. 3-4.
[359] სცსსა, ფ. 7, აღ. 4, საქ. 1107, ფურც. 4.
[360] სცსსა, ფ. 7, აღ. 4, საქ. 1107, ფურც. 2-5.
[361] სცსსა, ფ. 7, აღ. 4, საქ. 1293, ფურც. 1-2.

მხარის მმართველობის შესანახად“.[362] იმპერიის გაბერილი სამოხელეო აპარატის შენახვა აჭარელ გლეხკაცს საკმაოდ ძვირად უჯდებოდა. თითოეული მათგანი ჩინოვნიკთა კეთილდღეობისათვის 1, 40 მანეთს იხდიდა.[363]

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, იმპერიამ გადასახადების ნაადრევად გაწერით, საგადასახადო სისტემისა და მოვალეობათა დამძიმებით, ფაქტობრივად იდეალური პირობა შეუქმნა აჭარის მკვიდრთ ოსმალეთში გასასახლებლად. აღნიშნულ მოვლენას შემდეგნაირად აფასებს გაზ. „გოლოსი“: „ბათუმის ოლქელთა გადასახლება სულაც არ იყო ნაყოფი მოლების აგიტაციისა. ეს გარემოება ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ ეკონომიკურ მდგომარეობაში, რომელიც შეიქმნა 1877-1878 წლების ომის შემდეგ. დღეისათვის ბათუმის ოლქის ეკონომიკური მდგომარეობა სიღარიბის უკიდურეს ზღვარზეა დასული... ასეთ კრიტიკულ მომენტში მათგან გამოსაღებსა და სხვადასხვა გადასახადს იღებენ.“[364]

მუსლიმან ქართველთა ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ეკონომიური ფაქტორი რომ იყო, ამის კიდევ ერთ დასტურს გაზ. „დროება“-ში ოსმან-აღა-ძის მიერ მოთხრობილი ამბავი გვაძლევს: „ჩვენც რომ დავინახეთ, მეტი გზა აღარ გვქონდა, დავაძალეთ ჩვენს ფუხარას შეძლება და დიდის გაჭირვებით გამოვიღეთ კომლზე ხუთ-ხუთი მანეთი“.[365] მაგრამ, ეს „ნაჩალნიკისათვის“, ბ. ყორღანოვისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მან მოსახლეობისაგან მოვალეობის სრულად მოხდა მოითხოვა, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი გადასახადის გაზრდით დაემუქრა. უკმაყოფილო ხალხმა „იგრიალა და ერთად რამდენიმე ასი კომლი (წარსულ ზაფხულში) გადაიხვეწა ოსმალეთში“.[366]

[362] სცსსა, ფ. 7, აღ. 4, საქ. 1107, ფურც. 27.
[363] სცსსა, ფ. 416, აღ. 3, საქ. 163, ფურც. 42.
[364] გაზ. „Голос“, 1881 წ. N 95.
[365] გაზ. „დროება“, 1881 წ. N4.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვით რუსულმა მმართველობამ აღიარა მხარეში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობები[367] და იძულებული შეიქნა შეერბილებინა ამ მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკა. ასე მაგალითად, შემსუბუქდა ხარჯის (თახშირის) გადასახადი,[368] მაგრამ იმპერიის მიერ განხორციელებული ეს აქტი ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, ამიტომ გადამწყვეტი გავლენა არ ჰქონდა მისი პოლიტიკის არსზე.

რუსეთის იმპერიის ბათუმის ოლქის მაცხოვრებელთა ეკონომიკური მდგომარეობისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმდროინდელი ქართული საზოგადოების ელიტარულ წრეში. მუსლიმანი ძმების გადასახლებით შეძრწუნებულნი, ისინი ერთგვარ რჩევა-დარიგებას აძლევდნენ ხელისუფლებას ამ მხარეში ეკონომიკური პოლიტიკის გატარების თაობაზე. აი, როგორ მიმართავს გიორგი წერეთელი მთავრობას: „თუ გინდათ არეულობა დაცხრეს ბათუმის მაზრაში და აჭარა-ლივანაში, ჯერ გადასახადს ნუ გამოართმევთ, გამოიყვანეთ ის მილიცია, რომელიც ოსმალეთის მთავრობის ხელში იყო და იმსახურეთ, მიეცით უწინდელ მოსამსახურე ბეგებს თავისი შესაფერი თანამდებობები, და მაშინ ნახავთ, რომ აჭარა-ლივანის და ბათუმის ხალხი პირველი ერთგული ხალხი გახდება ჩვენი მთავრობის.“[369] აღნიშნულთან დაკავშირებით იმავე აზრისაა სერგეი მესხი. ის წერდა: „თუ გვინდა ჩვენ აჭარისა და ქობულეთის თანაგრძნობა დავიმსახუროთ და ესენი არ გასახლდნენ ოსმალეთში, რომ ამით უდაბნოთ არ გადააქციონ

[366] იქვე.
[367] სცსსა, ფ. 416, აღ. 3, საქ. 820, ფურც. 50.
[368] გაზ. „დროება“, 1880 წ. N168.
[369] გაზ. „დროება“, 1879 წ. N 24.

ეს მშვენიერი ქვეყანა, ამთავითვე მაინც კაცურად უნდა მოვეპყრათ და სამი-ოთხი წლით ვადროვოთ აშარისა და სხვა ყოველივე ხარჯის გადახდა. ეს ხარჯი ხაზინას ვერ გაამდიდრებს და გაღატაკებულ ხალხს კი გულს მოუბრუნებს.“[370]

აჭარის მკვიდრთა ეკონომიკურ მდგომარეობას, გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენებისა, კიდევ უფრო ამძიმებდა და ყოველმხრივ აუარესებდა სხვა ფაქტორებიც. კერძოდ, ბათუმში პორტო-ფრანკოს მოქმედება, მაღალი სოციალური წრის - ბეგებისა და აღებისათვის საარსებო წყაროს მოსპობა და ა. შ. (დაწვრილებით იხ. ქვემოთ)

ქართველ მუსლიმანთა მუჰაჯირობის ერთ-ერთ უთავრეს პირობას რუსული ადმინისტრაციის ადგილობრივი თავადაზნაურობისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავდა. ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ამ სოციალური წრის თავიდან მოცილებით იმპერია ორი საქმის ერთდროულად გაკეთებას ვარაუდობდა. აქედან გამომდინარე, არც აჭარაში შეიცვალა ამ სოციალური წრისადმი მთავრობის დამოკიდებულება.

აღსანიშნავია, რომ თანზიმათის გატარების შემდეგ, მართალია, ბეგებმა დაკარგეს გარკვეული პრივილეგიები, მაგრამ მყარი ავტორიტეტი და ძალაუფლება მაინც შეინარჩუნეს.[371] თავის მხრივ, ეს ფაქტი ჯერ კიდევ გიორგი ყაზბეგს შეუნიშნავს. ის აღნიშნავს, რომ მიუხედავად თანზიმათის გატარებისა, მოსახლეობის მხარდაჭერით, ბეგებმა შეძლეს რიგი პრივილეგიების შენარჩუნება.[372] იგივე მდგომარეობაზე მიუთითებენ ს. მესხი,[373] ე. ვეიდენბაუმი[374] და სხვანი. აღნიშნულთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა გაზეთ „გოლოსის“ ფურცლებზე

[370] გაზ. „დროება“, 1880 წ. N 4; შ. მეგრელიძე, დას. ნაშ. გვ. 20.
[371] ი. ბარამიძე, დას. ნაშ. გვ. 67.
[372] Г. Казбег, Три месяца в Турецкой Грузии, Тиф. 1875 г. стр. 35-36.
[373] გაზ. „დროება“, 1878 წ. N 176.
[374] Е. Вейденбаум, от Батума до Артвина, Тиф. 1901 г. стр. 117.

აჭარის მოსახლეობისადმი რუსული მმართველობის უნდობლობის ახსნის მიზნით გადმოცემული ამბავი: “..აი, მაგალითად, პორტამ ხალხის მართვის მიზნით აჭარაში განათლებული მოხელე გააგზავნა. ხალხმა კი ის, ბეგების წაქეზებით, ცემა და თავისი ქვეყნიდან განდევნა.“[375]

როგორც ვხედავთ, აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ადგილობრივი დიდებულები საკმაო ძალაუფლებას ფლობდნენ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გაბატონებული სოციალური წრის ასეთი მდგომარეობა მოსახლეობის ფართო მასებისათვის ყოველთვის ხელსაყრელი როდი იყო. გიორგი წერეთელის სიტყვებით რომ ვთქვათ: „თავნება ბეგები აკეთებდნენ რაც მათ სურდათ: ყაჩაღობდნენ, კონტრაბანდას ეწეოდნენ, ხალხს ძარცვავდნენ და ა. შ. და აი ამ ბეგებს სრულიადაც არ უხაროდათ რუსეთის მფლობელობა.“[376] მართლაც, აჭარაში რუსული მმართველობის დამყარებისას ოსმალეთის ხელისუფლება ადგილობრივ ბეგთა დახმარებით მოსახლეობას თავისთან მიერეკებოდა. გარდა ამისა, რუსული გამგეობის დამყარებამდე აჭარის მკვიდრთა გადასახლებაში დიდი როლი აქაურ დიდებულთა აგიტაციამაც ითამაშა. აი, რას წერს ზაქარია ჭიჭინაძე: „გრიგოლ გურიელმა თხოვა, რომ ის წასულიყო ხოლო ხალხი დაეტია. ალი ფაშამ უპასუხა - მე უნდა ვეცადო, რომ რაც შეიძლება ბევრი ხალხი გადავასახლო აქედან, რომ მისი საშუალებით სულთნის წინაშე ჩემი ერთგულება დავამტკიცო.“[377] მსგავს საქმიანობას სხვა ბეგებიც ეწეოდნენ. ასე მაგალითად, ვინმე ხემპერ (ყემბერ, - ჯ. ვ.) აღა ფაშიოღლის მეოხებით მრავალი ქართველი მაჰმადიანი გადასახლდა ოსმა-

[375] გაზ. „Голос“ , 1879 წ. N 195.
[376] გ. წერეთელი, პუბლიცისტიკური მემკვიდრეობიდან, თბ. 1973 წ. გვ. 203.
[377] ზ. ჭიჭინაძე, თავდგირიძეთა გვარის ღალატი და ალი ფაშა თავდგირიძე, ახალ-სენაკი, 1896 წ. გვ. 40-41.

ლეთში.[378] როგორც ვხედავთ, აჭარის დიდებულთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველმხრივ შეუწყო ხელი აქაურთა უცხოეთში გასახლებას.

თუმცა, აჭარის დიდებულთა ძირითადი ნაწილი და მოსახლეობაში ავტორიტეტის მქონე ცალკეული პიროვნებები რუსული მმართველობის დამყარებას მშვიდობიანად შეხვდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი აცხადებდა, რომ მზადაა ითანამშრომლოს ახალ ხელისუფლებასთან, თუ ის დაიცავს მის ინტერესებს.[379] საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლებასა და აჭარის დიდებულებს შორის თანამშრომლობა და ჯანსაღი ურთიერთობის საქმეში პირველი ნაბიჯი ქართველ მუსლიმანთა მხრიდან იქნა გადადგმული. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ხიმშიაშვილთა საგვარეულოს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება რუსეთის ხელისუფლებასთან, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ მე-19 ს. დასაწყისში იღებს, ხოლო 1877-1878 წლების ომის მსვლელობისას ამ საგვარეულომ რუსეთს უშუალო დახმარებაც კი აღმოუჩინა. აქვე აღსანიშნავია ყემბერ აღა ჭყონიას 150 კაცისაგან შემდგარი რაზმის საომარ ოპერაციათა მსვლელობისას რუსთა მხარეზე გამოსვლა და სხვა მრავალი ფაქტი.

სამწუხაროდ, რუსულმა მმართველობამ თავისი ხელისუფლების დამყარების პირველივე დღიდან ფართო მასშტაბით გაშალა საქმიანობა, რომლის უმთავრესი მიზანი აღა-ბეგების პოლიტიკური ძალაუფლებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მოსპობა იყო. გიორგი წერეთელი წერს, რომ ბათუმში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ ბეგებმა დაკარგეს სამსახური, რაც გახდა მიზეზი მათი ოსმალეთში ემიგრაციისა.[380]

[378] გაზ. „ივერია“, 1891 წ. N 171.
[379] ი. ბარამიძე, დას. ნაშ. გვ. 67.

1880 წლის დეკემბერში ბათუმში მივლინებული იქნა მეფისნაცვლის სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი სტაროსელსკი. მისი მიზანი იყო, გაერკვია ამ უწყებისადმი დაქვემდებარებული მოსახლეობის საჩივრების საფუძველი. სტაროსელსკი წერს: „ადგილზე საქმის ვითარების გარკვევის შემდეგ გამოვლინდა, რომ ბათუმში ჩვენი მმართველობით ყველაზე მეტად უკმაყოფილოა უმაღლესი წოდების წარმომადგენლები, ბეგები. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკმაყოფილებას გამოთქვამენ სხვა სოციალური წრის წარმომადგენლებიც. ბათუმის ყველაზე გავლენიანმა 10 ბეგმა მთხოვა, რომ მათ საიდუმლოდ შევხვედროდი. შეხვედრაზე ბეგებმა განმიცხადეს, რომ მათ თურქთა ბატონობის დროს აქ, ბათუმში ჰქონდათ სამსახური და რეალური ძალაუფლება. სამსახურისათვის ისინი იღებდნენ ჯამაგირს. ეხლა კი სამსახური არ აქვთ და ისინი მოწყვეტილი არიან საარსებო წყაროს. ამიტომ ბევრმა ბეგმა, მათივე თქმით, დაიწყო არცთუ ისე კარგი და კანონიერი საქმიანობა. ასე მაგალითად: ზოგიერთმა ბეგმა, იმის გამო, რომ აღარ ჰქონდა საარსებოდ რაიმე საშუალება, დაიწყო მოსახლეობის აგიტაცია თურქეთში გადასასახლებლად.“[381]

სტაროსელსკის პატაკის მოცემული მონაკვეთიდან ნათლად ჩანს, რომ ბეგთა მიერ რეალური ძალაუფლებისა და საარსებო წყაროს დაკარგვას თან მოჰყვა მათი უცხოეთში გადახვეწა, რამაც, თავის მხრივ, მოსახლეობის დიდი ნაწილის მუჰაჯირობა გამოიწვია.

ამავე პატაკში, არკვევს რა ბეგების ამგვარ ყოფაში ჩავარდნას, ის წერს: „ბეგების შემდეგ მე ვესაუბრე ბათუმის ოლქის

[380] გაზ. „დროება“, 1879 წ. N 24.
[381] სცსსა, ფ. 5, აღ. 1, საქ. 7089, ფურც. 1-3.

სამხედრო გუბერნატორს, რომელმაც საუბრისას აღნიშნა, რომ მან, ჩამოაშორა რა ბეგები სამსახურს, ამით დაამკვიდრა რუსული მმართველობა ხალხში. მისი აზრით, ბეგებს არ უნდა მიეცეთ სამსახური, რადგანაც ეს შეუნარჩუნებს მათ ავტორიტეტს, რაც, თავის მხრივ, წამგებიანია რუსეთისათვის."[382] როგორც ვხედავთ, ადგილობრივი რუსული მმართველობა წინასწარ დასახული მიზნით მოქმედებდა, რომლის მთავარი ამოცანა მკვიდრთა თავიდან მოცილება იყო.

სამართლიანობის გამო უნდა აღინიშნოს, რომ სტაროსელსკი ხელისუფლების ამგვარ დამოკიდებულებას აქაურ დიდებულებისადმი და, საერთოდ, ხალხისადმი, არ მიიჩნევს მართებულად. ის მოითხოვს უმაღლესი მმართველობისაგან აჭარაში რუსული პოლიტიკის შერბილებას, ბეგთა დასაქმებას და ხალხისათვის იმ პირობების შექმნას, რომელიც მათ სამშობლოში დარჩენის საშუალებას მისცემს.[383] თუმცა, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მაღალჩინოსნის მოთხოვნისა, იმპერიის პოლიტიკის მაგისტრალური ხაზი არ შეცვლილა.

მუსლიმანი დიდებულების მუჰაჯირობის მასშტაბების გაზრდას ხელი შეუწყო ახალი ხელისუფლების მიერ იმ პენსიების გაცემაზე უარის თქმამ, რომელიც მათ ოსმალთა ბატონობის პერიოდში ჰქონდათ დანიშნული. როგორც ცნობილია, თანზიმათის შემდეგ ოსმალეთმა ბეგებს, რომელთა საკარგავები სახელმწიფო საკუთრება გახდა, პენსია დაუნიშნა.[384] ასე მაგალითად, ბერლინის კონგრესის დადგენილებამდე აჭარაქობულეთის 19 ბეგი პენსიას ღებულობდა.[385] რუსულმა მმართველობამ რიგი მოსაზრებათა გამო უარი განაცხადა პენსიის

[382] სცსსა, ფ. 5, აღ. 1, საქ. 7089, ფურც. 3.
[383] სცსსა, ფ. 5, აღ. 1, საქ. 7089, ფურც. 5.
[384] სცსსა, ფ. 229, აღ. 1, საქ. 30, ფურც. 62.
[385] აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი N640, გვ. 34-35.

გაცემაზე. 1880 წლის 29 დეკემბრის კავკასიის მთავარმართებლის პატაკში ვკითხულობთ: „ბეგების რაოდენობა, რომელთაც, ჩამორთმეული მამულების ნაცვლად, ოსმალეთი აძლევდა პენსიას, ძალზედ დიდია. ამიტომ მისი გაცემა შეუძლებელი გახდა, რადგანაც ხაზინა დაკარგავს მნიშვნელოვან თანხას. ამიტომ გადაწყდა, რომ ის ბეგები, რომელნიც არ ისურვებენ ამ სამი წლის განმავლობაში აქ დარჩენას, ვერ მიიღებენ პენსიას. ხოლო ის ბეგები, რომელნიც დარჩებიან ჩვენი ხელისუფლების ქვეშ, მიეცემათ პენსია, მაგრამ როცა გათავდება თავისუფალი გადასახლების ვადა. ამავე დროს, უნდა შემოწმდეს საბუთები და ბარათები, რომლის მიხედვით მათ ეძლეოდათ პენსია."[386]

როგორც ვხედავთ, ხელისუფლება ორმაგ პოლიტიკას თამაშობდა. ის უარს არ ამბობდა პენსიათა გაცემაზე, მაგრამ მხოლოდ გადასახლების ვადის, ანუ სამი წლის გასვლის შემდეგ. ასეთი გადაწყვეტილების გამოტანით მთავრობა ფაქტობრივად იდეალურ პირობას უქმნიდა შემოსავალდაკარგულ ბეგებს უცხოეთში გადასახვეწად.

საინტერესოა, თუ რა მოტივაციას უდებდა საფუძვლად რუსული მმართველობა ბეგებისათვის პენსიის გაცემაზე უარის თქმას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია სიძველეთა საცავში მოპოვებული ერთი დოკუმენტი. მასში მოცემულია ყარსის გუბერნატორის მოსაზრება, რომელიც ბათუმის ოლქსაც ეხება. დოკუმენტში ვკითხულობთ: თურქთა ხელისუფლების დროს აქაური ბეგები, ფლობდნენ რა განუსაზღვრელი უფლებებით მამულებს, იღებდნენ მათგან შემოსავალს. როცა მთავრობამ (ოსმალეთმა, - ჯ. ვ.) ჩაატარა რეფორმა, დიდებულთა კუთვნილი მიწები წაიღო ხაზინაში. სანაცვლოდ მიწებისა, მთავრობამ მათ მისცა მზამზარეული ფული. თავის მხრივ, ყოველივე ეს მიმართული იყო იქითკენ, რომ ბეგებს ერთგულად ემსახურათ

[386] სცსსა, ფ. 229, აღ. 1, საქ. 30, ფურც. 8.

ხელისუფლებისათვის. საწინააღმდეგო შემთხვევაში მათ დანიშნული თანხა არ მიეცემოდათ.

ჩნდებოდა კითხვა: ოსმალო აძლევდა მათ ფულს სანაცვლოდ იმ მიწებისა, რომელიც წაიღო ხაზინაში. ბეგებს კი, თავის მხრივ, ერთგულად უნდა ემსახურათ ხელისუფლებისათვის. გვჭირდება ამ ხალხის ერთგულება და სამსახური? გარდა ამისა, როგორც ჩანს, თურქეთის ხელისუფლებამ ბეგებისგან იყიდა ის მიწები, რომლებიც გადავიდა ხაზინის საკუთრებაში,. მაგრამ რადგანაც ხელისუფლებას არ ჰქონდა საამისოდ ერთბაშად გადასახდელი თანხა, მთავრობამ ბეგებს დაუნიშნა პენსია. ე. ი. ბეგები იყვნენ კრედიტორები ოსმალეთის ხელისუფლებისა. კონსტანტინეპოლის ტრაქტატში არ შესულა მუხლი კრედიტორების დაკმაყოფილების შესახებ. ამიტომ ამ ხალხზე პენსიის მიცემა ნიშნავს კრედიტის გადახდას და არა მიწის სანაცვლოდ პენსიის მიცემას. ამიტომ თუ ჩვენ დავიწყებთ პენსიის ანუ კრედიტის მიცემას, მაშინ სხვა კრედიტორებიც დაიწყებენ დავას, მაგალითად, ისეთები, რომლებმაც ოსმალეთის ხელისუფლებას კრედიტით მისცეს იარაღი, თოფები, სურსათი და სხვა. აქედან გამომდინარე, მათ პენსია მიწების გამო არ უნდა დაენიშნოს. მით უმეტეს, რომ რაც ეკუთვნის ერთი სახელმწიფოს ხაზინას, ის მეორეს ხაზინაში გადადის.[387]

როგორც ვხედავთ, რუსულმა ხელისუფლებამ ადგილობრივი დიდებულები იმ კრედიტორებს გაუთანაბრა, რომლებმაც მასთან ომის წარმოებისათვის ოსმალეთის იმპერიას სურსათსანოვაგე და იარაღი მიაწოდა. ამით ახალმა მმართველობამ მუსლიმან ქართველებს დასდო ბრალი მის წინააღმდეგ მოქმედებაში. აქედან გამომდინარე, იმპერიის ნდობას მოკლებული ხალხი, „რა თქმა უნდა, სასწრაფოდ იყო თავიდან მოსაცილებელი.“ ამიტომაც რუსულმა მმართველობამ არაფრად ჩააგდო

[387] სცსსა, ფ. 229, აღ. 1, საქ. 30, ფურც. 57-59.

აჭარელ დიდებულთა თხოვნები, რომლებიც მიმართული იყო მათი ძალზედ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად.[388]

ბეგების რუსულ მმართველობასთან ურთიერთობის საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა მიწისმფლობელობის საკითხის გარკვევას ენიჭებოდა. ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ადგილობრივი დიდებულები მიწის ნაკვეთებს მთავრობის მიერ გაცემული საადგილმამულო აქტების საფუძველზე ფლობდნენ. ეს უფლება მათ რუსული ადმინისტრაციის დამკვიდრების შემდეგაც შეუნარჩუნდათ.[389] მაგრამ, დიდებულთა კუთვნილი მიწების ფართობი არასდროს არ ემთხვეოდა საბუთში მოცემულ ნაკვეთის მოცულობას. საბუთში თითქმის ყოველთვის აღინიშნებოდა როგორც ნაკვეთის სიდიდე, რომელიც დონუმებში იზომებოდა, ასევე მისი საზღვრები. ახალი ხელისუფლება ყურადღებას აქცევდა დოკუმენტში მითითებულ დონუმების რიცხვს და არა საზღვრებს. ბეგები კი, ისევე, როგორც მოსახლეობის სხვა ფენები, გადასახადის შემცირების მიზნით, რეალურთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ფართობს აჩვენებდნენ მიწისმფლობელობის დოკუმენტში.[390] ამან გამოიწვია წინააღმდეგობა დიდებულებსა და მმართველობას შორის. რადგანაც ბეგები ხელისუფლებისგან მოითხოვდნენ ნადელის იმ რაოდენობით დამტკიცებას, რომელიც ფაქტიურად ეკუთვნოდათ მათ, ხოლო ხელისუფლება კი პირიქით, მხედველობაში მხოლოდ დოკუმენტით განსაზღვრულ რაოდენობას იღებდა.[391]

[388] სცსსა, ფ. 229, აღ. 1, საქ. 30, ფურც. 85.
[389] შ. მეგრელიძე, დას. ნაშ. გვ. 37.
[390] ი. ბარამიძე, დას. ნაშ. გვ. 68.
[391] ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათ. 1960 წ. გვ. 80-82.

ამრიგად, პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოცილებული და საარსებო წყაროს მოკლებული ადგილობრივი დიდებულები იძულებული გახდნენ, მიეტოვებინათ სამშობლო და ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში გადასახლებულიყვნენ. თავის მხრივ, ეს პროცესი მით უფრო სამწუხარო და ავის მომტანი იყო იმით, რომ აღა-ბეგებს, თავისი ავტორიტეტისა და ოსმალეთის ფარგლებში ეკონომიკური კეთილდღეობის გარანტიის მიზნით, მოსახლეობის ფართო მასები მიჰყავდათ. ასე მაგალითად, სიძველეთა საცავში გამოვლენილ დოკუმენტებში ვკითხულობთ: ..ბეგები მათი მდგომარეობის გაუარესების გამო იძულებულნი არიან გადასახლდნენ...ხოლო სულთნის კარზე ავტორიტეტის წამოწევის მიზნით მათ თან ყოფილი ქვეშევრდომები მიჰყავთ.[392]

აჭარის მოსახლეობის მუჰაჯირობის პროცესში თავისი უარყოფითი როლი ბათუმის პორტო-ფრანკოდ მოწყობამ ითამაშა. მართალია, ქალაქის ამ სახით გამოცხადება არ იყო დამოკიდებული რუსეთის იმპერიაზე, მაგრამ მან ეს მომენტიც თავისი იმპერიული ინტერესების გასატარებლად გამოიყენა. ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესზე, როცა გადაწყდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების საკითხი, რუსეთის მხარემ განაცხადა, რომ ეს ხელს მისცემს ევროპის ყველა ეკონომიკურად დაწინაურებულ სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი ინგლისს. მართლაც, ევროპის სახელმწიფოთა იაფ და ხარისხიან საქონელს შეეძლო დაეპყრო ბათუმის ბაზარი, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო რუსეთისათვის. იმპერია ყველა ზომას იღებდა, რომ პორტო-ფრანკოს მისი ინტერესებისათვის ზიანი არ მიეყენებინა, ამიტომაც რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ შესაბამისი დადგენილებანი მიიღო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა

[392] სცსსა, ფ. 229, აღ. 1, საქ. 30, ფურც. 82-83. ანალოგიური ცნობაა დაცული, აჭარის სახ. მუზეუმის რუსულ ხელნაწერთა ფონდი N 223, 1-4.

ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების მე-14 და მე-15 პარაგრაფები, საიდანაც ირკვევა, რომ ბათუმიდან სახმელეთო გზით გასვლისას ცალკეული პირები უნდა შემოწმებულიყვნენ საგუშაგოებზე, როგორც საზღვარზე გადასვლისას. საქონლის გატანა პორტო-ფრანკოს სასაზღვრო ზოლიდან დაშვებული იყო მხოლოდ იქ, სადაც ფუნქციონირებდა საბაჟო დაწესებულებები. საბაჟო გადასახადს ექვემდებარება ყველა საქონელი, გარდა რუსული ნაწარმისა. აქვე აღნიშნული იყო ისიც, რომ დადგენილი წესების დარღვევა ისჯებოდა კავკასიაში მოქმედი საბაჟო წესდების შესაბამისი დადგენილების მიხედვით.[393]

როგორც ვხედავთ, ხელისუფლებამ საკუთარი მრეწველობისა და ვაჭრობის დაცვის მიზნით საკმაოდ ეფექტური ზომები მიიღო, მაგრამ აღნიშნულ ღონიძიებათა ცხოვრებაში გატარებისას ის აბსოლუტურ იგნორირებას უწევდა აჭარის მკვიდრი მოსახლეობის სავაჭრო, ეკონომიკურ ინტერესებსა და წეს-ჩვეულებებს.

ჯერ კიდევ 1878 წელს ბათუმში მყოფი ე. ვეიდენბაუმი შენიშნავდა: „პორტო-ფრანკო არათუ ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას, არამედ ზღუდავს შემოგარენის მცხოვრებთ. ბათუმიდან ძნელია რაიმეს გატანა... ბათუმში არსებული საქონელი თითქოსდა ახლომახლო სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვისაა გათვალისწინებული. ისინი მართლაც მოდიან ბათუმში, ყიდიან ჩამოტანილ პროდუქტს და, ყიდულობენ რა რამდენიმე არშინ ნარმას, ბრუნდებიან უკან... ამ დროს კორდონის მცველნი აჩერებენ მათ და თხოვენ ბაჟის გადახდას, რაზედაც ისინი ხშირად უარს ამბობენ. ამისათვის მათ უკანვე ქალაქში აბრუნებენ. ასეთი შემთხვევები მოსახლეობას რუსული წესების წინააღმდეგ განაწყობს.“[394]

[393] აჭარის ცსა, ფ. N 13, საქ. 41, ფურც. 57-62.
[394] Е. Вейденбаум, დას. ნაშ. გვ. 109.

პორტო-ფრანკოს რუსული მოდელის რეჟიმის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფული მდგომარეობის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა იმდროინდელმა ქართულმა საზოგადოებამ. „დროება“, „გოლოსი“, „ობზორი“ სისტემატიურად აქვეყნებდა სტატიებს, სადაც სამზეოზე გამოჰქონდათ პორტო-ფრანკოს კუთხის ცხოვრებაზე დამღუპველი ზეგავლენა.

1879 წელს „დროება“ წერდა: „...იყიდიან რაიმეს და იმასაც მამასისხლად, სამი ოთხი არშინის ჩანახევის გამოტანა არ შეუძლიათ უბაჟოდ და მთელი დღე დამოჟნიის კარებზე დგას ბეჭდის დასასმელათ... ხალხს თავის ეზოში მოწეულის ხილის გაყიდვაც არ შეეძლო მოხელის ბილეთის გარეშე“.[395]

სერგეი მესხი სტატიაში - „ბათუმის მაზრის მდგომარეობა“ - წერს: „ნახევარი ალაბი საახალოხე ჩითი და საპერანგე მიტკალი ვერ უყიდნია გლეხს ისე, რომ არ გააჩერონ საბაჟოზე, სადაც ბეჭედი უნდა დააკრან. ადრე მოდიოდა ბათუმში გლეხი, ყიდულობდა ოსმალოს და ფრანგის საქონელს და უშიშრად მიდიოდა შინ, იცოდა, რომ საბაჟოს ყაჩაღები შინ არ დაუხვდებოდნენ და არ წაართმევდნენ ნავაჭრს. ახლა კი ამ პორტო-ფრანკოს შემოღებამ ეს გვიყო: ამას წინათ ერთ ჩაქველ გლეხს ვიღაც მოკვდომოდა, ბათუმში მოსულიყო, ეყიდნა მიცვალებულისათვის სასუდარეთ რამდენიმე ალაბი მიტკალი და რადგან ეგონა მიცვალებულისათვის მიმაქვსო, ბაჟს არ მთხოვენო, არ შეევლო დამოჟნაში ბეჭდის დასაკრავად, მაგრამ გზაზე დახვდნენ და ეს მიტკალი სულ წაერთმიათ...“[396]

შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო ხელისუფლების ჩინოსანთა თვითნებობა ართულებდა. 1882 წელს ბათუმში ჩამოსული დავით კლდიაშვილი შემდეგნაირად აგვიწერს აქაურ მდგომარეობას: „...პორტო-ფრანკოს დროს ქალაქის გარშემო სადარაჯოები იყო, ყოველი გამვლელ-გამომვლელი იჩხრიკებოდა. გატანილ ნავაჭრზე, რაც უნდა მცირე ყოფილიყო, ბაჟი უნდა გადაეხადა. აქ, რასაკვირველია, დარაჯებიდან ათასი თვითნებობა და შევიწროება ხდებოდა. ერთი სიტყვით, სოფლელები, რომელნიც ქალაქს ვერ რჩებოდნენ, ძლიერ გაჭირვებულნი იყვნენ.[397]

ან კიდევ: „ერთი აჭარელი კაცი მიდიოდა ცხენით ბათუმიდან სახლში. კახაბრის დამოჟნიის პოსტზე სალდათებმა უპოვეს ამ კაცს უნაგირის ქვეშ სამი უბრალო ხელსახოცი. დაიჭირეს და წარადგინეს საცა ჯერ არს, როგორც კონდრაბანდის მიმქონი. დამოჟნიის კანონებით მეკონტრაბანდეს უნდა გადახდეს ხუთჯერ მეტი იმ ფასისა, რაც დაჭერილი საქონელი ღირს, საქონელიც უნდა გაიყიდოს. უბედური აჭარელი ამას არ დააჯერეს და ცხენიც გაუყიდეს... ცხენი რაღა შუაში იყო, ნუთუ ესეც კონტრაბანდად იცვნეს?“[398]

1880 წელს ბათუმის პორტის უფროსი კონტრ-ადმირალი გრევე, ოლქის მოსახლეობის ოსმალეთში ემიგრაციის გამომწვევი მიზეზების შესწავლის შემდეგ, კავკასიის არმიის გენერალიტეტს წერდა: „მოსახლეობის მიერ სამშობლოს დატოვება, ჩვენი შეხედულებით (იგულისხმება საერთოდ რუსული მმართველობა, - ჯ. ვ.) თითქოსდა არცთუ ისე მნიშვნელოვანი მიზეზებითაა გამოწვეული. მაგრამ ეს მიზეზები ხშირ შემთხვევაში აქაურ მკვიდრთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ვესაუბრე რა პირადად უცხოეთში მიმავალ მოსახლეობას გადასახლების მიზეზთა თაობაზე, მათგან შემდეგნაირი პასუხი მივიღე: „როდესაც ქალაქი სულთანს ეკუთვნოდა, ჩვენ სოფლიდან მიგვქონდა იქ გასაყიდად კვერცხი, რძე, ყველი, თაფლი და საერთოდ ყველაფერი, რაც განკუთვნილი გვქონდა გასაყიდათ, სანაცვლოდ ამისა, ვყიდულობდით ქალაქში, რაც გვჭირდებოდა

[395] გაზ. „დროება“, 1879 წ. N 35.
[396] გაზ. „დროება“, 1879 წ. N 40.

[397] დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზა, ბათ. 1984 წ. გვ. 19.
[398] გაზ. „დროება“, 1883 წ. N 245.

და ვბრუნდებოდით სახლში. არავინ ჩვენ არ გვეხებოდა, მაგრამ ახლა ყველას ისე გვჩხრეკენ, როგორც ქურდებს, და რაც ყველაზე უფრო შეურაცმყოფელია, ამოწმებენ ჩვენს ქალებს. ყოველივე ეს კი ეწინააღმდეგება ჩვენ წეს-ჩვეულებას, ჩვენი აქ დარჩენა აუტანელია, ამიტომ უნდა გავეცალოდ აქაურობას“[399]

ისტორიკოსი ვლადიმერ სიჭინავა, რომელმაც პირველმა დაასახელა პორტო-ფრანკოს რეჟიმის მოქმედება აჭარის მკვიდრი მოსახლეობის მუჰაჯირობის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად, წერდა: „ბათუმის ყველა გზა-ჯვარედინზე საბაჟოები ჩამოყალიბდა და გამვლელ-გამომვლელს პირადი მოთხოვნილების უმნიშვნელო ნივთების გატანაც აუკრძალეს. პორტო-ფრანკოს შედეგად დაწესებული რუსული რეჟიმი იმდენად აუტანელი შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომ ხალხი სტოვებდა თავის მშობლიურ საყვარელ კუთხეს და თურქეთში გარბოდა. მეფის შოვინისტი მოხელეები ხელს უწყობდნენ კიდეც შევიწროებული მოსახლეობის მასობრივ ემიგრაციას.“[400]

იმავეზე მიუთითებს შამშე მეგრელიძე, აღნიშნავს რა პორტო-ფრანკოს მხარის ეკონომიკაზე უარყოფით ზეგავლენას და მას აქაურთა ოსმალეთში ემიგრაციის მიზეზად მიიჩნევს.[401]

როგორც ცნობილია, ნებისმიერ პოლიტიკურ დოქტრინას ცხოვრებაში გატარება, ანუ ხორცშესხმა ესაჭიროება. რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის გამტარებლად სამუსლიმანო საქართველოს იმპერიის ერთგული მსახურნი, ძირითადად, დაბალი რანგის ჩინოვნიკები მოევლინენ. ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზე უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა... როცა ამათ ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალყზე დგება. ამათ შორის საცა გამოუსადეგარი, უხეირო, თავზედ-ხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყანაში მოხელეობა მიიღო... არავის ეჭვი არ აქვს, რომ თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გასახლდა, ბრალი იმათ უნდა დაედოს, ვინც მოხელეთაგან აქამდის მიიყვანს საქმეს.“[402] მართლაც, იმპერიამ თავისი ისედაც კაცთმოძულე პოლიტიკის გატარება ხარბ და გაუმაძღარ მოხელეებს მიანდო, როგორც ჩანს, ახლად შემოერთებულ მხარეში ეს მმართველობის ძირითადი კურსის შემადგენელი ნაწილი იყო.

[399] სცსსა, ფ. 7, აღ. 1, საქ. 3165, ფურც. 5-6.
[400] ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, გვ. 97, 100.
[401] შ. მეგრელიძე, დას. ნაშ., გვ. 20.

სახელმწიფო უბრალო ხალხთან ურთიერთობას ჩინოვნიკების საშუალებით ამყარებს, ამიტომაც ძალზე ბევრია დამოკიდებული მოხელეზე. მას შეუძლია თავისი მოქმედებით შეარბილოს ან კიდევ გამკაცროს უმაღლესი ხელისუფლების ესა თუ ის ბრძანება. ამასთან დაკავშირებით, სერგეი მესხი წერდა: „ამისთანა ქვეყანაში გამოკვლეულ და კარგ კანონებზე უფრო მომეტებული გავლენა ხალხის ბედზე აქვთ გამგებელ პირთ, რომელთაც ამ კანონებისა და ადათების შესრულება აქვთ მინდობილი. კარგი გამგებელი, პატიოსანი ადმინისტრატორი და მოსამართლე თვით სასტიკ კანონსაც მსუბუქად გაატარებს და ცუდი კი, რაც უნდა ლმობიერი კანონი იყოს, ხალხს ხეირს ვერ დააყრის, კანონის სიკეთეს ვერავის აგრძნობინებს. ამიტომაც, ჩვენის ჰაზრით, უპირველესი ადგილი ამ ახლად შემოერთებული მხარის გამგეობაში კარგი კაცების, პატიოსანი მოხელეების დანიშვნას ეკუთვნის და არა მაინც-და-მაინც კარგად შედგენილი კარგი კანონის გამოცემას. საჭიროა ისეთი მოხელენი, ისეთი ჩინოვნიკები და გამგენი, რომელთაც იცოდნენ ხალხის ენა, ხასიათი, ჩვეულებანი და რომელნიც ამასთანავე იმდენად პატიოსანნი და კეთილსინდისიერნი იყვნენ, რომ თავის ლმობიერი მოქმედებით და ყოველი საქმის პატ-

[402] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 5 გვ. 32-33.

იოსანი გადაწყვეტილებით ხალხს შეაყვარონ ახალი მმართველობა, ახალი წესები“.[403]

სამწუხაროდ, ეს იმედები არ გამართლდა. მხარის სამმართველო აპარატი, დაწყებული უმაღლესი ჩინიდან, დამთავრებული ყველაზე დაბალი რანგის მოხელემდე, საკუთარი კეთილდღეობის მოწყობაზე ფიქრობდა. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა სიძველეთა საცავში გამოვლენილი დოკუმენტი, სადაც მოცემულია სადავო ამბავი, რომელიც ვინმე მაიორ მიკურტუმ ასატუროვსა და გენერალ კომაროვს შორის ქართული მიწისათვის ატეხილა. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ გენერალმა კომაროვმა ქალაქში იყიდა მიწის ნაკვეთი, სადაც პურის საცხობი ააშენა. იმისათვის, რომ პურის საცხობი გამოჩენილიყო, მან არავის არ მისცა ნება ახლომახლო მიწის ყიდვისა და, გარდა ამისა, იქაური მაცხოვრებლები აასახლა და ქუჩები გაიყვანა.[404]

ოლქის მმართველობის წარმომადგენლები თითქმის ყველა ნაბიჯზე ავიწროებდნენ აქაურთ. ასე მაგალითად, ერთ-ერთი დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ ხელისუფლებას მოსახლეობისათვის, მისივე სახსრებით აშენებული „თექე“ (თავშეყრის ადგილი - ჯ. ვ.) წაურთმევია. მიუხედავად ხალხის თხოვნისა, ის დაანგრიეს, ხოლო მასალა დანიშნულებისამებრ გამოიყენეს.[405] ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ პოლიციამ ქართველ მუსლიმანებს იმ დროისათვის ქალაქის უმთავრეს ქუჩაზე, რომელსაც მაშინ მარინეს უწოდებდნენ, გავლა აუკრძალა.[406]

როგორც ვხედავთ, სარფიანი საქმეებით გატაცებული, მიწების შეძენას დახარბებული ადგილობრივი მმართველობის

[403] გაზ. „დროება“, 1878 წ. N 253.
[404] სცსსა, ფ. 7, აღწ. 1, საქ. 2066, ფურც. 43-44.
[405] სცსსა, ფ. 7, აღწ. 1, საქ 3165, ფურც. 20-23.
[406] აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი N 94, გვ 105.

წევრები არაფრად აგდებდნენ აქაურთა ყოფას. გაზეთ „გოლოსის“ სიტყვებით რომ ვთქვათ, აჭარის მკვიდრთა ურთიერთობა მმართველობის წარმომადგენლებთან „გამარჯვებულისა და დამარცხებულის“ ურთიერთობას მოგვაგონებდა. გაზეთი იქვე განაგრძობს, რომ დაბალი ჩინის მქონე ისე არ ჩაუვლის ადგილობრივს, რომ თავი არ დაიკმაყოფილოს დაჯახებით ან შეგინებით. ასევე ბევრი დიდი ჩინის მქონე უფლებას აძლევს, თავისი ენა და ზოგჯერ ჯოხიც ადგილობრივ მცხოვრებთა დასამცირებლად გამოიყენოს.[407] აჭარის მკვიდრთა მშობლების აუგად მოხსენიება, წინაპართა საფლავების შებღალვა, აი რა იყო აქაური „ნაჩალნიკების“ მოღვაწეობის ძირითადი მიზანი: „დედ-მამის გინების, მკვდრების შეურაცხყოფის მეტი თითქმის არაფერი გაგვიგონია ჩვენ ამ „ნაჩალნიკებისგან“, აფერუმ ჩვენს მოთმინებას, თორემ არ ვიცი რისი ღირსი არ არის ჩვენგან ეს ყორღანოვი“, - წერს გაზეთ „დროება“-ში ოსმან აღაძე.[408]

მოხელეთა ამგვარი საქმიანობა, რა თქმა უნდა, დიდ უკმაყოფილებასა და უნდობლობას იწვევდა აჭარელ კაცში და მას გადასახლებისაკენ უბიძგებდა: „...ისე გვიყურებენ, ვითომც ჩვენ სრულებით უგუნურები ვიყოთ, ამის გამო ჩვენ დავრჩით ობლად და ამისათვის აქ დარჩენას გადასახლება და დაკარგვა ვარჩიეთ“ - წერდა გაზეთ „დროებას“ აჭარის მკვიდრი.[409] ადგილობრივ გამგეობათა საქმიანობიდან გამომდინარე, აქაურისათვის ახალი ხელისუფლების ნებისმიერი რანგის მოხელის გამოჩენა მხოლოდ ცუდთან იყო გაიგივებული. აი, რას ვკითხულობთ „დროების“ ერთ-ერთ კორესპონდენციაში: „ეგ ვინ მიგყავს, ძიავ... აგი ძიავ თარჯუმანია მაჭახლის პირის მუდირისა. მიმყავს მაჭახელას. ვაი ბიზუმ ჰალუმუზა (ვაი ჩვენს ბედს), ჩვენ

[407] გაზ. „Голос“, 1881 წ. N 95.
[408] გაზ. „დროება“, 1881 წ. N 4.
[409] გაზ. „დროება“, 1880 წ. N 151.

სულ წავხდით, ძიავ, ქვე ეხლავ გვმართებს ჩვენი თავი მუჰაჯარით.“[410]

ადგილობრივ მოხელეებს ამხელს მუჰაჯირობის ხელშეწყობაში დიდი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანიც: „აჭარიდან და ყარსიდან გრძელდება ხალხთა გადასახლება თურქეთში. რითი შეიძლება აიხსნას ყოველივე ეს?... მხოლოდ ფანატიზმით ეს მოვლენა არ აიხსნება. რადგანაც იქ, სადაც მთავრობის დამოკიდებულება მოსახლეობისადმი კარგია, ხალხი ადგილზე რჩება... მაშ რაში მდგომარეობს სიბოროტე?... ის სათავეს მხარის მმართველობისათვის მეორეხარისხოვან და საეჭვო წარსულის ჩინოვნიკთა დანიშვნაში იღებს... მათი მთავარი მიზანი არა ხალხის მმართველობაა, არამედ საკუთარი სარგებლისათვის ბრძოლა...“[411]

სერგეი მესხი სტატიაში „ერთი წინადადება“ წერდა: „კვირა არ გაივლის ისე, რომ ბათუმის მაზრიდან სამდურავი და საყვედური არ მოგვივიდეს იქაურ წვრილ ჩინოვნიკობაზედ. ამ ჩინოვნიკებს, რომელთაგან, როგორც ამბობენ, მომეტებული ნაწილი, სანამ ბათუმის მაზრაში თანამდებობებს მიიღებდნენ, სამსახურიდან დათხოვნილი და გამოგდებული ყოფილან სხვა და სხვა უკანონო მოქმედებებისათვის ან უნიჭოებისათვის, შეუტანიათ აქ თავიანთი ძველი სამსახურის წესები - უსამართლობა, კერძო სარგებლობის მაძიებლობა და სხვა და სხვა.“[412]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მოხელეთა ამგვარი საქმიანობა უშუალოდ უმაღლესი ხელისუფლებიდან ნაბრძანები თუ არა, ნებადართული უთუოდ იყო. მხარის მმართველობაში იმპერიის მიერ აღებული კურსი საშუალებას აძლევდა და ამართლებდა კიდეც ადგილობრივი გამგეობის

[410] გაზ. „დროება“, 1878 წ. N 247.
[411] შ. მეგრელაძე, დას. ნაშ. დანართი.
[412] გაზ. „დროება“, 1879 წ. N 14.

მოხელეთა შესაბამის საქციელს, რომლის მთავარი დანიშნულება მაჰმადიან ქართველთა თავიდან მოცილება იყო.

სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში მოღვაწეობდნენ ისეთი ადამიანებიც, რომელთათვის უმთავრეს მიზანს მკვიდრი მოსახლეობის ბედი და მომავალი წარმოადგენდა. გრიგოლ გურიელი, ზემო აჭარის გამგებელი ნიკოლოზ მეფისაშვილი, პორტის უფროსი გენერალი გრევე, მაგრამ ცალკეულ პირთა თუნდაც თავდაუზოგავი და უანგარო მოღვაწეობა, ვერ შეცვლიდა იმპერიის პოლიტიკის მთავარ ხაზს.

აჭარის მკვიდრთა ოსმალეთში გადასახლების გამომწვევი მიზეზების შესწავლისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მიწითსარგებლობისა თუ მიწისმფლობელობის საკითხი. 1880 წლის მიწურულს გაზეთი „დროება“ წერდა: „მთელს ბათომის მაზრაში გავარდნილა ხმა, რომ რუსის მმართველობა არ მისცემს დაბალ ხალხს საკუთრების უფლებას მათ მამაპაპეულ მიწა-წყალზედ, მთელს ხალხს ჩამოართმევსო მიწას და შერაცხს სახაზინოდ და ასარგებლებს ხალხს იჯარის წესით. ამაზედ საშინლად აღშფოთებულა მთელი ბათომის მაზრა. ვინ იცის საიდან წარმოსდგა ამგვარი დაჯერება, მაგრამ გადაწყვეტით კი ვიტყვით, რომ ეს არის თავი და უპირველესი მიზეზი მათი ჩვენსდამი გულგრილობისა. იმ პირებს, რომლებიც გადასახლდნენ ოსმალეთში დარჩათ აქით უძრავი საცხოვრებელი მიწა-წყალი, სასაკუთრო, საზიარო აქ დარჩენილებისა და ეს მიწა-წყალი, როგორც ამბობენ, წასვლის უმალვე ჩამოართვა ადგილობრივმა მმართველობამ აქ დარჩენილებს და სახაზინოდ შერაცხეს. რა გასაკვირია ამგვარი ქცევა ზოგიერთი უფროსებისა უკლავს აქ დარჩენილებს მოცდის სურვილს და აბრაზებს ჩვენზედ“.[413] ახალმა ხელისუფლებამ ფართოდ დანერგა ამგვარი მიწების აუქციონიდან გაყიდვის პრაქტიკა. ასე მაგალითად,

[413] გაზ. „დროება“, 1880 წ. N 228.

ბათუმის სამხედრო გუბერნატორი 1880 წელს უმაღლეს ხელ-ისუფლებას წერდა: „ბათუმის ოლქში უძრავი ქონების გაყიდვა უნდა მოხდეს წელიწადში ოთხჯერ. მსგავსი ღონისძიება გამ-ოწვეულია იმით, რომ მხარეში მხოლოდ ახლა იწყება უძრავი ქონების აღებ-მიცემა, ამიტომ ჩვენ ყოველნაირად უნდა შევ-უწყოთ ხელი ამ პროცესის განვითარებას“.[414] როგორც ვხედავთ, ადგილობრივ მოსახლეობაზე ჩამორთმეული და მათგან დაცლილი საცხოვრებელი ბინებისა თუ მიწის ნაკვეთების აუ-ქციონიდან გაყიდვის სარფიანობაზე მსჯელობა რუსული ად-მინისტრაციის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი იყო.

ბათუმის ოლქის 1910 წლის მიმოხილვაში ვკითხულობთ: „რუსეთის მთავრობის მცდარად გაგებული განზრახვა, გამოეც-ხადებინა „ერაზი-მირიეს“ კატეგორიის ყველა მიწა სახაზინოდ, და ამის გამო წარმოქმნილი ხმები გახდა კინაღამ ძირითადი მიზეზი ოლქის მოსახლეობის მღელვარებისა 80-იანი წლების დასაწყისში და, როგორც ჩანს, გამოიწვია შემდეგ მცხოვრებთა მისწრაფება თურქეთში მასობრივი გადასახლებისაკენ, რაკი, მკვიდრი მოსახლეობა, რომელმაც ვერ გაიგო რა ხელისუფ-ლების ჭეშმარიტი მიზანი, დარწმუნებული იყო, რომ სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მათ განკარგულებაში არსებულ ყველა მიწას ჩამოართმევდნენ.“[415]

როგორც ცნობილია, აჭარა, მისი რელიეფიდან გამომდინა-რე, სავარგულების ვარგისიანობის თვალსაზრისით, მცირემ-იწიან რეგიონებს განეკუთვნება. ამიტომ მიწასთან დაკავ-შირებული ყოველგვარი საკითხი აქაურთა მიერ მეტად მტკი-ვნეულად აღიქმებოდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ი. ბარამიძის აზრი. ის წერს: „მიწაზე უფლებების მცირეოდენი შე-

[414] სცსსა, ფ. 7, აღ. 3 საქ. 1970. ფურც. 8-9.
[415] Обзор Батумской области за 1910 год, Батум, 1912, стр. 45-46.

ზღუდვა, თუ შეზღუდვის მცდელობა, ყოველთვის იწვევდა და იწვევს მიწის მფლობელთა უარყოფით რეაქციას... რა გასაკვ-ირია, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე მიწის მფლობელის მხრივ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა, რასაც განიცდიდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, გავლენას ახ-დენდა ხელისუფლებისადმი მათ სიმპათიებზე და აძლიერებდა სხვაგან გადასახლების სურვილს.“[416]

ბოლოს ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ აჭარის მკვიდ-რი მოსახლეობის რელიგიური ფანატიზმის საკითხს. ჩვენი აზრით, ეს ფაქტორი მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწ-ილზე ახდენდა გავლენას. ზემოთ მოყვანილი მასალა გვაძლევს საშუალებას, ვამტკიცოთ, რომ მუჰაჯირობის გამომწვევ მიზეზ-თა შორის რელიგიური ფაქტორი ყველაზე ნაკლებად არსები-თია და, მით უმეტეს, არ შეიძლება მოხდეს მისი განზოგადოება მოსახლეობის ფართო ფენებზე. გიორგი წერეთელის სიტყ-ვებით, რომ ვთქვათ: „არც ერთი გურჯი არ თვლის თავს სას-ულიერო პირების ყურმოჭრილ მონად: არც ერთი გურჯი არ შიშობს, რომ დაივიწყებს თავის რელიგიას და იქცევა ქრისტია-ნად. თუ იყვნენ მათ შორის ასეთები, მოლებმა ისინი უკვე კარგა ხანია რუსეთის საზღვრის იქით გადაიყვანეს“.[417] მართალია, რუსი მოგზაურები ფრენკელი, ლისოვსკი, კანევსკი მიუთითე-ბენ მუჰაჯირობის რელიგიურ ნიადაგზე, მაგრამ ზოგიერთ შემ-თხვევაში იძულებულნი არიან შეიტანონ ეჭვი მათივე მოსაზრე-ბაში. ასე მაგალითად, ი. კანევსკი თავისი მოგზაურობის აღწერ-ისას არაერთგზის გადმოგვცემს იმ ამბავს, რომ „საომარი მოქმე-დებათა დამთავრების შემდეგ თითქოსდა ერთი შეხედვით მოსახლეობის ფანატიკური განწყობის გამო, რომელიც მხოლოდ

[416] ი. ბარამიძე, დას. ნაშ., გვ. 76.
[417] გაზ. „Голос“, 5/4, 1881, 95.

საბაბი იყო, ეს მხარე დაცარიელდაო.“[418] მოყვანილი მოსაზრების დასადასტურებლად ერთ-ერთ ძლიერ არგუმენტად ისტორიკოს მ. სვანიძის მიერ მოყვანილი შემდეგი ფაქტი მიგვაჩნია. ის წერს: „მძიმე მარცხის შემდეგ ქრისტიანმა აფხაზებმაც გადაწყვიტეს თავშესაფარი ოსმალეთში ეძებნათ“.[419] გაზ. „დროება“ ერთგვარად გაოგნებული იყო: „მუსლიმანები, ვთქვათ, ფანატიკობენ და მიდიან, ქრისტიანებს რაღა მოუვიდათ, რომ ართვინიდან წლეულს ორასი კომლი აპირებს გასახლებას“.[420] საზოგადოდ, უნდა ითქვას, ქართველ მუსლიმანთა ემიგრაცია რელიგიური ხასიათის რომ ყოფილიყო, მაშინ ეს მხარეები რუსთა ძალაუფლების დამყარებამდე დაცარიელდებოდა, მით უმეტეს, საამისოდ საკმაოდ დიდი დრო იყო.

ამრიგად, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ აჭარის მკვიდრი მოსახლეობის მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზები შემდეგია: 1. ქართველ მუსლიმანთა გადასახლება (1878-1882 წ.წ.) ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს 1878 წლის აგვისტოდან 1879 წლის თებერვლამდე. ამ პერიოდში მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზი პორტას მოქმედება იყო: ძალისმიერი და იდეოლოგიური (მოლების, ოსმალო ემისრების და მოსყიდული პირების მიერ გადასახლებისაკენ მოწოდება). 2. მუჰაჯირობის მეორე პერიოდი, ძირითადად, რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკის ძალიხმევით წარიმართა, რომელმაც საამისოდ შემდეგნაირი პირობები შექმნა: ა) მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის იგნორირება და მისი შემდგომი გაუარესება: ომგადახდილი მოსახლეობისთვის დახმარების გაცემაზე უარის

[418] И. Каневски, Любопитние уголки Кавказа Батумский округ, Тиф. 1886 г. Стр. 22-23, 35-42.
[419] მ. სვანიძე, დას. ნაშ., გვ. 6.
[420] გაზ. „დროება“, 1880 წ. N 131.

თქმა; გადასახადების ნაადრევად გაწერა; ადრე არსებული საგადასახადო სისტემისა და მოვალეობათა შეცვლა ხაზინის შემოსავლის გაზრდის და არა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით; მოსახლეობის დაუსაქმებლობა. ბ) მუსლიმანი დიდგვაროვნების, ბეგებისა და აღების საკითხის მოუგვარებლობა: ბეგების სამსახურიდან ჩამოცილება; მათ კუთვნილ პენსიაზე უარის თქმა და საარსებო წყაროს მოსპობა. გ) პორტო-ფრანკოს რეჟიმის საკუთარ ინტერესებში მაქსიმალური გამოყენება. დ) იმპერიის ჩინოვნიკური აპარატის მოქმედება: მათი ზრუნვა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის და მოსახლეობის ელემენტარული ინტერესების უგულველყოფა. ე) მიწისმფლობელობის საკითხის მოუგვარებლობა.

§3. აჭარიდან გადასახლებულთა რაოდენობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომში ჩვენს მიზანს, მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზების გამოკვლევის გარდა, გადასახლებულთა რაოდენობის დადგენაც წარმოადგენს.

სამცხე-ჯავახეთიდან და აჭარიდან მუჰაჯირად წასულთა საერთო რაოდენობის დადგენა ძნელდება საარქივო დოკუმენტების მონაცემთა სიმცირის გამო. მუჰაჯირობის წესის გათვალისწინებით, სამკვიდრებელიდან აყრის გადაწყვეტილების მიღებისთანავე ემიგრაციაში წასასვლელად გამზადებულს უნდა შეეტყობინებინა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის და წერილობით გაეფორმინებინა მისი წასვლის პირობები. როგორც საარქივო დოკუმენტებისა და პერიოდული პრესის მონაცემები მოწმობს, მიღებული წესიდან გადახვევის მრავალი შემთხვევა არსებულა. მათგან უმთავარესია ის, რომ ხელისუფლებაზე გა-

ნაწყენებულთა უმრავლესობა ასეთ გადაწყვეტილებას ფარულად ახორციელებდა. უპირველესად, მას ამოძრავებდა მომავალი სამკვიდრებლის მონახულება, იქ დამკვიდრების პერსპექტივა. მისი სურვილის რეალურობის დამტკიცებამდე საჭირო დროის განმავლობაში მას არ სურდა ცნობილი ყოფილიყო მისი წასვლა, კარმიდამოს სხვისთვის გადაცემა და ამასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებანი. ირკვევა, რომ ბევრმა მუჰაჯირმა თავისი სურვილითა და მოხერხებით უვნებლად მიაღწია დასახლებისათვის სასურველ ადგილს, რაც რუსეთის იმპერიის ოფიციალურ წყაროებში სრულადაც არ ასახულა.

ოფიციალური დოკუმენტებით მუჰაჯირთა რაოდენობის დასადგენად სხვადასხვა წყარო მოგვეპოვება. საამისოდ უმთავრესი იყო ადგილობრივ, სასოფლო-სათემო კანცელარიებში,[421] მუჰაჯირად წასვლაზე შედგენილი დემოგრაფიული მონაცემების შემცველი დოკუმენტები, შემდეგ საერთო სტატისტიკური ცნობები და სხვა. სამწუხაროდ, შემორჩენილი გვაქვს მხოლოდ ცალკეული სოფლებიდან წასულთა ზოგადი ციფრები. რაც პერიოდიკის ფურცლებზეც აისახა.[422] საყურადღებოა საისტორიო ცენტრალურ არქივში გამოვლენილი ერთ-ერთი მოზრდილი დოკუმენტი, რომელიც, ისტორიკოს დ. ბაქრაძის მიერ მოპოვებული ციფრობრივი მონაცემების გათვალისწინებით, შედგენილია გენერალ-გუბერნატორის კომაროვის მიერ.

განსახილველ დოკუმენტში ვეცნობით ბათუმის ოლქის ორი ოკრუგის - ბათუმისა და აჭარის მუჰაჯირთა რაოდენობას. ირკვევა, რომ 1880 წლის ჩათვლით ზემოთ აღნიშნული ადმინისტრაციული დანაყოფებიდან წასულა: ა) ბათუმის ოკრუგიდან (ანუ ბათუმის, კინტრიშისა და გონიოს უბნებიდან), 1878 წლიდან 1880 წლის ჩათვლით, 1813 ადამიანი. 897 მამრობითი სქესისა და 916 მდედრობითის. ამავე დოკუმენტის მონაცემებით, იმავე დროს: ბ) აჭარის ოკრუგიდან, რომელიც ზემო და ქვემო აჭარისა და მაჭახლის უბნებისაგან შედგებოდა, გადასახლებულა 12351 ადამიანი. შესაბამისად, 6197 მამრობითი სქესისა და 6154 მდედრობითისა. ამრიგად, აღნიშნული საინტერესო დოკუმენტის მონაცემებით, მხოლოდ 1878-1880 წწ. მუჰაჯირად წასულა 14 164 ადამიანი.[423]

მოცემულ დოკუმენტში შესული სტატისტიკური მონაცემები ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ საბუთში აისახა სხვა ქვეყანაში გადასახლების ნებადართული ვადის მხოლოდ ერთი მონაკვეთი, ამასთან, რუსული ადმინისტრაციის პირობებში. სამწუხაროდ, დოკუმენტში არავითარი ცნობა არ არის ომის დასრულების დროს, დაშინებითა და ძალადობით მასობრივად წაყვანილთა თაობაზე.[424] ასევე, არაა ცნობები ემიგრაციისათვის განკუთვნილი ვადის ამოწურვის შემდგომ პერიოდში გადასახლებულთა რაოდენობაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ომის დასრულებისას და მუჰაჯირობისათვის ოფიციალურად ნებადართული ვადის გასვლის შემდეგ კიდევ ამდენი ადამიანი შეიძლება გადასულიყო მეზობელ იმპერიაში. ნათქვამის დასადასტურებლად მოგვეპოვება სხვადასხვა ცნობა. ვ. ლისოვსკის ჩანაწერების მიხედვით, ბათუმის ოლქიდან ოსმალეთში ლტოლვილია 38 000 სული.[425] ისტორიკოსი სიმონ ესაძე

[421] აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალ მუჰაჯირს მასზე შედგენილი დოკუმენტები არ გამოუყენებია და ადგილზე დარჩენილა („დროება“ 1879 წ. N145).

[422] ქობულეთის ორი ათასი მცხოვრებიდან 1879 წ. ხუთასი დარჩენილა (გაზ «Голос», 1879, №158). იმავე წელს ქვემო აჭარიდან და მაჭახლიდან წასვლის განცხადება 800 კომლს დაუწერია. ეს რიცხვი თანდათან იზრდებოდა („დროება“ 1879 წ. N127, N 145).

[423] სცსსა ფ. 229, აღ. 1 საქ. 12, ფურც. 2-4.

[424] გამანთავისუფლებელ მხედრობას გზათ მრავალი დაცარიელებული სოფელი შეხვედრია (И. Каневски, დას. ნაშ. გვ. 35-41; ა. ფრენკელი დას. ნაშ., გვ. 38-108).

[425] В. Д. Лисовски, Чорохский край, стр. 51.

მუჰაჯირად წასულთა რაოდენობას 21 500 სულით განსაზღვრავს.[426] იმავე რაოდენობას ასახელებენ მოგზაური თ. სახოკია[427] და ისტორიკოსი ვ. იაშვილი[428].

გვიანი პერიოდის ცნობებით, ოფიციალურად მუჰაჯირად წასულთა რაოდენობა 21 ათასს არ აღემატება. ხოლო ფარულად წასულებისა 10 ათასს.

ზემოთ მოყვანილი ცნობების მიხედვით, მუჰაჯირთა საერთო რაოდენობა მერყეობს 21-38 000 შორის. ვფიქრობთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული საარქივო და სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების ურთიერთშეჯერებით, მუჰაჯირთა რაოდენობა 28-30 ათას სულს შორის უნდა მერყეობდეს.

რუსული კოლონიზატორული პოლიტიკის მეოხებით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრთაგან დაცლილი მიწები უმალ იმ პირთა ხელში გადადიოდა, რომელთაც აღნიშნულ რეგიონში რუსეთის იმპერიისათვის მისაღები პოლიტიკა უნდა გაეტარებინა. მკვიდრთაგან დაცლილ მიწებზე რუსი გენერლები და უცხო ეროვნების ვაჭრები სახლდებოდნენ. ქობულეთის მკვიდრის, ქესკინ ნიჟარაძის დაკვირვებით, სწორედ კომაროვის გუბერნატორობის დროს, ქობულეთში ბევრი რუსი გენერალი ჩამოსახლდა. ესენია: გდენევიჩი, საფაროვსკი, აგანოვსკი, ეგლევსკი, ასასკი და სხვა.[429]

[426] С. Эсадзе, Историческая справка об управлении Кавказом, т 2. стр. 284.
[427] თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათ., 1985, გვ. 148.
[428] ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათ. 1948, გვ. 154.
[429] აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი N 247.

§4. საზოგადოებრივი აზრი მუჰაჯირობის შესახებ

ქართული ინტელიგენცია, უპირველესად ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ი. მეუნარგია და ს. მესხი მუჰაჯირობას აქტიურად ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაუპირისპირდნენ.[430] ეს უკანასკნელი აფხაზი და ქართველი მუსლიმანების გადასახლების ფაქტს ოსმალეთისა და მეფის რუსეთის შეთქმულებად ნათლავდა. მათთან ერთად ადგილობრივ პროვოკატორებსაც აკრიტიკებდა, რომლებმაც ადამიანები საკუთარ მიწებს მოწყვიტეს და ყოვლად გაურკვეველ სიტუაციაში ჩააგდეს.[431] „დროების“ ბათუმელი კორესპონდენტი დ. წერეთელი აღწერს, თუ როგორ ითხოვდნენ აფხაზი ქალები და ბავშვები სამშობლოში დაბრუნებას.[432] ქართული საზოგადოებრიობის დახმარებით, აფხაზთა ნაწილი აჭარაში დარჩა, სადაც ქართველებმა მათ უანგარო დახმარება გაუწიეს,[433] თუმცა მათი დიდი ნაწილი მაინც ოსმალეთში გაასახლეს, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა ამ ისედაც მცირერიცხოვანი ეთნოსის გენოფონდს.

ბუნებრივია, ქართული ინტელიგენცია აქტიურად გამოეხმაურა ქართველი მუსლიმანების ბედს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც. რასაკვირველია, მუჰაჯირობა, რომელსაც დიდი ილია „ტვინის შემარყევ ამბავს“ უწოდებდა, ეროვნულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო. ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები დიდი გულისტკივილით შემოიკრიბნენ ამ მეტად არასახარ-

[430] О. Чургулия, Махаджирство и грузинская интеллигенция (вторая половина xix века).-Разыскания по истории Абхазии/Грузия, 1999 г., ст. 391-406.
[431] გაზ. „დროება,“ 1880, N 118.
[432] იქვე, 1878, N 234.
[433] იქვე, 1879, N 123; А. Френкель, Очерки Чурук-су и Батума, Тф., 1879, ст. 10-11; Дзидзария Г. А. დასახ. ნაშრ. გვ. 228-229.

ბიელო მოვლენის მსხვერპლთა ირგვლივ და მუჰაჯირობის მიზეზების გამოვლენისა და მისგან თავის დაღწევისთვის ზრუნვა დაიწყეს.

მუჰაჯირობის საკითხი აქტუალურ თემად იქცა, განსაკუთრებით, მე-19 ს-ის 80-იან წლებში. პუბლიცისტიკამ შემოგვინახა უამრავი მასალა, რომელთა გაცნობაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ქართული საზოგადოებრიობის შეხედულებებს მუჰაჯირობის პრობლემაზე. აღსანიშნავია, რომ შეიქმნა არაერთი ლიტერატურული ნაშრომი, რომელიც მხატვრულად ასახავს ამ პროცესს.

აღნიშნული მოვლენის საჯარო გაშუქებას ქართული ნაციონალური ინტერესების გამოღვიძებაც უნდა მოჰყოლოდა. უნდა ეჩვენებინა შექმნილი ვითარების სიმძიმე და მისგან თავის დაღწევის ეროვნული მნიშვნელობა. ასეთ სიტუაციაში ქართული ინტელიგენცია ყოველ ხერხს მიმართავს, რათა ორი უზარმაზარი ქვეყნის ინტერესთა ურთიერთჭიდილს თავისი ერის შვილები გამოსტაცოს და გადაარჩინოს დაღუპვას.

აჭარის დედასამშობლოსთან შეერთება ზეიმით აღნიშნა ქართველმა ინტელიგენციამ. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო ქ. თბილისში, მუხრანსკის სასახლეში გაიმართა საზეიმო ბანკეტი, სადაც მიწვეული იყო ბათუმის ოლქის დეპუტაცია. ამ საქმის ინიციატორი ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი იყო. ნადიმზე სიტყვა წარმოთქვეს გრ. ორბელიანმა, აკ. წერეთელმა, დ. ყიფიანმა, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა და სხვებმა.

მონადიმენი მოხიბლა აკაკი წერეთელის გამოსვლამ. ამ დღის სიხარულს ის „უნაკლოს“ უწოდებს და აღტაცებულია აჭარის დეპუტაციის წევრ ქართველთა წმინდა ქართული ენითა და ტკბილ-მოუბრობით. აკაკი თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ საჭიროა მამა-პაპათა ანდერძის სისრულეში მოყვანა... მისი

აზრით, ახლად შემოერთებულ აჭარლებს მამობრივი მზრუნველობა და ამაგი სჭირდებათ.[434]

ასეთი დამოკიდებულება აჭარისადმი ქართულ პუბლიცისტიკაში თითქმის არ იცვლება. სხვადასხვა ავტორები განაგრძობენ აჭარის ძირფესვიან შესწავლასა და მკითხველს აწვდიან ცნობებს ახლად შემოერთებული კუთხის შესახებ.

მართალია, ომმა შესაძლებელი გახადა ორად გაყოფილი საქართველოს შეერთება და ეს სიხარული ყველაფერს ჩრდილავდა, მაგრამ მატერიალური თვალსაზრისით მან უდიდესი ზარალი მიაყენა აჭარა-ქობულეთს, რაც დიდ გავლენას ახდენდა მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრებისეულ განწყობაზე.

პირველი, ვინც გამოთქვა შიში მუჰაჯირობის შესახებ, იყო გრიგოლ ორბელიანი. მის მიერ ლევან მელიქოვისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „დიდად მეშინია, რომ აჭარაში არ დააფუძნონ ჩვენი მიროვოი სუდები და ხალხი არ აღმოჩნდეს ახალს შეუჩვეველს ხელში.“[435] დ. ი. მირსკისადმი მიწერილ ბარათში კი აღნიშნავს: „სირცხვილი ჩვენთვის, რომ ვით ჭირიანებს გაგვირბიან ხალხი! მაშ, ამდენს სისხლს რაღაზედ ვღვრიდით.“[436] პოეტი ცალსახად უარყოფს სარწმუნოების ფაქტორს მუჰაჯირობის პროცესში. მისი აზრით, ყოველივე რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკას უნდა დავაბრალოთ: „ამას ფანატიზმს ამიზეზებენ, რა სიცრუეა, მიზეზი თვალითა სჩანს კარგადა.“[437]

განსაკუთრებით უნდა გამოიკვეთოს სერგი მესხის და გიორგი წერეთლის როლი. პირველი თანამემამულეებს მოუწოდებდა: „თუ გვინდა, რომ შევინარჩუნოთ ახლად ჩვენ უბეში დაბრუნებული ჩვენი ძმები, მათთან ურთიეთობა დიდი

---

[434] გაზეთი “დროება„, N 239. 1878 წ.
[435] ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1941, გვ. 60.
[436] იქვე, გვ. 80.
[437] იქვე, გვ. 83.

სიფრთხილითა და სიფაქიზით უნდა დავიწყოთო.[438] მისი აზრით, ჯერ უნდა გავეცნოთ იმათ ისტორიას, თუ რა მიზეზით არიან ისინი მაჰმადიანები, ჩვენ - ქრისტიანები. შემდეგ გავაცნოთ ჩვენი თავიც. არავითარ შემთხვევაში არ ჩამოუგდოთ საუბარი სარწმუნოებაზე, გავმართოთ მისვლა-მოსვლა, ვაჭრობა, „შკოლები“. მხოლოდ ამ იმედით, მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ჩვენ ახლადშეძენილ საქართველოში ქართველობის აღდგენას.“[439]

პუბლიცისტი დიდი სიბრძნით და სიდარბაისლით ეხება აჭარელთა სარწმუნოების საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ „ჩვენ არ უნდა შევეხოთ ახლად შეძენილი ქართველების სარწმუნოებას... სარწმუნოება სინდისის საქმეა. ამას ერთობ ფრთხილად უნდა შეეხოს კაცი, განსაკუთრებით, თუ წინ მაჰმადიანი სარწმუნოების კაცი გიდგია“.[440]

შეიძლება ითქვას, რომ ქართული მწერლობის სამოქმედო პროგრამა აჭარის საკითხთან მიმართებაში, სწორედ სერგეი მესხის მიერ დასახული გეგმის მიხედვით ხორციელდება. მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილი ამ გეგმის მიხედვით მოქმედებდა, რომლის დარღვევას ხშირად სავალალო შედეგებამდე მივყავდით.

განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა მუჰაჯირობის საკითხს გიორგი წერეთელი. ის მთელი არსებით დაინტერესდა ამ ტრაგედიით და არაერთი პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა მას. მათ შორის საყურადღებოა გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც მკითხველს თვალნათლივ აჩვენებს მუჰაჯირობის არსს, მის უარყოფით გავლენას ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე და აქვე გამოკვეთს რამდენიმე მიზეზს, რომლებიც, მისი აზრით, გადამწყვეტ როლს თამაშობდა

[438] გაზეთი „დროება“, 1878 წ. № 41.
[439] იქვე.
[440] იქვე.

მუჰაჯირობის პროცესში. ის გამორიცხავდა მუსლიმანურ ფანატიზმს და პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებდა დასაქმების პრობლემასა და რუსი ჩინოვნიკების თავნებობაზე.[441]

რა თქმა უნდა, აჭარის, კერძოდ კი მუჰაჯირობის საკითხს ფართოდ შეეხო ი. ჭავჭავაძე. 1879 წლის თებერვალში ის ჟურნალ „ივერიის“ მე-2 ნომერში აქვეყნებს „შინაურ მიმოხილვას“, სადაც გამოთქვამს შეშფოთებას მუჰაჯირობის დაწყების გამო. ილია თვალებს და ყურებს არ უჯერებს, მაგრამ იმედი აქვს, რომ ქართველობა არ დაუშვებს შემოერთებული აჭარის ხელახლა დაკარგვას. ილია შესთხოვს თავის ხალხს, გონება მოიკრიბოს და ამ შემაძრწუნებელ მოვლენას წინ აღუდგეს. „ქართველობავ, ნუ იქ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს დებსა და ძმებსა... თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, საკვირველი რამ იქნება, მერე როგორი თავისს მამა-პაპეულ ბინას, სახლს, კარს, მამულს, დედულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს _ სულ ყველაფერზედ ხელს უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, გაგონილა!... საკვირველი ამბავია! ნუთუ რაც უნდა იყოს რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩივნოს, ვიდრე ოსმალეთის ხელში,“[442] _ შეშფოთებას ვერ მალავს ილია ჭავჭავაძე.

ილია აქვე გამოკვეთს მუჰაჯირობის ძირითად მიზეზს, რაზეც ზემოთაც ვისაუბრეთ: „ახლადშემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყოველივე კალიაზე მსუნაგი, უფრო ხარბი, გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა. რამდენიმე კაცს გარდა, ასეთები არიან თურმე დანარჩენები, რომ როცა იმათს ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალყზე დაგიდგება... არავის ეჭვი არა აქვს, რომ თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გადასახლდა,

[441] გაზეთი „დროება“, 1879, N 24.
[442] ჟურნალი „ივერია“, 1879, N 2.

ბრალი იმათ უნდა დავდოთ, ვინც მოხელეთაგანი აქამდე მიიყვანს საქმეს.“[443]

ილია ჭავჭავაძე ასევე მოუწოდებს ქართველობას, გასაჭირში მყოფ აჭარლებს მიეშველოს და აგრძნობინოს, რომ ყოველგვარ ვარამში მათთან ერთად იქნება. ილიას ამ გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუჰაჯირობის წინააღმდეგ გამართული მოძრაობის შემდგომი გააქტიურებისათვის. მისმა „შინაურმა მიმოხილვამ“ განსაზღვრა მუჰაჯირობის პრობლემის აქტუალობის ხარისხი. ამიტომ ქართულმა საზოგადოებრიობამ გულისყურით დაუწყო ამ საკითხს თვალის დევნება. პრესაში თანდათან მატულობს წერილები მუჰაჯირობის პრობლემების შესახებ. მისგან თავის დაღწევის გზების ძიების ამსახველი პუბლიკაციები და ა.შ.

თავის „მოგზაურობანში“ თედო სახოკია ფართოდ ეხება ჩვენთვის საინტერესო პრობლემას. ის განსაკუთრებით გამოყოფს თურქი მოლა-ხოჯების ნეგატიურ გავლენას ადგილობრივ მოსახლეობაზე, თუმცა აქვე არ ავიწყდება რუსული ბიუროკრატიის მავნებლური „მოღვაწეობის“ კრიტიკაც.[444]

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე პარმენ ჭანიშვილი მუჰაჯირობის შესახებ იწყებს პუბლიკაციების გამოქვეყნებას გაზეთ „დროებაში“, რომელთა შორის მკითხველის ყურადღებას იპყრობს კორესპონდენცია სათაურით - „ქობულეთი“[445]. წერილი მოგვითხრობს 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დაწყებულ მუჰაჯირობის შესახებ. იგი ამ პროცესს „შამშეს“ უწოდებს. ავტორი განმარტავს, რომ მუჰაჯირობის გამომწვევ სხვადასხვა მიზეზს ზედ ერთვის თურქეთის მხარის მზაკვრული პოლიტიკა, რომელიც არ გამორიცხავდა ძალადობასაც კი, რათა ადგილობრივი ხალხი ოსმალეთისაკენ დაძრულიყო.[446] პარმენ ჭანიშვილი წერილის მეორე ნაწილში აღწერს ოსმალეთში საცხოვრებლად მიმავალი ქართველების მდგომარეობას: „სამწუხარო სურათს წარმოადგენდა ამათი ყურება და შეხედულება. მოისმოდა ბავშვების ტირილ-კივილი... ეს იმას გამოხატავდა, რომ ისინი სამშობლო ქვეყანას ეთხოვებოდნენ და არ იცოდნენ რა ექნათ“.[447] მისი აზრით, მუჰაჯირობის დამღუპველ მიზეზთა შორის მუსლიმანური ფანატიზმიც თამაშობდა გარკვეულ როლს.[448]

[443] იქვე.
[444] თ. სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 189.
[445] გაზეთი „დროება“, 1878, N 190.

[446] იქვე.
[447] იქვე.
[448] იქვე.
[449] გაზეთი „დროება“, 1878, N 43.

თავისებურად აშუქებს მუჰაჯირობით პროცესს ივანე გვარამაძე. იგი შენიშნავს, რომ საქართველოს თუ დაკარგული მიწები მთლიანად დაუბრუნდებოდა, მაშინ გადასახლებაც არ მოხდებაო.[449]

მუჰაჯირობის პრობლემებს ეხება სოლომონ ასლანიშვილი, იგივე ს. ბავრელი. ის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და მწერალია, „დროებისა“, და „ივერიის“ აქტიური თანამშრომელია. თავისი იდეებით 60-იანელთა თაობას ეკუთვნის და აქტიურად იბრძვის ეროვნული მიზნების განხორციელებისათვის. მისი პუბლიცისტური საქმიანობის ძირითად თემას სამხრეთ-დასავლეთი საქართველო შეადგენს. „ივერია“ ხშირად ოფიციალური მივლინებით გზავნის სოლომონ ასლანიშვილს აჭარაში საყურადღებო მასალის მოსაპოვებლად. მას კარგად უჭრიდა კალამიც. იგი ეროვნული პოზიციიდან იხილავდა ამა თუ იმ საკითხს და მკითხველზე ზემოქმედების შესანიშნავი ნიჭი გააჩნდა.

მან თავისებური პოზიციებიდან განიხილა მუჰაჯირობაც. იგი კრიტიკულად აფასებს ქართველთა დამოკიდებულებას აღნიშნული ფაქტისადმი და მუჰაჯირობის მიზეზად აჭარლებ-

ისადმი გულგრილ დამოკიდებულებას მიიჩნევს. „ქართველებმა რით დაანახეს, რომ აჭარლების მოძმენი იყვნენ, ამ შემთხვევაში ჩვენმა ახალგაზრდობამაც ვერ აასრულა თავისი მოვალეობა. იმათი „ახი“ და „ოხი“ ფუჭად დარჩა. განა ასე შეგვეფეროდა? გაუნათლებელმა თათრის მოლებმა აჯობეს ჩვენს ახალგაზრდა განათლებულებსა.“[450]

ბავრელი ასევე აკრიტიკებს მოხელე-ჩინოვნიკების უსულგულობას. „არ იქნა, ჩვენ თავი ვერ ვაყვარეთ მძიმე გადასახადებისა, დამოჟნის და მოხელე-ჩინოვნიკების უსულგულობის გამო.“[451]

ანალოგიური ტენდენციითაა დაწერილი ლევან მჭედლიშვილის პუბლიკაცია „წერილები აჭარიდან“,[452] ავტორი წუხს იმის გამო, რომ მშვენიერი მხარე საქართველოსი, იცლება მკვიდრი მოსახლეობისაგან და ვერანდება. ლევან მჭედლიშვილიც, როგორც ს. ასლანიშვილი, ამის მიზეზად იმ გულგრილობას მიიჩნევს, რომელსაც, მისი აზრით, ამჟღავნებდა ქართველი ერი თავის მოძმე აჭარლობის მიმართ. „იმან, რომ არ ვიცოდით, რანაირად მოვქცეოდით ამ ხალხს, იმ გზაზე დააყენა ესენი, რომ აუღიათ თავი და მიდიან წყალში ჩასაცვენლად. არა აქვსთ იმედი, არა ჰყავთ დამშოშმინებელი და იმედის მომცემი. არ აქვთ საჭმელ-სასმელი და ა.შ“.[453]

ს. ბავრელისა და ლევან მჭედლიშვილის აქ განხილული სტატიებისაგან შინაარსისა და იდეების მხრივ თითქმის არ განსხვავდება გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ვრცელი წერილი - „რა გავაკეთეთ ბათუმში“.[454] წერილის ავტორი იხსენებს თბილისში 1878 წლის 20 ნოემბერს გამართულ ნადიმს, სადაც

[450] გაზეთი „დროება“, 1879, N 208.
[451] იქვე.
[452] გაზეთი „დროება“, 1879, N 177.
[453] იქვე.
[454] გაზეთი „დროება“, 1880, N 4.

სუფრის წევრები მგზნებარე სიტყვებით ულოცავდნენ ერთმანეთს აჭარის სამშობლოსთან შემოერთებით გამოწვეულ დიდ სიხარულს. მაგრამ, მისი თქმით, ეს პირველი აღტაცება დრომ მალე გაანელა და როცა ჯერი კონკრეტულ საქმეზე მიდგა, დაპირებების შესრულება არავინ ისურვა. ავტორი დასძენს: „ამის შემდეგ რაღად უნდა გვიკვირდეს, რომ იმათ ჩვენ ვერ გვიცნეს ნამდვილ ძმებად“. სტატია მთავრდება მოწოდებით - „ნაპოვნი ძმა ხელახლად არ უნდა დავკარგოთ!“ ამავე აზრის შემცველია ვინმე მესხის - ივანე გვარამაძის პუბლიკაცია,[455] სადაც ავტორი შენიშნავს, რომ „ოსმალოს საქართველოს შემოერთებამ დიდი სიხარული მოჰგვარა ყველას. ლამის საფლავებზე მიდიოდნენ და ჩასძახოდნენ: 300-400 წლის დაკარგული ძმები დაგვიბრუნდნენო, მაგრამ ახლა აღარავის ახსოვს იმათი გასაჭირი. ისინი გარბიან ოსმალეთში, ამ მიზეზის გამოძიებას და მოსპობას არავინ ფიქრობსო.“[456]

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა რიცხვში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ზაქარია ჭიჭინაძეს. იგი მწერალთა და პუბლიცისტთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელმაც აჭარის საკითხი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად აქცია. ის მტკივნეულად აღიქვამს აჭარაში მიმდინარე პროცესებს, რომელსაც მუჰაჯირობა ეწოდება, იგი მუჰაჯირობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად თურქი მოლა-ხოჯების ქადაგებებს მიიჩნევს. ზ. ჭიჭინაძე მოითხოვდა, რომ აჭარაში არ შემოეშვათ ისინი: „ესენი დიდს მტრობასა და სიძულვილს უნერგავენ ქართველების და ქართული ენის მიმართ. და ყველა იმას უქადაგებს, რომ თქვენ რჯულზედ მაგრად იდექით და ოსმალეთისაკენ გადასახლებაზე იზრუნეთო... მე დარწმუნებული ვარ, საქართველოდან

[455] გაზეთი „დროება“, 1880, N 196.
[456] იქვე.

რომ ოსმალელი ხოჯები გავიდნენ და მათ მაგიერ ყველგან ქართველები გამწესდნენ, მაშინ საქმე უფრო უკეთ წავა. რაც რამ ვნება მოსდით ქართველ მაჰმადიანებს, სულ იმათ გამო ემართებათ“.[457]

ზაქარია ჭიჭინაძე მუჰაჯირობის გამომწვევ მიზეზებთან ერთად მკითხველს მოუთხრობს უკვე თურქეთის სიღრმეში გადასახლებულ აჭარელთა შესახებ. მისი მიზანია მუჰაჯირთა მძიმე ყოფის ჩვენებით მაჰმადიან ქართველობას ხელი ააღებინოს გადასახლებაზე. მეორე მხრივ კი, ქართული საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესის საგნად აქციოს ეს პრობლემა. არა მარტო ზ. ჭიჭინაძე, არამედ სხვა ბევრი პუბლიცისტი ამახვილებს ყურადღებას უმძიმეს პირობებში ჩავარდნილი „მუჰაჯირი“ აჭარლების ცხოვრებაზე, რომელთა დიდი ნაწილი ეპიდემიებისა და სხვა მიზეზის გამოც გზებში დაიღუპა.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკა ამ მხრივაც მდიდარ მასალას გვაწვდის. ამ პერიოდის ქართული პრესის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა პუბლიკაციები, რომლებიც თურქეთში მიმავალი ქარავნების უკიდურეს მძიმე მდგომარეობის შესახებ მოგვითხრობს. აგრეთვე აისახა უკვე თურქეთის ტერიტორიაზე ჩასული უპატრონოდ, მშიერ-მწყურვალი, ღია ცის ქვეშ დაყრილი „მუჰაჯირების“ ყოფის სურათები. აღნიშნული დროის ქართველი პუბლიცისტების წერილებში მკითხველი აწყდება მუჰაჯირობის პროცესის ამსახველ, ამაზრზენ მაგალითებს.[458]

ქართველმა მწერლებმა, პუბლიცისტებმა, საზოგადო მოღვაწეებმა თავიანთი სიტყვითა და საქმით შეძლეს, მაჰმადიანი ქართველების შეგნებაში გარდატეხა მოეხდინათ, ეროვნული გრძნობა გაეღვიძებინათ მათში და დაერწმუნებინათ სარწმუნოების ხელშეუხებლობაში. მათი შრომა თანდათან იღებდა შედეგს. „ოსმალოს ხასიათის მიტოვებას და თითქმის დღეს-დღეობით ცვლილებას ხედავს კაცი ამათში, თითქოს დამთვრალი კაცი ფხიზლდებოდეს“[459] - წერს დავით წერეთელი, აკაკი წერეთლის ძმა, რომელიც თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა მაჭახელში.

მაჰმადიანი ქართველები იმედის თვალით მისჩერებოდნენ თბილისს, აქ მოღვაწე ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა აჭარელთა წერილები, სადაც ისინი შველას და მხარდაჭერას თხოულობენ.

მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „მოყმის აღსარება“,[460] რომლის ავტორია აჭარელი ახმედ-აღა ნადირაძე. მან კარგად იცის თავისი ქვეყნის ისტორია. იცის ფასი იმ სისხლისა, რომელიც დაიღვარა რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რის ფასადაც დაუბრუნდა საქართველოს აჭარა. მაგრამ რა გამოვიდა, ახლა ეს კუთხე იცლება მოსახლეობისაგან. ხალხი ოსმალეთში მიედინება. ახმედ-აღა შენიშნავს, რომ აჭარლობა შეშინებული და დაბეჩავებულია, ბევრი რამ აწუხებს, ბევრი რამ სტკივა, მაგრამ იმისი შიშით, რომ გააციმბირებენ, ვერაფერს ამბობს. ამიტომ ვერც ლორის-მელიქოვს შეჰბედეს თავიანთი გასაჭირის შესახებ. თვით ავტორს, რადგან უკვე წასვლა გადაუწყვეტია, აღარაფრის ეშინია და ახლა ყველაფრის თქმას ბედავს: „თუ ვინმეს გული გტკივათ ჩვენზედ, შეგვეწიეთ, რომ ამისთანა მმართველები მოგვაშორონ და შემდგომ ჩვენ დავუმტკიცებთ ქვეყანას, რომ ვიქნებით სასარგებლო მამულიშვილნი. მტრულად ნურავინ მოგვექცევა, კაცობა გვაჩვენოს“.[461]

---

[457] გაზეთი „ივერია“, 1892, № 149.

[458] მ. სვანიძე, ქართველები თურქეთში, თბ., 1996, გვ. 8.

[459] გაზეთი „დროება“, 1879, N 37.

[460] იქვე, 1880, N 253.

[461] იქვე.

დ ა ს კ ვ ნ ა

მე-15 ს. წინა აზიაში ოსმალთა მიერ წარმოებული ფართომასშტაბიანი ლაშქრობანი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ბიზანტიის და საქართველოსათვის. სამ სამეფოდ და ცალკეულ სამთავროებად დაშლილმა საქართველომ დიდხანს ვერ გაუძლო ოსმალთა გამუდმებულ შემოტევებს. ოსმალო მოხელეებისაგან 1574 წ. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის შედგენა თვალნათლივ ადასტურებს ჩვენი ქვეყნის ერთ დროს დაწინაურებული კუთხის მეზობელ იმპერიაში მოქცევას. ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია სამშობლოში უცხოელთა პარპაშს, მაგრამ მოწინავე ქართველ მოღვაწეთა და მრავალრიცხოვან პატრიოტთა ხანგრძლივი მამაცური ბრძოლა ქვეყნის აღდგენა-გამოხსნისათვის დიდხანს წარუმატებელ ცდებად რჩებოდა.

1801 წლიდან კავკასიის ისტორიაში ახალი ხანა იწყება. თანდათან შესაძლებელი ხდება უცხოელთა ხელთ არსებულ ციხესიმაგრეთა გათავისუფლება და ქართული მიწების შემოერთება. ამ მხრივ პირველი დიდი წარმატება სამცხე-ჯავახეთის დაბრუნება იყო, 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად.

ამრიგად, ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებული საქართველოს უძველესი კუთხე სამცხე-ჯავახეთი მშობლიურ გარემოში აღოჩნდა, რაც, თავის მხრივ, უაღრესად პროგრესული მოვლენა იყო.

ერთიან სამშობლოს ხანგრძლივად დაშორებული ამ რეგიონის მკვიდრთა შესისხლხორცების პროცესი მეტად მტკივნეულად წარიმართა. საამისო საფუძველს უპირველესად ქმნიდა ახლად დაბრუნებული მხარის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის განსხვავებული საადგილმამულო, სარწმუნოებრივი და საყოფაცხოვრებო მდგომარეობა. გაბატონებული რუსული ადმინისტრაცია აქ, უმთავრესად, სომხურ ელემენტებთან თანამშრომლობით, მოხერხებულად შეეცადა შემოერთებულ მხარეში დემოგრაფიული სიტუაციისა და მოსახლეობის განსხვავებული იდეურობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ძირითადად ასეთ ვითარებაში შექმნილი დაძაბულობის განმუხტვა, არაერთი მცდელობის მიუხედავად, იმდროინდელმა ქართველმა მოღვაწეებმა ვერ შეძლეს.

დაკავებულ მხარეში გაბატონებულმა ადმინისტრაციამ სახელმწიფო მიწის ფონდების გაზრდის საბაბით, ფართო ფრონტით, მკაცრად შეუტია ადგილობრივ მოსახლეობას მათი სამკვიდროდან განშორების მიზნით. რუსეთის საკოლონიზაციო პოლიტიკის შედეგად აღნიშნული მხარის დედასამშობლოსთან დაბრუნების სიხარული ერთგვარად დაჩრდილა აქ განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა.

არსებული მდგომარეობის თავის სასარგებლოდ შეცვლის მიზნით რუსეთის ხელისუფლებამ:

ა) ომგადახდილი მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის აბსოლუტური იგნორირებით და მისი შემდგომი გაუარესების მიზნით მალე დააწესა მრავალი გადასახადი.

ბ) დაბრუნებული მხარის მოსახლეობის მაღალი ფენები (აღა-ბეგები) მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის გაურკვევლობითა და საარსებო საშუალებების გაუარესებით აიძულეს, გამხდარიყვნენ მუჰაჯირები.

გ) საადგილმამულო ურთიერთობების საკითხის გაჭიანურებამ, ზედა ფენების უკმაყოფილებამ სამშობლოდან სასწრაფოდ გაცლის განწყობილება შექმნა ამავე მხარის ფართო მასებში.

დ) რუსული ადმინისტრაციის მიერ მუსლიმან ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში უხეში ჩარევისა და ჩინოვნიკური აპარატის

თავნებობის გაძლიერების შედეგად არა მარტო დაჩქარდა მკვიდრი მოსახლეობის მეზობელ იმპერიაში მიგრაცია, არამედ გახიზნულებს მოეჭრათ უკანდაბრუნების გზა.

ამავე პროცესს აძლიერებდა ოსმალთა სხვადასხვა წრეების (განსაკუთრებით სასულიეროს) ანტირუსული-ანტიქრისტიანული აგიტაცია. ამის შედეგად დაბრუნებული მხარეს მალე გაეცალა მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი. დაცარიელებული ადგილები ან უცხო ელემენტების გამგებლობაში ექცეოდა, ან ირიცხებოდა რუსეთის იმპერიის ხაზინის ფონდში. ქართველ მუსლიმთა უცხოეთში სწრაფმა მასობრივმა ლტოლვამ დიდი ზიანი მიაყენა მთელი ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებს, უმთავრესად გეოსტრატეგიულად ამ მნიშვნელოვან მხარეში.

სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურაში მუჰაჯირობის პრობლემა და მისი მძიმე შედეგები დღემდე ჯეროვნად გამოკვლეული და გაანალიზებული არ არის. ახლად გამოვლენილი საარქივო დოკუმენტებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით ირკვევა, რომ, ხანგრძლივი ცდების მიუხედავად, სამხრეთ საქართველოს სხვა ნაწილების გათავისუფლება დიდხანს არ მოხერხდა. აღმოსავლეთის (ყირიმის) ომის დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ბრძოლები გიმართა. რუს-ქართველთა გაერთიანებულმა მხედრობამ არაერთხელ სძლია ოსმალეთს, მაგრამ პარიზის ზავის შედეგები აჭარას თითქმის არ შეხებია.

1877-1878 წწ. ომის შედეგად დედასამშობლოსთან დაბრუნებული სამხრეთ საქართველო ბათუმის ოლქად ჩამოყალიბდა, რომელშიც, შავშეთთან ერთად, აჭარა და ქობულეთი ერთიანდებოდა.

ხანგრძლივი მოლაპარაკება, რომელიც ბერლინის კონგრესით დასრულდა, ითვალისწინებდა მოსახლეობის მიგრაციას და საამისოდ ადგენდა ვადას. რუსეთის იმპერიის ადმინისტრაცია ჩვეულ ტრადიციას არ ღალატობდა და მოსახლეობის მიმართ ისეთივე მეთოდებს იყენებდა ბათუმის ოლქში, როგორსაც სამცხე-ჯავახეთში.

ქართველმა მოღვაწეებმა ბათუმის ოლქში სოციალური და მიწისმფლობელობის პრობლემების გადაწყვეტის მიზნით მიაღწიეს დროებითი საადგილმამულო კომისიის შექმნას. გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის - დ. ბაქრაძის თავჯდომარეობით კომისიის მოღვაწეობის მიუხედავად მუჰაჯირობა არ შეწყვეტილა. ამ პერიოდში მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზი, ოსმალური მფლობელობის ნაშთებთან ერთად, პორტას აქტიური მოქმედება იყო.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ აჭარის მკვიდრი მოსახლეობის მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზები შემდეგია:

1. ქართველ მუსლიმანთა გადასახლება (1878-1882 წწ.) ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი მოიცავს პერიოდს 1878 წლის აგვისტოდან 1879 წლის თებერვლამდე. ამ დროს მუჰაჯირობის ძირითადი მიზეზი პორტას აქტიური მოქმედება იყო: მისი ძალისმიერი, იდეოლოგიური (მოლების, ოსმალო ემისრების და მოსყიდული პირები) მოქმედებით გადასახლებისაკენ მიმართულმა აგიტაციამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ეს პროცესი.

2. მუჰაჯირობის მეორე პერიოდი, ძირითადად, რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკის ძალისხმევით წარიმართა, რომელმაც ბათუმის ოლქშიაც შექმნა შესაბამისი პირობები, კერძოდ: ა) მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის იგნორირება და მისი შემდგომი გაუარესება: ომგადახდილი მოსახლეობისათვის დახმარების გაცემაზე უარის თქმა; გადასახადების ნაადრევად გაწერა; ადრე არსებული საგადასახადო სისტემისა და მოვალეობათა შეცვლა ხაზინის შემოსავლის გაზრდის და არა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის

შემსუბუქების მიზნით; მოსახლეობისათვის სახელმწიფო სამსახურში დასაქმების აკრძალვა; ბ) მუსლიმანი დიდგვაროვნების, ბეგებისა და აღების საკითხის მოუგვარებლობა: ბეგების სამსახურიდან ჩამოცილება; მათ კუთვნილ პენსიაზე უარის თქმა და საარსებო წყაროს მოსპობა; გ) პორტო-ფრანკოს რეჟიმის საკუთარი ინტერესებისათვის მაქსიმალური გამოყენება; დ) იმპერიის ჩინოვნიკური აპარატის მოქმედება: მათი ზრუნვა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის და მოსახლეობის ელემენტარული ინტერესების უგულებელყოფა; ე) მიწისმფლობელობის საკითხის მოუგვარებლობა; ვ) რელიგიური ფაქტორის გამოყენება გადასახლების პროპაგანდისათვის.

XIX საუკუნის მესამედში საქართველოსთან ახლად დაბრუნებულ სამხრეთი ნაწილისა და 1877-1878 წწ. ომის შედეგად შემოერთებული მხარის (ბათუმის ოლქი) მკვიდრთა მასობრივმა მუჰაჯირობამ საქართველოს ამ ადგილებში დემოგრაფიული სიტუაცია მკვეთრად შეცვალა. სამკვიდრო-საბუდრებიდან წამოშლილ ქართველი მაჰმადიანებისაგან დაცლილ ფართო ტერიტორიებს სხვადასხვა უცხო ელემენტი დაეპატრონა. ხანგრძლივი მუჰაჯირობის შედეგებმა ხელი შეუწყო აღნიშნულ მხარეებში ნეგატიური მოვლენების განვითარებასა და გაღრმავებას. ზოგან ამ უარყოფითი შედეგების ნაწილობრივ აღმოფხვრას ქართველ პატრიოტთა მრავალი ათეული წლის შრომა დასჭირდა. სხვაგან კი მაშინ ჩანერგილი დემოგრაფიული პრობლემები დღემდე შეგვახსენებს ხოლმე თავს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

წყაროები:

1. აჭარის ცენტრალური სახ. არქივი, ფ. 1, საქ. 4, ფურც. 1- ფ. 15, საქ. 41, ფურც. 57-62.
2. აჭარის სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი №640, რუსულ ხელნაწერთა ფონდი, ტ. 223.
3. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ტ. 72, 2102.
4. „დროება," 1878 წ. № 41, № 43, ტ 111, ტ129, ტ 130, № 176, ტ 189-190, ტ 234. № 239. №247. ტ 253, ტ 267, 1879 წ. ტ 14, № 24, ტ 32, №35, №37, №40, №177, № 127, ტ 145, № 208, 1880 წ. № 4, ტ 95, ტ 118, № 131, №151, №168, ტ 196, №228, №253, 1881, №4, 1883, №245.
5. „ივერია," 1879, №2, №37, 1891, №171.
6. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 1, საქ. 103, ფურც. 1-3, საქ. 2596, ფუც. 1-2, 2874, ფურც. 3, საქ. 2930, ფურც. 11-12, 14-16, 19-20, 23-24, 30, საქ. 3077, ფურც. 2-3, 5-23, საქ. 3080, ფურც. 3-4, საქ. 3083, ფურც. 7, 45, საქ. 3086, ფურც. 1-3, საქ. 3089, ფურც. 15, საქ. 3185, ფურც. 8-9, 12-13, 20, საქ. 3282, ფურც. 1-7, საქ. 3988, ფურც. 20, საქ. 4218, ფურც. 4, საქ. 4579, ფურც. 129.
7. სცსსა, ფ. 5, აღ. 1, საქ. 7089, ფურც. 1-3, 5.
8. სცსსა, ფ. 7, აღ. 1, საქ. 3165, ფურც. 5-6, აღ. 3, საქ. 1970, ფურც, 8-9, აღ. 4, საქ. 1107, ფურც. 2-5, 27, საქ. 1293, ფურც. 1-2.
9. სცსსა, ფ. 11, აღწ. 1, საქ. 55, ფურც. 3-7, 12, საქ. 3083, ფურც. 7.
10. სცსსა, ფ. 16, აღწ. 1, საქ. 4436, ფურც. 1-14.
11. სცსსა, ფ. 77, აღწ. 1, საქ. 10, ფურც. 13, საქ. 12, ფურც. 2-64, საქ. 35, ფურც. 1-2, საქ. 48, ფურც. 40-41, აღწ. 3, საქ. 1, ფურც. 2, საქ. 6, ფურც. 2-3, საქ. 7 ფურც. 2.
12. სცსსა, ფ. 88, აღწ. 1, საქ. 5, ფურც. 1-5, 9-11.
13. სცსსა, ფ. 229, აღწ. 1, საქ. 30, ფურც. 8, 57-59, 62, 81-83, 85* საქ. 48, ფურ. 1.

14. სცსსა, ფ. 416, აღწ. 3, საქ. 12, ფურც. 2-4, საქ. 163, ფურც. 11, 27, 42; ფ. 416, საქ. 164, ფურც. 1, საქ. 819, ფურც. 1-3; საქ. 820, ფურც. 50, საქ. 849, ფურც. 2, საქ. 1172, ფურ. 2-4.

15. სცსსა, ფ. 521, აღწ. 9, საქ. 119, ფურც. 3.

16. სცსსა, ფ. 545, საქ. 1677, ფურც. 1-3.

17. „ტფილისის უწყებანი“, 1828 წ, ტ 12.

18. Акти, т. 1., 3-4, 7-8, 10.

19. Голос, 1878 г. , N 5-6, ტ 102, ტ 158, 1879, №158, №195, 1881, ტ 95.

20. Новое обозрение, 1893 г. № 1328.

21. „Обзор“, 1878, ტ 125-126, ტ 231.

22. “Одесский вестник,” 1828, № 95.

23. Русский вестник, т. 205, СПб, 1889 г. N 12.

24. “Тифлисские ведомости,” 1828, № 13, № 23; 1831, № 18.

25. ЦГВИА, ф. ВУА, д. 4649, л. 82; д. 4716, л. 82.

26. ЦГВИА, ф. 1018, оп. 2, л. I ; оп. 3, д. 34, д. 73, д. 78, л. 1, д. 128, л. 1, д. 131, л. 1.

ლიტერატურა:

1. ა. ავალიანი, მიწისმფლობელობი ფორმები აჭარაში, ბათ., 1960.
2. ზ. ამირეჯიბი, ადოლფ ბერჟე ჩეჩნეთის ისტორიისა და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა თურქეთში გადასახლების შესახებ. -ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟურნ. კლიო, №2, თბ., 1998.
3. ი. ანთელავა, 1828-29 წ. რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო, თბ., 1964.
4. კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა მე-19 საუკუნეში, თბ., 1973.
5. ხ. ახვლედიანი, ნარკვევები აჭარის ისტორიიდან, ბათ., 1944.
6. ხ. ახვლედიანი, სახალხო-გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956.
7. ხ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1973.
8. გრ. ბაბილოძე, სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში, ბათ., 1958.
9. ირ. ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ., 1999.
10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
11. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999.
12. პ. გიორგაძე, სამცხის სოფელი 1830-1905 წწ. თბ., 1969.
13. ი. დათუნაშვილი, მუჰაჯირობა ჩრდილო კავკასიელებში (ჩეჩენთა გადასახლება).-მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1990, 1.
14. ა. დიასამიძე, ბათუმის ოლქის მართველობისათვის.-სამართლის ინსტიტუტის შრომები, ბათ., 1998.
15. მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო მე-19 ს. პირველ ნახევარში, თბ. 1957 წ.
16. ა. ვ. დიასამიძე, გრ. გურიელი.-სამართლის ინსტიტ. მაცნე, ტ 2, ბათ., 1998 წ.
17. ნ. ვარშანიძე, ეთნოპოლიტიკური და კულტურული ვითარება ბათუმის ოლქში (მე-19 საუკუნის 80-იანი წლები), თბ., 2001.
18. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. -ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973.
19. ივ. გვარამაძე, ახალციხური ქრონიკები,
20. ვ. იაშვილი, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათ., 1948.
21. პ. ინგოროყვა, საქართველოს საზღვრების შესახებ, კონს, 1918.
22. დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზა, ბათ. 1984.
23. დ. კოჟორიძე, სამცხე-ჯავახეთი. წარსული და დღევანდელობა, თბ.,. 1987 წ.
24. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.
25. ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი მე-19-20 სს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1993.
26. შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ., 1956.

27. შ. მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1963.

28. შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წწ.), თბ., 1964.

29. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, თბ., 1941.

30. ი. ნებიერიძე, მოგონებანი, ბათ., 1948.

31. მ. სანაძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ნაკ. 4, თბ., 1993.

32. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

33. თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათ., 1985.

34. მ. სვანიძე, ქარველები თურქეთში, თბ., 1996.

35. ი. სიხარულიძე, აჭარის ტოპონიმიკა, I-II, ბათ., 1958-1959.

36. ფრ. სიხარულიძე, „ახალი ქართველი".-ბათუმის უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1997.

37. ვლ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958.

38. ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე), სხვათა შორის ნაგრძნობი და განაგონი, 1873.

39. აბ. სურგულაძე, მ. სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996.

40. ივ. ურუშაძე, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლის ომი და საქართველო (საკან. დის., ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).

41. ს. ფირცხალავა, სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი, თბ., 1915.

42. ა. ფრონელი, უცხოელთა დაბანაკება საქართველოში, ჟურნ. „მოამბე", 1899, ტ 6.

43. ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბ., 1991.

44. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათ., 1996.

45. ალ. ქათამაძე, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. 3, 1958.

46. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, თბ., 1998.

47. ფ. ხახანაშვილი, ეთნოგრაფიული მიმოხილვა, 1891. №3.

48. თ. ჩიქოვანი, მესხეთი, თბ. 1979.

49. ზ. ჩიტაძე, სტატიაში „დამპყრობთა წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის ბრძოლის ისტორიიდან."-„სხალთის ზარები", 1999, ტ 1.

50. ა. ჩხეიძე, ბათუმი ინგლისის აღმოსავლურ პოლიტიკაში (1875-1878), თბ. 1974.

51. ც. ჩხაიძე, ბათუმი (ისტორიული ნარკვევი), ბათ., 1958.

52. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, თბ., 1919.

53. ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა მე-18-19 სს., თბ., 1964.

54. ლ. ჯანიაშვილი, სომხები სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1995.

55. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 5.

56. ზ. ჭიჭინაძე, თავდგირიძეთა გვარის ღალატი და ალი ფაშა თავდგირიძე, ახალ-სენაკი, 1896.

57. ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება და ალი-ფაშა თავდგირიძე, თბ., 1908.

58. ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილი მუსლიმან-ქართველებისა, ბათ., 1911.

59. ზ. ჭიჭინაძე, მუჰაჯირი ემიგრაცია და ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, თბ., 1912.

60. გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951.

61. გ. წერეთელი, პუბლიცისტიკური მემკვიდრეობიდან, თბ. 1973.

62. Д. Анучин, Берлинский конгресс 1878 г.-„Русская старина", N11, СПб, 1912.

63. Ф. Арутинов, История 1-го Кавказского стрелкового батальона, СПб, 1898.

64. Д. Бакрадзе, Исторический очерк

65. Ал. Берже, Выселение горцев с Кавказа, ж. "Русская старина," СПб, 1882, февраль, т. XXXIII.

66. Х. К. Баранов, Арабо-русский словарь, М., 1957.

67. И. Бахтадзе, Податное обложение государственных Крестьян.-Свод материалов по изучению экономического Быта государственных Крестьян, 1887, I.

68. Е. Вейдембаум, Кавказские этюды, Тиф., 1901.

69. Е. Вейденбаум, от Батума до Артвина, Тиф. 1901.

70. Военный сборник, т. CCXLII, 1898.

71. Война в Азиатской Турции.- Война 1877 и 1878 гг., т. III, под ред. Зикова, СПб, 1882.

72. Г. А. Дзидзария, Мухаджерство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1975.

73. М. Думбадзе, Из истории Борьби грузинского народа против колониальной политики царизма.-საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963. N5

74. О. Евецкий, Статистическое описаніе Закавкаского края, СПБ,

75. Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Тиф., 1873.

76. Н. Игнатьев, Сан-Стефано, Пг. 1916.

77. История внешней политики России, М., 1997.

78. История дипломатии, т. I, М., 1959.

79. История дипломатии, т. II, под ред. В. П. Потемкина, М., 1945.

80. Г. Казбег, Три месяца в Турецкой Грузии, Тиф. 1875.

81. И. Каневский, Любопитние уголки Кавказа Батумский округ, Тиф. 1886.

82. Б. Колюбакин, Русско-Турецкая война в 1877-1878 г.г. На Кавказк и Малой Азии, ч. 1, СПб, 1906.

83. В. Лисовский, Чорохский край, 1887.

84. Д. А. Магазаник, Турецко - Русский словарь, М., 1945.

85. Ген. Макаев, Историческая записка 1-ой пешей Гурииской дружины в войну 1877-1878.

86. Материалы для описания Русско- турецкой войны, т. 3.

87. Ш. Мегрелидзе, Грузия в Русско- турецкой войне 1877-1878., Тб., 1955.

88. Обзор Батумской области за 1910 год, Батум, 1912.

89. Обозреные Российских владений за Кавказом, час. 1.

90. Освобождение Болгарии от турецкого ига, т. 2-3, М. 1964, 1967.

91. Отчет консула Пальгрема за лето 1872 г.-ИКОИРГО, т. 1882 г.

92. Очерки истории Абхазской АССР, ч. 1., Сух., 1960, ст. 104.

93. В. Потто, Кавказская война, т. 4.

94. В. Потто, История 44-го драгунского Нижегородского полка, т. III-IV, СПб., 1894.

95. В. Потто, Утверждение русскаго владычества на Кавказе, т. 2, Тиф., 1902 г.; т. 4, Тиф., 1908.; т. XII

96. Л. Потто, Батум и его окресности, Бат. 1906.

97. И. Ростомов, Ахалцихский уезд в археологическом отношении, Тиф., 1898.

98. Сборник деиствуюших трактатов, конвенций и соглашений, заключених Россией с другими государствами, т. 4, СПб. 1896.

99. Сборник договоров России с другими государствами, М. 1952.

100. Т. Стефанов, исторический очерк вступления русских воиск в гор. Батумь 25 августа 1878 года, Батум, 1906.

101. Трактат Али Чауша и Софии.

102. Тюмкеев, Материалы для описания Русско-туреской войны, 1877-1878 гг. 1908.

103. Х. Умаров-Гозалишвили, Трагедиа Месхов, Тб., 1994.

104. Ушаков, История военных действии в азиатской Турции в 1828-1829 годах, ч. I, 1843.

105. А. Френкель, Очерки Чурук-су и Батума, Тиф., 1879.

106. С. Чернов, Россия на завершаюшем этапе Восточного кризиса 1875-1878 гг. М. 1984.

107. О. Чургулия, Махаджирство и грузинская интеллигенция (вторая половина xix века).-Разыскания по истории Абхазии/Грузии, 1999.

108. О. Эвецкий, Статистические описание Закавказье.

109. С. Эсадзе, Исторический очерк распространения русской власти на Кавказе, Тиф. 1913.

110. С. Эсадзе, покореніе заподного Кавказа и окончаніе Кавказкой войни, Тиф., 1914.

111. С. Эсадзе, историческая справка об управлении Кавказом, т 2.

112. Dubois de Monpereux, Vouage, 2.

სარჩევი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 5

თავი 1 - რუსეთის იმპერიის დამკვიდრება სამხრეთ საქართველოში და მუჰაჯირობა სამცხე-ჯავახეთში 17

§1. ახალციხის საფაშოს რუსთა მიერ დაკავების პირველი ცდები (1828-1829 წწ. ომი) 17

§2. მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზები სამცხე-ჯავახეთში 38

§3. მუჰაჯირობის პროცესის მიმდინარეობა და გადასახლებულთა რაოდენობა 75

თავი II - აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება. ადგილობრივი მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლების მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები 91

§1. აჭარა XIX საუკუნის რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში 1877-1878 წლების ომი 91

§2. მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზები აჭარაში 115

§3. აჭარიდან გადასახლებულთა რაოდენობა 152

§4. საზოგადოებრივი აზრი მუჰაჯირობის შესახებ 172

დ ა ს კ ვ ნ ა 167

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 172

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**

გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**

ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.08.2013

ქაღალდის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 11.2

ტირაჟი 40

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35